საპარლამენტო ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

26 იანვარი **სამშაბათი** 2010
№019(13007) ფასი 60 თეთრი

# ხიზანიშვილი რედინგის მხსნელად




>> გვერდი 2



## რა თქმა უნდა, ფირცხალავა

პროფლიგას ახალი პრეზიდენტი ჰყავს

>> გვერდი 2




## კანკავას თოფი დაუმიზნეს

>> გვერდი 3



## სამწვრთნელო ცვლილებები ევროპაში

მსოფლიო ფეხბურთი

>> გვერდი 6-10

„იუვენტუსის" მძიმე მდგომარეობამ კლუბის ყოფილი სატრანსფერო გურუ მზის სინათლეზე გამოიყვანა. ლუჩანო მოჯიმ, რომელსაც სკანდალური „კალჩოპოლის" გამო მისჯილი დისკვალიფიკაცია 2011 წელს ენურება, ბოლო ორ კვირაში „იუვეს" ბოსებზე მეორე იერიში მიიტანა. „ლუჩანონემ" პრეზიდენტ ჟან-კლოდ ბლანსა და სპორტულ დირექტორ ალესიო სეკოს გადადგომისკენ მოუწოდა - წადით ყველა, მე და ანდრეა ანიელი მოვდივართო. მოჯი „იუვეს" დღევანდელ დირექტორებს არაკომპეტენტურობასა და „ბებერი სინიორას" იმიჯის დანგრევაში ადანაშაულებს. *„ლეგენდარული კლუბი მძიმე საზღაურს იხდის იმის გამო, რომ მისი ხელმძღვანელები უვიცები არიან. მათმა არაადეკვატურმა გადაწყვეტილებებმა „იუვენტუსი" კატასტროფამდე მიიყვანა. ვპირდები ტიფოზებს, რომ „ბიანკონერის" ძველ დიდებას დავუბრუნებ"*, - ამბობს მოჯი.



## უვიცებო!

მოჯის კიდევ ერთი შეტევა:

## ყველა წადით, მე და ანიელი მოვდივართ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ფეხბურთი

პროფლიგა

**გიორგი ფირცხალავა**

დაიბადა 1965 წლის 3 იანვარს ბირმაში (ახლანდელი მიანმარი)

| ფეხბურთელის კარიერა | |
|---|---|
| 1984-86 | ლოკომოტივი თბილისი |
| 1987-88 | დინამო თბილისი |
| 1988 | დინამო ბათუმი |
| 1989-93 | გორდა რუსთავი |
| 1993-94 | აინტრახტი ორანიენბურგი |
| 1994-96 | დინამო თბილისი |
| 1996-97 | ლოკომოტივი თბილისი |
| 1997-99 | არსენალი თბილისი |

*საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ჩაატარა ერთი მატჩი (1993 წელს). მუშაობდა ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტის ხელმძღვანელად და თბილისის „დინამოს" მმართველ დირექტორად.*



# რა თქმა უნდა, ფირცხალავა...

## პროფლიგის ახალი პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ფეხბურთში ნიუანსებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება

მაშ ასე, **გია ფირცხალავა** პროფესიული ფეხბურთის ლიგის რიგით მეორე პრეზიდენტი გახდა. როგორც ცნობილია, პროფლიგის თავკაცის რიგგარეშე არჩევნები დაინიშნა მას შემდეგ, რაც 21 დეკემბერს **დიმიტრი რამიშვილი** გადადგა. ლიგის ყრილობა გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში გაიმართა. პრეზიდენტობის კანდიდატი, როგორც იცით, მხოლოდ ერთი იყო - ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი გია ფირცხალავა.

ყრილობას 13 დელეგატი ესწრებოდა და გასაკვირი არ არის, რომ წარმოდგენილ კანდიდატურას ყველამ დაუჭირა მხარი. არჩევნებს მხოლოდ ბათუმის „დინამოს" წარმომადგენელი **სულხან გოგიბერიძე** ვერ დაესწრო. თუმცა მან ყრილობის დელეგატებს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ფირცხალავას მხარდაჭერა დააფიქსირა.

ასე რომ, 14 მომხრე და არც ერთი თავშეკავებულ-წინააღმდეგი - ყრილობა სულ რაღაც ხუთ წუთში დასრულდა. არჩევნების დასრულების შემდეგ ფირცხალავას ინტერვიუ ვთხოვეთ:

- პირველ რიგში, მსურს, მადლობა გადავუხადო ლიგის წინა ხელმძღვანელობას, რომელმაც ბევრ სასიკეთო წამოწყებას ჩაუყარა საფუძველი.

**- საქართველოში წინამორბედის გინება უფრო მოდაში...**

- ვინც ქართული ფეხბურთისთვის ერთ აგურს მაინც დადებს, იმას ყოველთვის მადლობას ვეტყვი.

**- პროფლიგაში რა გეგმებით მოდიხართ?**

- ჩვენი მიზანია, კლუბებთან დაკავშირებით ჩამოვყალიბდეთ, მისახედია ინფრასტრუქტურაც. უფრო კონკრეტულად კი სახელმწიფოსთან, სპორტის დეპარტამენტსა და ფეხბურთის ფედერაციასთან მჭიდრო თანამშრომლობა გვსურს. აუცილებელია ინვესტორების მოზიდვაც. გარკვეული დრო გვაქვს, მაისამდე კონკრეტულ გეგმებსა და პროექტებს გამოვამზეურებთ. სიახლეებს კი ახალი სეზონისთვის განვახორციელებთ.

**- კლუბებს ყველაზე მეტად რას აინტერესებთ, შეძლებთ თუ არა მათ წინაშე არსებული პრობლემების მოგვარებას, პირველ რიგში, გადასახადებს ვგულისხმობთ, ან კიდევ ტერიტორიების ალებასთან დაკავშირებულ საკითხებს...**

- ეს პრობლემა ვიცი და ბუნებრივია, გვადარდებს კიდეც. ჩვენი ფეხბურთი ძლიერი კლუბების გარეშე ვერ განვითარდება. ამიტომ, ძალისხმევას სწორედ ამ პრობლემების მოგვარებას მოვახმარ. მაგალითად, ძალიან აქტუალურია გადასახადების თემა. სახელმწიფო მოხელეებთან წინასწარი მოლაპარაკებებიც გვქონდა იმაზე, თუ როგორ უნდა შეუწყონ ხელი კლუბებს ამ კუთხით.

**- საინტერესოა თქვენი მოსაზრება - სახელმწიფოს ეს როგორ შეუძლია?**

- გასაგებია, რომ ორიოდე დღეში ქუთაისში სტადიონის მშენებლობა დაიწყება, თანამედროვე არენა გვექნება ბათუმშიც და ეს უდავოდ კარგი წამოწყებაა. თუმცა კლუბებისთვის ყველაზე მტკივნეული საკითხი უსახსრობაა და ისინი ყოველთვის დახმარებას ელოდებიან. სახელმწიფოს წარმომადგენლებთან შეხვედრისას ყველა ამ პრობლემის მოგვარების გზებზე ვილაპარაკეთ, გავაცანით არსებული მდგომარეობა - კლუბს რომ სტადიონს მოვლაში ხელს წყლის დიდი გადასახადი უშლის, მიწის გადასახადს რესტორნების ტარიფით რომ იხდიან და ასე შემდეგ... ასეთი საკითხებია ყველაზე მნიშვნელოვანი.

**- „ზესტაფონის" ყოფილი მენეჯერი დავით ებრალიძე ამტკიცებს, რომ რეალურად, საფეხბურთო კლუბებმა წყლისა და მიწის მომსახურებაში გაცილებით ნაკლები უნდა გადაიხადონ, მაგრამ იურიდიული ნიუანსების არცოდნის გამო, ბევრად მეტი ხარჯი აქვთო.**

- ამ საინტერესო მოსაზრებებს მეც გავეცანი და დავინტერესდი. ფეხბურთის განვითარება სწორედ ასეთი ნიუანსების გამოყენებითაა შესაძლებელი.

**- წლის შემაჯამებელი შოუ-სალამო „დია" თქვენი პრეზიდენტობის დროსაც ჩატარდება?**

- „დია" ძალიან კარგი პროექტია, მაგრამ დავფიქრდებით, ამ ფორმატით გავმართოთ თუ სახეცვლილი ვარიანტით. თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთი სახის დაჯილდოება აუცილებელია. აქედანვე ვიტყვი, რომ „დიას" აუცილებლად დაემატება წლის საუკეთესო ჟურნალისტის ნომინაცია, რადგან მედია საფეხბურთო სამყაროს ისეთივე ნაწილია, როგორიც ფეხბურთელები, მწვრთნელები, მსაჯები, გულშემატკივრები და საფეხბურთო მოხელეები. რაც მთავარია, ჩვენი ფეხბურთის პოპულარიზაციისა და განვითარებისთვის მედია არავისზე ნაკლებს არ აკეთებს და არ ზრუნავს. ეს იქნება არა რევერანსი, არამედ, რეალური საქმეების შეფასება და დაფასება.

**- დაბოლოს, ვინ იქნება ლიგის ახალი გენერალური მდივანი?**

- ლიგაში მუშაობს ხალხი და რად გვინდა ახალი გენერალური მდივანი? ეს ადამიანები საქმიანობას ჩვეულებრივად გააგრძელებენ.

არჩევნების შემდეგ

# ახლის არჩევა ძველის გინებას არ ნიშნავს

ახალი პრეზიდენტის არჩევა ყოველთვის ცვლილებასთანაა დაკავშირებული, ეს კი თავისთავად ახალ იმედებსა და მოლოდინს აჩენს. შესაბამისად, ქართული კლუბებიც იმედოვნებენ, რომ პროფლიგის პრეზიდენტად **გია ფირცხალავას** არჩევას სწორედაც რომ სასიკეთო ცვლილებები მოჰყვება.

„გაგრის" ვიცე-პრეზიდენტი **გოდერძი ჩიხრაძე** მიიჩნევს, რომ პროფლიგის ახალ თავკაცს შეუძლია, კლუბებს არსებული პრობლემის მოგვარებაში დაეხმაროს.

*„ჯერ ის მინდა აღვნიშნო, რომ პროფლიგის ძველმა ხელმძღვანელობამ ძალიან დიდი სამუშაო გასწია. ახლის არჩევა ძველის გინებას არ ნიშნავს და მათზე აუგს ნამდვილად ვერ ვიტყვი, რადგან ყოფილმა პრეზიდენტმა და მისმა გუნდმა ბევრი სიახლე დანერგა. მეორეც, გია ფირცხალავას დიდი ხანია ვიცნობ და მიმაჩნია, რომ უნარიანი ხელმძღვანელია. გიას უამრავი საკითხის მოგვარება მოუწევს. ჩემი აზრით, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია სპორტული ობიექტების შენარჩუნება და არსებული ინფრასტრუქტურის განვითარება. იმ პრობლემების მოგვარებაში დახმარების იმედად, რომელიც მთლიანად ქართულ ფეხბურთს წაადგება და არა მხოლოდ საფეხბურთო კლუბ „გაგრას", წერილი გავუგზავნე ფეხბურთის ფედერაციას, ქალაქის მერ გიგი უგულავას და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაურს. ჩვენი თხოვნაა, საფეხბურთო სამყაროს საკუთრებაში დარჩეს ის ობიექტები, რომელიც თავიდანვე ამ სამყაროს ეკუთვნოდა. ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა არსებობს, მაგრამ რომელ განვითარებაზეა ლაპარაკი, როცა ფეხბურთს ამდენი ობიექტი ჩამოართვეს?! „ლოკომოტივის" ბაზა ფეხბურთელებისთვის არ აშენდა? ახლა კი უნდა გადაეცეს რაგბის, რომლის გულშემატკივარი თავადაც ვარ. თუმცა ასეთი დამოკიდებულებით, ფეხბურთს სტადიონები და ბაზები აღარ დარჩება. რაგბი თავისი ხაზით უნდა განვითარდეს და ფეხბურთი - თავისით, მათი გზები არ უნდა გადაიკვეთოს. ამ საკითხზე ხმა პროფლიგამაც უნდა აიმაღლოს და ქართული ფეხბურთის ხელმძღვანელებმაც. ფეხბურთის სტადიონები და ბაზები უნდა გადავარჩინოთ და მეტიც - საჭიროა კიდევ რამდენიმე ახალი არენისა და სპორტული კომპლექსის აშენება. თანამედროვე ფეხბურთში ინფრასტრუქტურაზე ბევრად არის დამოკიდებული გუნდის წარმატება თუ წარუმატებლობა. ჩვენ თუ საფეხბურთო სამყაროს ინტერესებს არ დავიცავთ, მძიმე მდგომარეობაში ჩავცვივდებით და კიდევ უფრო გაგვიჭირდება"*, - გვითხრა გოდერძი ჩიხრაძემ.

კონტაქტები

# სიჭინავა ბრაზილიელ კოლეგას შეხვდება

**ალბათ, ქართული ფეხბურთი ბედნიერია, ბრაზილიაში გოჩა ალადაშვილისნაირი ქომაგი რომ ჰყავს. „ატლეტიკო პარანაენსეს" საერთაშორისო განყოფილების ხელმძღვანელი სულ იმის მცდელობაშია, ქართულ ფეხბურთს რამენაირად დაეხმაროს. ჩვენი ინტერვიუდან მის ახალ პროექტებს გაეცნობით.**

**- ბატონო გოჩა, როგორც შევიტყვეთ, 17-წლამდელთა ნაკრებს ბრაზილიაში სამი საკონტროლო შეხვედრის გამართვაში ეხმარებით...**

- „ატლეტიკო პარანაენსეს" დირექტორატის წევრებს უკვე ველაპარაკე და გადაწყვეტილი ამბავია. 17-წლამდელებს 5 მარტიდან ბრაზილიაში ელოდებიან. კობა ჟორჟიკაშვილი და გოჩა ავსაჯანიშვილი გუნდს მომავალი შესარჩევი ციკლისთვის მოამზადებენ და მსურდა, რამენაირად დავხმარებოდი. დაგეგმილია სამი საკონტროლო შეხვედრა - „ატლეტიკო პარანაენსეს", „პარანასა" და „კურიტიბას" ჭაბუკთა გუნდებთან. ეს იქნება მშვენიერი შეკრებაც და საჭირო საკონტროლო შეხვედრებიც, სადაც ჩვენი ბავშვები, დარწმუნებული ვარ, ბევრს ისწავლიან.



გოჩა ალადაშვილი

**- „ოლიმპი" სეზონის მეორე ეტაპისთვის მზადებას ამთავრებს, აკინო და ფრაგა კი დღემდე არ ჩამოსულან...**

- აკინო და ფრაგა ჩამოვლენ. სამწუხაროდ, მგზავრობაში გარკვეული პრობლემები შეექმნათ, მაგრამ ესეც მოგვარდა.

**- ბრაზილიიდან ფეხბურთელების ახალ, დესანტის გადმოსხმაზე იყო ლაპარაკი, მაგრამ ჯერ კონკრეტული არაფერი იამის. ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ „ოლიმპი" სეზონს მხოლოდ ორი სამხრეთამერიკელით გააგრძელებს?**

დავით კირკიტაძის ხელმძღვანელობით, ჩვენი დელეგაცია ბრაზილიაში 1-ელ თებერვალს მიემგზავრება. ისინი სასურველი ამპლუის ფეხბურთელებს ადგილზე შეარჩევენ.

**- თუმცა, როგორც ჩანს, მოთამაშეებს ასე მასობრივად აღარ ჩამოიყვანთ, როგორც ეს სეზონის დასაწყისში მოხდა - ჩემპიონობისთვის მებრძოლი კლუბი რამდენიმე მოთამაშეს პირველობის მსვლელობისას ვერ დაიმატებს.**

- ეს კლუბის გადასაწყვეტია, ერთ კაცს დაიმატებს, ორს თუ სამს.

**- როგორც ვიცით, თქვენ მიერ რუსთავის „ოლიმპში" განხორციელებული პროექტებით ბელარუსები დაინტერესდნენ და ანალოგიურის გაკეთება მინსკის „დინამოშიც" შემოგთავაზეს...**

- დიახ, ასეა. მე და გია ფირცხალავა მინსკში იქაური „დინამოს" ხელმძღვანელთა მიწვევით გახლდით. ბელარუსებმა ასეთივე პროექტის განხორციელების სურვილი გამოხატეს. მე კი იმიტომ მიმიწვიეს, რომ „ატლეტიკო პარანაენსემ" აღმოსავლეთ ევროპაში წარმომადგენლის სტატუსი მომანიჭა. ადრე მათ ინტერესებს მხოლოდ საქართველოში წამოვადგენდი, მაგრამ „ოლიმპში" საკმაოდ საინტერესო თანამშრომლობის შემდეგ, სხვა დავალებებიც მომცეს. მინსკის „დინამოს" ბრწყინვალე სტრუქტურა აქვს, ძალიან კარგად მიგვიღეს და თანამშრომლობისთვის მზად არიან.

**- მინსკის „დინამოშიც" იგივე როლი დაგეკისრებათ, რაც „ოლიმპში"?**

- ამას მომავალი გვიჩვენებს. ძირითადად, საქართველოში ვიქნები, ბელარუსში კი თვეში ერთხელ ჩავალ.

**- კიდევ ხომ არ გაქვთ რაიმე ჩანაფიქრი?**

- როცა 17-წლამდელები ბრაზილიაში გაემგზავრებიან, დელეგაციაში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა და ვიცე-პრეზიდენტები - ალექსანდრე ჩივაძე და გია ფირცხალავა (დღეს უკვე პროფლიგის პრეზიდენტი) იქნებიან.

**- ისინი „ატლეტიკო პარანაენსეს" ხელმძღვანელობას შეხვდებიან?**

- ...არა მხოლოდ. ბრაზილიელებს უკვე ველაპარაკე და სიჭინავასა და მათი საფეხბურთო კონფედერაციის პრეზიდენტ რიკარდუ ტეიშეირასთან შეხვედრას ამზადებენ. ვიზიტი ორი დღით იგეგმება და ვფიქრობ, ქართული ფეხბურთისთვის ეს ძალზე სასარგებლო და მნიშვნელოვანი შეხვედრა იქნება. კურიტიბიდან რიო დე ჟანეირომდე თვითმფრინავით საათ-ნახევარი დაგვჭირდება და „ატლეტიკო პარანენსეს" თავკაცებთან შეხვედრის შემდეგ ჩვენი ფედერაციის წარმომადგენლები ტეიშეირასაც ესტუმრებიან.

**- ასეთი შეხვედრებისთვის თემებს წინასწარ ამზადებენ და იქნებ, მკითხველსაც გავაცნოთ...**

- ჩვენი სურვილია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და ბრაზილიის კონფედერაციას შორის საქმიანი და მეგობრული კავშირები დამყარდეს, რაც მომავალში აუცილებლად გაღრმავდება. თანამშრომლობა კი სხვადასხვა მიმართულებით შეიძლება - მათი ცოდნა-გამოცდილების გაზიარება ნამდვილად არ გვაწყენდა.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი ოლეგ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე ჰაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი [illegible]; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ ვაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: კოსტავას, 49. ტელეფ: 42 32 73 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 [illegible] 63; ელფოსტა: leloltd@[illegible].com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის ჟურნალისტური მასალებისა და ფოტოების სხვა მედიასაშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკონტროლო მატჩი

# გამოცდილების ხარჯზე

ძლიერი სუსხი, წვიმა, ქარი, - აი, ასეთ რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში ჩატარდა გუშინდელი საკონტროლო მატჩი, სადაც ერთმანეთს ცხინვალის „სპარტაკი“ და ზაქათალის „სიმურგი“ ხვდებოდნენ. შეგახსენებთ, რომ აზერბაიჯანის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი უკვე კვირაზე მეტია, რაც შეკრების ჩასატარებლად თბილისში იმყოფება და გუშინდელის ჩათვლით, უკვე მეოთხე სპარინგ-შეხვედრაც ჩაატარა. „სიმურგის“ უკრაინელმა თავკაცმა **რომან პოკორამ**, ფაქტობრივად, უძლიერესი შემადგენლობა გამოიყვანა მოედანზე; რაც მთავარია, აზერბაიჯანული გუნდის ძირითადში „სიმურგის“ სამი ქართველი ლეგიონერი ვიხილეთ: **თეიმურაზ ლონლაძე, კახა ჩხეტიანი** და **დავით ბოლქვაძე;** რაც შეეხება **რომან ახალკაცს**, იგი თამაშში შესვენების მერე ჩაერთო. სამაგიეროდ, სერიოზული საკადრო პრობლემები ჰქონდა ცხინვალის „სპარტაკს“ და ამის გამოც იყო, რომ ამ გუნდის შემადგენლობას უფრო ექსპერიმენტული ეთქმოდა. თავად განსაჯეთ: ტრავმების (**ჩივაძე, ჩირიკაშვილი, ბოიომო, ბურჯანაძე**) გარდა „სპარტაკის“ მთავარმა მწვრთნელმა **ვლადიმერ ხაჩიძემ** ძირითადი შემადგენლობის სამი ფეხბურთელიც (**დეკანოიძე, ბუზალაძე, მაისურაძე**) მოისაკლისა, რომლებიც საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში არიან გამოძახებულნი.

...ალბათ, თავიდანვე უნდა აღვენიშნა, რომ ეს საკონტროლო მატჩი რუსთავის „ფოლადის“ ხელოვნურსაფარიან მოედანზე ჩატარდა (სადაც, სხვათა შორის, გაზონი იდეალურ მდგომარეობაშია). ისე რომ ვთქვათ, შეხვედრა სანახაობრივი ან დაძაბული იყოო, მართალი არ ვიქნებით; არც რომელიმე გუნდს ჰქონია მეტოქესთან შედარებით აშკარა უპირატესობა. თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოცდილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული „სიმურგი“ მეტ-ნაკლებად უკეთეს შთაბეჭდილებას ტოვებდა. განსაკუთრებით, აზერბაიჯანული გუნდის მარცხენა ნახევარმცველი **გენადი სოლონიცინი** აქტიურობდა - ლატვიის ნაკრების ფეხბურთელი პირველ ტაიმში არა მხოლოდ საკუთარ გუნდში არამედ, მოედანზე მყოფ მოთამაშეებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული გახლდათ. სამწუხაროდ, პირველ ტაიმში „სპარტაკს“ მეტოქის კართან სახიფათო მომენტი არ შეუქმნია; სამაგიეროდ, სტუმრებმა რამდენიმე მწვავე შეტევა განახორციელეს: ზემოთ ნახსენები სოლონიცინისა და მარჯვენა გარემარბის **ბულიჩოვის** მწვავე გამჭოლ გადაცემებს პარტნიორებმა ვერ მიუსწრეს, ერთ ეპიზოდში კი თეიმურაზ ლონლაძის საშუალო მანძილიდან დარტყმული ბურთი **ზურაბ ბათიაშვილმა** მოიგერია. თუმცა, „სიმურგმა“ მაინც შეძლო გოლის გატანა: „სპარტაკის“ მცველებმა საკუთარ საჯარიმოში თამაშის წესები დაარღვიეს და აზერბაიჯანული გუნდის კიდევ ერთმა გამოცდილმა ფეხბურთელმა **გუნჩაკმა** პენალტი ზუსტად შეასრულა.

შესვენების შემდეგ ვლადიმერ ხაჩიძემ თავის გუნდში რამდენიმე ტაქტიკური გადაადგილება მოახდინა, მაგრამ ამით საერთო სურათი არ შეცვლილა - „სიმურგის“ 32 წლის უკრაინელი მეკარე **პოსტრანსკი**, ფაქტობრივად, თამაშში არც ჩართულა. ისე, ნამეტნავი აქტიურობით ალარც სტუმრები გამოირჩეოდნენ, თუ არ ჩავთვლით „სიმურგში“ სინჯებზე მყოფი ბულგარელი ცენტრფორვარდის **პეტროვის** ორ მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტს. საბოლოოდ, პირველი ტაიმის ანგარიში ალარ შეცვლილა და „სიმურგმა“ მინიმალური ანგარიშით - 1:0 გაიმარჯვა. გუნდები მოედანზე ასეთი შემადგენლობით ასპარეზობდნენ:

**„სპარტაკი“: ბათიაშვილი (46. ნონოსი) - სეფიაშვილი (46. უხურგუნაშვილი), გ. კვახაძე, ბაქრაძე, დ. ფოფხაძე - კბილეცეცხლაშვილი (75. სალარიძე), მგელაძე, კანდელაკი (85. კილაძე), მგალობლიშვილი, ნალო - კლოვისი.**

**„სიმურგი“: პოსტრანსკი - თ. ლონლაძე, რასპოპოვი, პერიშიჩი, კ. ჩხეტიანი (46. ახალკაცი) - გუნჩაკი (88. საიადოვი), ბეგოვიჩი - ბულიჩოვი, ბოლქვაძე (46. არტიუხი), სოლონიცინი (46. ჯალილოვი) - მამედოვი (46. პეტროვი).**

დაბოლოს, იმასაც ვიტყვით, რომ, ფაქტობრივად გადაწყვეტილია „სპარტაკში“ კიდევ ერთი ახალწვეულის ჩარიცხვის საკითხი: **ნიკა მგელაძე** მეორე ეტაპიდან ვლადიმერ ხაჩიძის გუნდში ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ მგელაძე ბოლოს „ვიტ ჯორჯიაში“ ირიცხებოდა, ოლონდ, სათამაშო პრაქტიკა, ფაქტობრივად, არ ჰქონია. სამაგიეროდ, უფრო წარმატებულად თამაშობდა „გაგრაში“, სადაც გუნდის კაპიტანიც გახლდათ...

**გია ტუხაშვილი**

ტრანსფერი

# ხიზანიშვილი რედინგის მხსნელად

## დებიუტი უკვე დღეს...

საქართველოს ნაკრების მცველმა **ზურაბ ხიზანიშვილმა** კიდევ ერთხელ შეიცვალა მისამართი - დღეიდან, 28 წლის ქართველი სეზონის ბოლომდე „რედინგის“ საკეთილდღეოდ გაირჯება. ეს მისი მესამე კლუბია სეზონში, „ბლექბერნის“ და „ნიუკასლის“ შემდეგ. „რედინგის“ საფეხბურთო დირექტორი **ნიკ ჰემონდი** გახარებულია:

*„მოხარულები ვართ, რომ ზურასთან გავაფორმეთ კონტრაქტი. ის ჩვენი გუნდის დაცვის ხაზს უდიდეს გამოცდილებას შეჰმატებს. მას თამაში ერთნაირი წარმატებით შეუძლია, როგორც დაცვის ცენტრში, ასევე ფლანგზე, ხიზანიშვილს შეუძლია ნახევარდაცვაში გარჯაც. მოკლედ, უნივერსალური ფეხბურთელია და ის მალე დაუმტკიცებს ყველას, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ მისი დამატებით“.*

ზურას დებიუტი „რედინგში“ უკვე დღეს შედგება „შეფილდ იუნაიტედის“ წინააღმდეგ. „როიალსში“ გახარებულები არიან, რომ ისეთი ფეხბურთელი დაიმატეს, რომელსაც ეროვნულ ნაკრებში 70-მატჩიანი გამოცდილება აქვს. „რედინგს“ ახლა მთავარი მწვრთნელი არ ჰყავს, **ბრაიან მაკდერმოტი** მწვრთნელის მოვალეობის დროებითი შემსრულებელია:

*„ხიზანიშვილი კვირას გავიცანი და თავიდანვე კარგი ურთიერთობა ჩამოყალიბდა ჩვენს შორის. მე მას მოვუყევი, რა გვსურს მისგან და რას ველით. ზურა მიიჩნევს, რომ დროა „ბლექბერნს“ მოსცილდეს და ითამაშოს რაც შეიძლება მეტი. ის სიხარულით დათანხმდა ჩვენს შემოთავაზებას. ქართველმა შეიძლება „შეფილდ იუნაიტედთან“ ითამაშოს, მე უკვე წინასწარ ვიცი შემადგენლობა, მაგრამ ჯერჯერობით არ ვიტყვი მას. ის დიდი ხანი თამაშობდა პრემიერლიგაში, ამ სეზონში კი ჩემპიონშიპის ლიდერ „ნიუკასლშიც“ ითამაშა. მოკლედ, მისი გამოცდილება დიდად წაგვადგება, ისევე როგორც უნივერსალიზმი“,* - განაცხადა მაკდერმოტმა, რომელსაც, შეიძლება, კონტრაქტიც კი გაუფორმონ, თუკი „რედინგი“ დღეს მოიგებს.

ხიზანიშვილამდე „რედინგმა“ იჯარით **ენდი გრიფინი** (სტოკიდან) და **გუნარ ტორვალდსონი** (ესბიერგიდან) აიყვანა. „რედინგში“ ქართველი ლეგიონერი 44 ნომერი მაისურით ითამაშებს. „რედინგი“ ინგლისის, და შესაბამისად მსოფლიოს, ერთ-ერთი ყველაზე ძველი კლუბია. ის 1871 წელს დაარსდა, მაგრამ თუ არ ჩავთვლით 2006-07 წლების სეზონს, ამ გუნდს პრემიერლიგაში არასოდეს უთამაშია. ქალაქი რედინგი სამეფო საგრაფო ბერკშირშია, აქედან მოდის გუნდის მეტსახელი „როიალსი“. პრემიერლიგას ვინ ჩივის, „რედინგი“ ჩემპიონშიპიდან გავარდნის პირასაა, 24-გუნდიან ჩემპიონატში ქართველის გუნდი 22-ე ადგილზეა 23 ქულით და წინ მყოფ „სკანთორპს“ 4 ქულით ჩამორჩება (თან მატჩით მეტი აქვს გამართული). მოკლედ, ზურას „რედინგის“ გადასარჩენად უხმეს. „რედინგის“ კაპიტანი ისლანდიელი **ივარ ინგიმარსონია.**

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სავარაუდო ტრანსფერი



# კანკავას თოფი დაუმიზნეს

როგორც იცით, „დნიპროს“ ქართველ ნახევარმცველ **ჯაბა კანკავას** ტრავმების გამო, ჯამში წელიწადზე მეტი გაუცდა. კანკავამ შარშან ნოემბერში განაახლა გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვარჯიში და დუბლებში თამაშიც მოასწრო. ამჟამად კანკავა „დნიპროსთან“ ერთადაა მოსამზადებელ შეკრებაზე. ტრავმების გამო დაკარგული პერიოდის გამო კანკავას დიდი ბრძოლა მოუწევს სასტარტო შემადგენლობაში ადგილის დასაბრუნებლად. თურქულ შეკრებაზე ჯაბა ხან ძირითად შემადგენლობაშია და ხანაც შეცვლაზე თამაშობს. როგორც გავიგეთ, კანკავათი კიევის „არსენალი“ დაინტერესდა. თუმცა ამაზე ქვემოთ, მანამდე კი კანკავას ბოლოს ჩატარებულ მატჩზე გამცნობთ.

მოსამზადებელ შეკრებაზე მყოფმა „დნიპრომ“ აზერბაიჯანის ახალგაზრდულ ნაკრებს გაეჯიბრა და 2:1 მოიგო. ამ შეხვედრაში კანკავა ძირითად შემადგენლობაში იყო და 64-ე წუთზე **კორნოზამ** შეცვალა. კანკავას ბურთი არ გაუტანია, მაგრამ საამისოდ კარგი შანსი ჰქონდა. ერთ-ერთ ეპიზოდში ჯაბა მეტოქის ორ მცველს გასცდა და ხელსაყრელი პოზიციიდან აზერბაიჯანელთა კარში ძლიერად დაარტყა, მაგრამ მცირედით გადააცდინა.

ჩვენი ინფორმაციით კიევის „არსენალს“ ქართველის მინიმუმ ნათხოვრობა სურთ. ცნობისთვის, უკრაინულ ვიშა ლიგაში, 16 ტურის შემდეგ კიეველ „მეთოფეებს“ 20 ქულა აქვს და მე-9 ადგილზეა. ამ გუნდის მთავარი მწვრთნელი კი **ალექსანდრე ზავაროვია.** ზავაროვის გუნდის ინტერესის შესახებ თავად კანკავამაც დაგვიდასტურა.

*„დიახ, კიევის „არსენალის“ ჩემით დაინტერესების შესახებ მეც გავიგე. კარგია, როცა შენი სჯერათ და სხვა გუნდებს სურთ შენი დამატებით გაძლიერდნენ. ამაზე კლუბის ხელმძღვანელობა მელაპარაკა, მაგრამ ჩემი გადასაწყვეტია, დავრჩები თუ წავალ. „დნიპროსთან“ კონტრაქტის ვადა შარშან დეკემბერში ამომეწურა და ახალი ერთწლიანი კონტრაქტი გავაფორმე. „დნიპროში“ ვარ, ახალი სეზონისთვის ვემზადები და გასაქცევად ნამდვილად არ მაქვს საქმე. პირიქით, გუნდის მთავარი მწვრთნელი ვლადიმირ ბესონოვი ჩემზე დიდ იმედს ამყარებს, ეს კი ძირითად შემადგენლობაში დაბრუნებისთვის ბრძოლაში დიდ სტიმულს მაძლევს. ასე რომ, „არსენალში“ გადასვლაზე ჯერჯერობით არ ვფიქრობ“,* - გვითხრა ჯაბა კანკავამ.

**დავით ც. ბაძე**

ლეგიონი

# არშემდგარი ქართული დუელი

## ...და სხვა ჩვენებურის დუბლი

გუშინ ისრაელის ლიგატ ჰაალში ტურის და, ვგონებ ჩემპიონატის ცენტრალური მატჩი გაიმართა - ჰაიფაში, „კირიათ ელიეზერზე“ **ლადო დვალიშვილის** „მაქაბი“ **ზურაბ მენთეშაშვილის** „ჰაპოელს“ მასპინძლობდა. „მაქაბის“ 18 მატჩში 17 მოგება და 1 მარცხი ჰქონდა და მეორეადგილოსან „ჰაპოელს“ 10 ქულით უსწრებდა. სხვაობა შენარჩუნდა, მატჩში გოლები არ გასულა - 0:0. ეს „მაქაბის“ პირველი ფრეა ჩემპიონატში, 2010 წელს კი დვალიშვილი პირველად გავიდა მოედნიდან უგოლოდ (აქამდე სამჯერ ზედიზედ დუბლი შეასრულა). ლადო 77-ე წუთზე **ბოკოლიმ** შეცვალა. აი, ზურაბ მენთეშაშვილი კი მოედანზე არ გამოჩენილა.

სამაგიეროდ, ლეუმითლიგაში მოთამაშე **კოკა მიკუჩაძემ** შეასრულა დუბლი. ბათ იამის „ირონიმ“ რიშონის „ჰაპოელს“ 3:0 მოუგო. მიკუჩაძემ 23-ე (პენალტით) და 66-ე წუთებზე გაიტანა. ბათიამელები 33 ქულით მეორე ადგილზე გადავიდნენ, ხოლო კოკამ სეზონში უკვე 9 გოლი მიითვალა და ბომბარდირთა დავაში მე-3 ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**





ნიკა ძალამიძე

# ძალამიძე ძირითადში

საწვრთნელ შეკრებაზე შეერთებულ შტატებში მყოფმა მოსკოვის ცსკა-მ ნიუიორკის „რედ ბულთან“ ამხანაგური მატჩი გამართა და 1:1 ითამაშა. ჩვენთვის კი მთავარი ის არის, რომ **ნიკა ძალამიძე** ძირითად შემადგენლობაში (**ჩეპჩუგოვი, ა. ბერეზუცკი, ნაბაბკინი, შემბერასი, მამაევი, რახიმიჩი, სეკუ, ძალამიძე, სტოლიარენკო, გილერმე, რიყოვი**) გახლდათ გამწესებული. როგორც ცსკა-ს ოფიციალური ვებგვერდი იტყობინება, პირველი ტაიმის დასრულებისთანავე ნიკა **ზაბოლოტნიმ** შეცვალა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ამბები

## ანანიძის ტაიმი

თურქეთის კურორტ ბელექში შეკრებაზე მყოფმა მოსკოვის „სპარტაკმა“ ამხანაგური მატჩი სოფიის „ჩემჩუყინასთან“ ჩაატარა და 3:1 გაიმარჯვა. **ჯანო ანანიძე** „სპარტაკის“ ძირითად შემადგენლობაში გაამწესეს და თანაგუნდელთა უმეტესობის მსგავსად, შესვენებისას შეცვალეს.

## შალამბერიძემ სრულად ითამაშა

პოლონურ „ოდრაში“ გასინჯვაზე მყოფმა **კობა შალამბერიძემ**, რომელსაც ამ გუნდში ჩარიცხვის კარგი შანსი აქვს, ზაბჟეს „გურნიკთან“ მატჩში მოედანზე 90 წუთი დაჰყო. შეხვედრა „გურნიკის“ სოლიდური გამარჯვებით, 4:1 დასრულდა.

## მსაჯები ურეკში

დღეიდან ურეკში ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი და პირველი ლიგის მომსახურე 40 მსაჯის შეკრება დაიწყება. შეკრება ერთ კვირას გასტანს, ჩატარდება სემინარი, რომელსაც **ლევან ფანიაშვილი** უხელმძღვანელებს. სწორედ ამ შეკრებაზე გაირკვევა, ვინაა თეორიულად და პრაქტიკულად იმ დონეზე მომზადებული, რომ ჩემპიონატის მატჩებზე მსაჯობა ანდონ. მსაჯთა კორპუსში კი ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლე ისაა, რომ შეკრებაზე მოხვედრის უფლების მოსაპოვებლად მსაჯებს პირველად მოუწიათ ნარკოლოგიური ტესტის ჩაბარებამ.

## კლიმიაშვილი არ გამოჩენილა

გუშინ ოდესის „ჩერნომორეცმა“ ამხანაგური მატჩი კორეულ „25 აპრილის“ წინააღმდეგ ჩაატარა და 2:0 გაიმარჯვა. ამ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია „ჩერნომორეცში“ სინჯებზე მყოფ **ირაკლი კლიმიაშვილს**. დღეს თურქულ შეკრებაზე მყოფი უკრაინელები ყაზახურ „თარაზს“ ეთამაშებიან და ვნახოთ, მიეცემა თუ არა ამ მატჩში თავის გამოჩენის შესაძლებლობა ახალგაზრდა ქართველ ნახევარმცველს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სატრანსფერო მიდი-მოდი

| გუნდები | წავიდნენ | მოვიდნენ | შეკრება/ საკონტრ. მატჩები |
|---|---|---|---|
| ოლიმპი თემურ მახარაძე | ბაბუნაშვილი (სექტცია, ისრაელი), ფოფხაძე (სპარტაკი), გ. თოდუა (კოლხეთი 1913), აბრამიძე (ნეფთჩი, აზერბაიჯანი), ჟერონიმო, ჟონათასი, სალესი (სამივე ბრაზილიაში), ს.თოდუა (აზერბაიჯანი), მ. ალავიძე (უზბეკეთი), კაკულია (ლოკომოტივი), ზ. ჭელიძე (ყაზახეთი) | გ. კვარაცხელია (მტზ-რიპო, ბელარუსი), ხიდეშელი, თარხნიშვილი, ხუბუა, (სამივე სიონი), რ. ჯიქია (ბაია), ა. გილაური, პ. დათუნაიშვილი (ორივე სპარტაკი), ნიორაძე (35-ე სკოლა), გაბისკირია (მეორე მწვრთნელი, IBSU), ელოხი, აუდუ (ორივე ნიგერია), მერლანი (?), იკეჩუკვუ, ოლუჩე (ორივე ნიგერია, ?) | 5 იანვრიდან-რუსთავში ოლიმპი-IBSU 4:0 ოლიმპი-გაგრა 3:3 ოლიმპი-დინამო 0:4 ოლიმპი-სპარტაკი 1:0 ოლიმპი-სიმურგი 1:1 |
| ზესტაფონი გია გეგუჩაძე | იონანიძე (?) | მჭედლიშვილი (?), გ. მიქაბერიძე (მეშახტე), კობახიძე (საბურთალო) | 3-6 იანვარი - თბილისი 7-18 იანვარი - თურქეთი ზესტაფონი-ტობოლი 0:5 ზესტაფონი-პურსაქლარსფორი 3:3 ზესტაფონი-დნიპრო 2:1 22 იანვარი-4 თებერვალი - ესპანეთი |
| ვიტ ჯორჯია გელა გომელაური | ყველაშვილი (ბაია), ლურწკაია (მეკარეების მწვრთნელი), კახელიშვილი (დინამო), გ. მელქაძე (სიონი, იჯარით), კლიმიაშვილი (ჩერნომორეცი, უკრაინა), რაზმაძე (?), მგელაძე (სპარტაკი) | აბაშიძე (მეკარეების მწვრთნელი) | 3 იანვრიდან - თბილისში ვიტ ჯორჯია-IBSU 2:1 ვიტ ჯორჯია-ნ/დინამო 1:0 ვიტ ჯორჯია-ზოოვეტი 3:0 ვიტ ჯორჯია-სიმურგი 2:1 |
| დინამო კახა კაჭარავა | სომხიშვილი (ბაია), ხმალაძე (ჰაპოელი ჰაიფა, ისრაელი), კრშკო (ოდრა, პოლონეთი), ჩარასი (?), შ. ლომია (ბაია), ნ. ჯიშკარიანი (გაგრა), ნერგაძე (კონტრაქტი დაუმთავრდა) | შეყრილაძე (სპარტაკი), კახელიშვილი (ვიტ ჯორჯია), კრსტესკი (ვარდარი, მაკედონია), ჩიკვილაძე (სიონი), თექთურმანიძე (?), მარკოვიჩი (პობედა, მაკედონია) | 3 იანვრიდან - თბილისში დინამო-სპარტაკი 3:1 დინამო-IBSU 0:1 დინამო-ოლიმპი 4:0 18 იანვრიდან - თურქეთში დინამო-ვორსკლა 0:0 დინამო-შახტარი 0:1 |
| სპარტაკი ვლადიმერ ხაჩიძე | რ. გოცირიძე (ჰაპოელი, ისრაელი), დიდავა (სიონი), ლ. დეკანოსიძე (ლოკომოტივი),შეყრილაძე (დინამო), გვენცაძე (ლოკომოტივი), კეტაშვილი(?), შ. ჯიშკარიანი (სიონი), მანწკავა (?) პ. დათუნაიშვილი, ა. გილაური (ორივე ოლიმპი), ჯოხაძე (?), ლ. ჩალაძე (სამტრედია), ცხადაძე (?), ზონი (მარტვილი, იჯარით), შალამბერიძე (ოდრა, პოლონეთი), შონია (ვოლინი, უკრაინა) | დეკანოიძე (ჩიხურა), ბუზალაძე (დილა), ბურჯანაძე (?, სომხეთი), ნონოსი (კამერუნი), ნალო (საფრანგეთი), მგალობლიშვილი (ჩიხურა), თედიაშვილი (კოლხეთი 1913), სალარიძე (ჭიათურა), უხურგუნაშვილი (?), ი. ფოცხვერია (?), მგელაძე (ვიტ ჯორჯია) | 26 დეკემბრიდან - თბილისში დინამო-სპარტაკი 3:1 სპარტაკი-ოლიმპი 0:1 სპარტაკი-ვიტ ჯორჯია (დუბლები) 2:1 სპარტაკი-სიმურგი 0:1 |
| სამტრედია მამუკა მესიაჩენკო ლევან ანჯაფარიძე | კვესეიშვილი (ბაია), ლ.ვაშაკიძე (?), ბ. ხაჭიპერაძე (?), ჯიქიძე (?), კაკალაძე (?), ჯანგიძე (?), ბაკარანძე (ბაია) | კუპრეიშვილი (გაგრა), ჟვანია (ბაია), ლ. ჩალაძე (სპარტაკი), ილურიძე (მარტვილი), სამსეიშვილი (ბათუმი), კვალინიძე (უგუნდოდ) | 22 დეკემბრიდან - სამტრედიაში 15 იანვრიდან - ურეკში სამტრედია-სიონი 3:2 სამტრედია-გურია 1:0 სამტრედია-სიონი 1:0 სამტრედია-კოლხეთი (ფ) 3:2 |
| სიონი ხვიჩა ქასრაშვილი | თარხნიშვილი, ხუბუა, ხიდეშელი (სამივე ოლიმპი), გოგობერიშვილი (?), მახვილაძე (?), ჩიმაკაძე (?), ი. ვაშაკიძე (?), ბ. ნოზაძე (?), ფიფია (?), კიკნაძე (გაგრა), ჩიკვილაძე (დინამო), სვანიძე (?), სტურუა (გაგრა) | ქასრაშვილი (მთავარი მწვრთნელი), ჯაგიდისი (მეორე მწვრთნელი), შ. ჯიშკარიანი, დიდავა (ორივე სპარტაკი), რაქვიაშვილი (გაგრა), გ. დეკანოსიძე (?), გ. კვანტალიანი (ლოკომოტივი), ი. შენგელია (?), გ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია, იჯარით), გ. სილაგავა (?), ვ. ისიანი (დინამო 2), გ. მაისურაძე (ნ/დინამო) | 4 იანვრიდან - თბილისში სიონი-IBSU 2:1, სიონი-ზოოვეტი 1:1 სიონი-ნ/დინამო 5:3 14 იანვრიდან - ურეკში სიონი-სამტრედია 2:3 სიონი-სამტრედია 0:1 სიონი-ბაია 1:0 სიონი-კოლხეთი (ფ) 0:0 სიონი-U17 5:2 |
| გაგრა კახა კარანაძე | კუპრეიშვილი (სამტრედია), ვ. ხორგუაშვილი, პ. ხორგუაშვილი, რაქვიაშვილი (სიონი), გოგიჩაიშვილი, თოთაძე (დიორ ეტო, უნგრეთი) | ნ. ჯიშკარიანი (დინამო), ზ. ჩხეტიანი (ტორპედო 2008), კიკნაძე (სიონი), გულორდავა (?), ქორთუა (დინაბურგი, ლატვია), ქურდობაძე (35-ე სკოლა), სტურუა (სიონი) | 24 დეკემბრიდან - თბილისში ოლიმპი-გაგრა 3:3 16 იანვრიდან - ანთალიაში გაგრა-კარპატი 0:3 გაგრა-ობოლონი 0:0 |
| ბაია ელგუჯა კომეთიანი | ბ. შეროზია (მთ. მწვრთნელი, კოლხეთი 1913), ძალამიძე (ცსკა, რუსეთი), გუჩუა, დ. ქირია (ორივე- კოლხეთი 1913), რ. ჯიქია (ოლიმპი), ჟვანია (სამტრედია) | ს. ჭედია (მთ. მწვრთნელის კონსულტანტი), სომხიშვილი (დინამო), კვესეიშვილი (სამტრედია), ყველაშვილი (ვიტ ჯორჯია), სახოკია (?), ვ. ბოლქვაძე (დინამო 2), ბებუა (ლოკომოტივი), შ. ლომია (დინამო), ბაკარანძე (სამტრედია), მატია (კოტ'დივუარი) | 5 იანვრიდან - ზუგდიდში ბაია-17-წლამდე ნაკრები 0:2 ბაია-სიონი 0:1 ბაია-სიონი (დუბლი) 4:1 ბაია-ბათუმი 0:2 |
| ლოკომოტივი გელა სანაია | მოდებაძე (?), ი. გილაური (?), ქურდაძე (?), ბებუა (ბაია), ტიკურიშვილი (?), გ. კვანტალიანი (სიონი) | გ. ნუგზარის-ძე ჭელიძე (?), ჩარგეიშვილი (დინამო 2), ვეკუა (ვიტ ჯორჯია 2), ლ. დეკანოსიძე, გვენცაძე (ორივე სპარტაკი), კაკულია (ოლიმპი), ბონ. გოცირიძე (?), ზ. მეტრეველი (?) | 5 იანვრიდან - საგურამოში ლოკომოტივი-IBSU 0:1 |

შენიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერი

ინტერვიუ

გიორგი შაშიაშვილი



## ვერ დავიჯერებ, რომ სანაკრებო სიას მხოლოდ კუპერი ადგენდა

**შაბათს გიორგი შაშიაშვილის „ერგოტელისმა" „ლევადიაკოსს" 1:0 მოუგო, ქართველმა მცველმა კი ამჯერადაც სრულად ითამაშა. გიორგის ბოლოდროინდელ საკლუბო ამბებზე ვესაუბრეთ და სანაკრებო თემასაც შევეხეთ.**

**- რა იყო მიზეზი, რომ თქვენმა გუნდმა ჩემპიონატის მეორე წრე ცუდად დაიწყო?**

- ძირითადი შემადგენლობის არაერთი ფეხბურთელი დაგვიშავდა, რაც შედეგებზე მომენტალურად აისახა. ჩვენნაირ გუნდებს არ აქვთ გრძელი სათადარიგოთა სკამი და თუნდაც ერთი წამყვანი მოთამაშის შეცვლა დიდ პრობლემებთანაა დაკავშირებული. ამ ტურისთვის კი სამი ფეხბურთელი დაგვიბრუნდა, რაც უცებ დაგვეტყო.

**- ამჟამინდელი სატურნირო მდგომარეობა, ალბათ, ვერაა დამაკმაყოფილებელი.**

- რა თქმა უნდა. ჩვენი მიზანი ევროთასების საგზურის მოპოვებაა და დღეისათვის მხოლოდ და მხოლოდ მერვე ადგილზე ვართ. თუმცა ჯერ საამისო შანსები არ დაგვიკარგავს. მთავარი ბრძოლები წინაა და დარწმუნებული ვარ, სულ მალე ცხრილში ზევით ავინაცვლებთ.

**- ადრე გითქვამთ, რომ „ერგოტელისს" კიდევ სურს ქართველი ფეხბურთელები.**

- დიახ, ზაფხულისთვის ეს საკითხი აუცილებლად დადგება დღის წესრიგში. „ერგოტელისი" ყველა პოზიციაზე აპირებს გაძლიერებას და სასურველ მოთამაშეთა სიაში ქართველებიც იქნებიან. ბუნებრივია, ჩემს რეკომენდაციასაც გაითვალისწინებენ. თავის ქებაში არ ჩამომართვათ, მაგრამ მწვრთნელები მენდობიან და ჩემს სიტყვას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ჩემი კლუბი ისეთი დონის ფეხბურთელებით დაინტერესდება, რომლებსაც გასინჯვაც კი არ დასჭირდებათ და პირდაპირ გაუფორმებენ კონტრაქტს. „ერგოტელისს" ფინანსურად ნამდვილად არ უჭირს და მისთვის სასურველი ფეხბურთელი თავისუფალი აგენტიც რომ არ იყოს, თანხას მაინც გადაიხდის.

**- როგორც ჩანს, მომავალი სეზონისთვის უფრო ძლიერი გუნდის ჩამოყალიბებას აპირებენ.**

- ხელმძღვანელობა გვეუბნება, რომ ეს ძლიერი გუნდის მშენებლობის მხოლოდ პირველი სეზონია. მომავალი სეზონისთვის კი სამეულში მოსახვედრად აპირებენ ბრძოლას. ბუნებრივია, ასეთ სიტუაციაში თამაში ნებისმიერი ფეხბურთელისთვის სასიამოვნოა. „ერგოტელისში" უკვე ნახევარ წელიწადზე მეტია, ვთამაშობ და აქ გადმოსვლა ერთი წამითაც არ მინანია.

**- სადმე ექტორ კუპერს ხომ არ შეხვედრიხართ?**

- არა, მაგრამ მის „არისს" 14 თებერვალს ვეთამაშებით და იქ ვნახავ. ფაქტია, რომ „არისმა" მისი ხელმძღვანელობით დიდი პროგრესი განიცადა, მარტო „ოლიმპიაკოსის" დამარცხება და „პანათინაიკოსთან" მიღწეული ფრე რად ღირს. კუპერს ჩვენთან კარგი ნაკრების ჩამოყალიბება შეეძლო, მაგრამ სამწუხაროდ, მიზეზთა გამო ან ვერ შეძლო, ან არ მოინდომა.

**- ამის მიზეზად რა მიგაჩნიათ?**

- უპირველეს ყოვლისა, არასწორი საკადრო პოლიტიკა. საქართველოს სულ რამდენიმე მაღალი დონის ფეხბურთელი ჰყავს და მათ უმეტესობაზე კუპერმა უარი თქვა. სამაგიეროდ, ნაკრებში მრავლად თამაშობდნენ ისეთი ფეხბურთელები, მათი იქ ყოფნა გაოცებას რომ იწვევდა. ჩემი მხრიდან უხერხული იქნება გვარების დასახელება, გულშემატკივრები ყველაფერს მშვენივრად ხედავდნენ. ამას მხოლოდ შეცდომას ვერ დავარქმევ. კუპერი ფეხბურთში შესანიშნავად ერკვევა და არა მგონია, მსგავსი საკადრო პოლიტიკა მხოლოდ მისი იდეა ყოფილიყო. ფაქტია, რომ მის საქმიანობაში ერეოდნენ. ვერაფრით დავიჯერებ, რომ სანაკრებო სიას მხოლოდ კუპერი ადგენდა. იმედია, ახალი ნაკრებისა და ახალი ფედერაციის პირობებში, მსგავსი რამ აღარ განმეორდება და საკადრო პოლიტიკა ეჭვებს აღარ გააჩენს. თუ ნაკრებში მხოლოდ უძლიერესებმა არ ითამაშეს, ისედაც ცუდ მდგომარეობაში მყოფი ქართული ფეხბურთის საქმე კიდევ უფრო უკან წავა.

**- ბოლო დროს აქტიურად საუბრობენ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში უცხოელი ფეხბურთელების ნატურალიზაციაზე. ამაზე რა აზრის ხართ?**

- მე ამ იდეას ვერ გავიზიარებ. ჩემი აზრით, სანაკრებო ფეხბურთში მსგავსი ნაბიჯების გადადგმა დაუშვებელია. საკმაოდ ნორმალური კადრები გვყავს და ამით უნდა გავიდეთ ფონს. მიხარია, რომ ძალიან ნიჭიერი ახალი თაობა მოდის, რომლებიც დარწმუნებული ვარ, ჩვენზე მეტს მიაღწევენ.

**- ახლოვდება მომავალი შესარჩევი ციკლის წილისყრა. ვინ მიგაჩნიათ სასურველ და არასასურველ მეტოქეებად?**

- ესპანეთს და ინგლისს არ ვისურვებდი, იტალიასთან შეხვედრებიც უკვე საკმარისზე მეტი გვქონდა. აი, რუსეთთან ერთ ჯგუფში მოხვედრა რომ შესაძლებელი ყოფილიყო, კი გამიხარდებოდა. გასაგებია, რომ ეს ძალიან საპასუხისმგებლო მატჩები იქნება, მაგრამ იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენზე მეტად რუსები ინერვიულებენ, რაც დადებითი შედეგის მიღწევის შანსს დაგვიტოვებს. გაიხსენეთ 2003 წელი, რა უძლოდა წინ საქართველო-რუსეთის დაპირისპირებას. თამაშს რუსები პანიკური განწყობით შეხვდნენ, ამის გამო საკუთარი შესაძლებლობები სანახევროდაც კი ვერ წარმოაჩინეს, რითაც შესანიშნავად ვისარგებლეთ და ქართველ ხალხს უდიდესი სიხარული ვაჩუქეთ.

ლევან ჯანეზაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

ლევან კობიაშვილი

# ფუნკელისგანაც ბევრი რამის სწავლა შეიძლება...

## კობიაშვილს იმედი აქვს, რომ ბერლინში მხოლოდ ექვს თვეს არ დაჰყოფს

გერმანული პრესა კიდევ ერთხელ დაინტერესდა „ჰერტას“ ქართველი მცველით ლევან კობიაშვილით და კითხვებით მიმართა. საკლუბო კარიერის გარდა, კობის ნაკრებზეც ჰკითხეს. მასალა საინტერესოა და ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველი დროს ტყუილად არ დაკარგავს.

**- „ჰერტაში“ თქვენნაირი დებიუტს ბევრი ინატრებდა. „ჰანოვერის“ სტუმრად 3:0 დაამარცხეთ. ელოდით ასეთ მოგებას?**

- პირველი წრის შემდეგ გუნდს მხოლოდ 6 ქულა ჰქონდა და რასაკვირველია მთავარი აქცენტი ქულების დაგროვებაზე გვაქვს გადატანილი. ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის ვიბრძვით და ბუნებრივია, ამისათვის ქულები გვჭირდება. ბერლინში ჯერ კიდევ ახალი გადმობარგებული ვიყავი, როცა ვთქვი, რომ „ჰერტას“ ბევრად უკეთესი კლასი და პოტენციალი აქვს, ვიდრე ეს გათამაშების ცხრილიდან ჩანს-თქო. წლის სასტარტო ტურში ეს გამოჩნდა და მჯერა, რომ ჩემი ნათქვამი კიდევ არაერთხელ დამტკიცდება. რაც შეეხება „ჰანოვერთან“ მატჩს, მთელმა გუნდმა გადაწყვიტა, გვეჩვენებინა, რომ კარგი და შედეგიანი თამაში შეგვიძლია. გავედით მოედანზე და ეს დავამტკიცეთ კიდეც.



**- ახალ გუნდში როგორ მიგიღეს?**

- თამამად შემიძლია გითხრათ, რომ ჩინებულად დამხვდნენ. „ჰერტაში“ უმალ იგრძნობა, რომ ყველა ასპექტში პროფესიული მიდგომაა, ეს კი ძალზედ მსიამოვნებს. ფეხბურთელებმა, მწვრთნელებმა და კლუბის ოფიციალურმა პირებმა თბილად მიმიღეს. მათგან ვიგრძენი, რომ ჩემი სჯერათ. ამან კი დამატებითი სტიმული შემძინა.

**- ბერლინი როგორ მოგეწონათ?**

- ორი კვირაა, რაც „ჰერტაში“ ვარ. იანვრის დასაწყისში მოსამზადებელ შეკრებაზე ვიყავით. იქიდან დავბრუნდით და სულ რამდენიმე დღეა, რაც ბერლინში ვარ - ჩინებული ქალაქია, ბევრი კარგი რამ მსმენია, მაგრამ ჯერჯერობით დრო არ მქონდა საიმისოდ, რომ დედაქალაქი კარგად დამეთვალიერებინა.

**- ზამთრის პაუზისას „ჰერტამ“, თქვენთან ერთად ბერძენი ფორვარდი თეოფანის გეკასი და ჩეხი მცველი რომან ჰუბნიკი დაიმატა. მათზე რა წარმოდგენა გაქვთ, რამდენად შეძლებენ გუნდის გაძლიერებას?**

- საწყენია, რომ რომან ჰუბნიკი დაშავდა და გარკვეული პერიოდით თამაშს ვერ შეძლებს. მოსამზადებელ შეკრებაზე ნათლად გამოჩნდა, რომ ჰუბნიკი საიმედო მცველია და ჩვენს გუნდსაც დიდად წაადგება. რაც შეეხება თეოფანის გეკასს, მან ჯერ კიდევ „ბოხუმში“, „ლევერკუზენსა“ და საბერძნეთის ეროვნულ ნაკრებში დაამტკიცა, რომ მაღალი კლასის თავდამსხმელია, „ჰანოვერთანაც“ გვაჩვენა, რომ გოლის გასატანად ბევრი შანსი არ სჭირდება.

**- თუ „ჰერტა“ ბუნდესლიგაში დარჩება, კლუბთან თქვენი კონტრაქტი კიდევ 2 წლით გახანგრძლივდება. გჯერათ, რომ ცხრილის აუტსაიდერი სასწაულს მოახდენს და მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითება არ მოუწევს?**

- ამისი რომ არ მჯეროდეს, მაშინ, ალბათ ამ გუნდშიც არ ვიქნებოდი. ბერლინში მხოლოდ 6 თვით დასარჩენად არ ჩამოვსულვარ, უფრო მეტი დრო მინდა ამ გუნდში დავყო. ჩვენ ყველანი აქ იმიტომ ვართ, რომ ერთი მიზანი გვაერთიანებს - ლიგაში დარჩენა. ეს იოლი არ იქნება, რადგან გასავარდნი ზონის გუნდებთან რამდენიმე ქულა გვაშორებს. თუმცა სულაც არ ვიტყოდი, რომ ლიგაში ადგილის შენარჩუნება შეუსრულებელი ამოცანაა. „ჰანოვერთან“ მოგებითა და „მიონხენგლადბახთან“ აღებული ქულით, ლიგაში დარჩენისთვის გარკვეული ნაბიჯი გადავდგით. ასე რომ, რთული ამოცანის გადაჭრა გვიწევს, მაგრამ ეს არარეალური სულაც არ არის. თუ მოვიდომებთ, შევძლებთ და მჯერა რომ ამას მოვახერხებთ.

**- პირველ გასვლით მატჩში თითქმის 4 ათასი გულშემატკივარი გამხნევებდათ. მათი მხარდაჭერის გამო, ჰანოვერში, ფაქტობრივად, შინაურული სიტუაცია შეგექმნათ. ასეთ ქომაგობას როგორ შეაფასებდით?**

- ეს ფანტასტიკური იყო, მით უმეტეს პირველი წრეში ნაჩვენები შედეგების ფონზე. გულშემატკივრის მხარდაჭერა გუნდს გასაჭირში უფრო მეტად სჭირდება და ჩვენ ეს ერთგულება ჰანოვერშიც დავინახეთ. მეორე წრის სასტარტო ტურში ჩვენი მოგება ქომაგების დიდი დამსახურება იყო. ჩვენ ყველას გვჯერა, რომ გულშემატკივრისგან ერთგული მხარდაჭერა არ მოგვაკლდება. ჩვენ კი ვალდებული ვართ ისინი შედეგებით გავახაროთ.

**- „ჰერტასა“ და „შალკეს“ შორის მეტოქეობა საქვეყნოდ ცნობილია. ამ ფონზე თქვენმა გაბედულმა ნაბიჯმა და ბერლინში გადმობარგებამ ბევრი გააოცა...**

- ნამდვილად არ ვიცი, რა მეტოქეობაა ამ გუნდებს შორის და საიდან იღებს ის სათავეს. „შალკე“ ჩემთვის უკვე წარსულია, ახლა „ჰერტაში“ ვარ და თავს ჩინებულად ვგრძნობ. ჩემი ვალია, კარგად ვითამაშო და ჩემს ახალ გუნდს სარგებელი მოვუტანო.

**- ბუნდესლიგაში თითქმის 300 მატჩი გაქვთ ჩატარებული და არაერთ მწვრთნელთან გიმუშავიათ. „ჰერტას“ თავკაც ფრიდჰელმ ფუნკელზე რას იტყოდით. როგორ უძლვება ის საქმეს?**

- ის დიდ სამუშაოს ასრულებს. მატჩების გარდა, ფუნკელი ვარჯიშებზეც თითოეული ფეხბურთელისგან მაქსიმუმს ითხოვს. ჩემი კარიერის განმავლობაში მართლაც ბევრ მწვრთნელთან მიმუშავია და ბევრი ვისწავლე მათგან. ფუნკელისგანაც ბევრის სწავლა შეიძლება.

**- თებერვალში ევროპის ლიგაზე იასპარეზებთ და „ბენფიკასთან“ მოგიწევთ მეტოქეობა. შანსებს როგორ აფასებთ?**

- რა თქმა უნდა, „ბენფიკა“ ევროპულ ფეხბურთში გამორჩეული გუნდია. თუმცა იმასაც არ ვიტყოდი, რომ ამ წყვილში უიმედო აუტსაიდერები ვართ. მომდევნო ეტაპზე გამსვლელის ვინაობა ორი მატჩის ჯამში გაირკვევა და ყველაფერი შეიძლება მოხდეს... ხომ შესაძლებელია, რომ „ბენფიკას“ ჰქონდეს ცუდი დღე, ჩვენ კი პირიქით იღბლიანი... ევროპის ლიგაზე სიურპრიზებია არცთუ იშვიათობაა. ასე რომ, ვნახოთ.

**- კარიერის განმავლობაში არაერთ პოზიციაზე გითამაშიათ. ყველაზე უფრო კომფორტულად რომელ ამპლუაში გრძნობთ თავს?**

- დიახ, სწორედ რომ ასეა, საჭიროების გამო არაერთ პოზიციაზე მითამაშია. თუმცა ყოველთვის ვამბობდი, რომ ჩემი იდეალური პოზიცია ნახევარდაცვის მარცხენა ფრთაზეა. თუმცა თუ გუნდს სჭირდება, მარცხენა მცველადაც უპრობლემოდ შემიძლია თამაში.

**- საქართველოს ნაკრებში წამყვანი ფიგურა ხართ. თქვენმა ქვეყანამ 1991 წლის 9 აპრილს გამოაცხადა დამოუკიდებლობა და ჯერ კიდევ ახალგაზრდა სახელმწიფოა. თვლით თუ არა, რომ საქართველოსაც შეუძლია სერბეთისა და სლოვაკეთის დარად, მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობა?**

- მშვენიერი კითხვაა და ეს ბევრ ქართველს აწუხებს. საქართველო ახლაც ფეხბურთით ცხოვრობს. სპორტის ამ უპირველეს სახეობას ჩვენს ქვეყანაში მდიდარი ტრადიციები აქვს. მიუხედავად ამისა, დღეს ჩვენი ნაკრები იმ შედეგებს ვერ აჩვენებს, რისი პოტენციალიც გაგვაჩნია. ბოლო წლებში ჩვენში საფეხბურთო ინფრასტრუქტურა არ განახლებულა, მწვრთნელთა განათლებისა და ბავშვთა ფეხბურთის სფეროში წლების განმავლობაში რეგრესი იყო და ალბათ ამიტომაცაა, რომ საკვალიფიკაციო ეტაპებზე ჩვენი ნაკრები ცუდ შედეგებს აჩვენებს. ახლა ჩვენ ფეხბურთის ფედერაციის ახალი პრეზიდენტი გვყავს, ეროვნულ გუნდს ახალი მწვრთნელი ხელმძღვანელობს. ფეხბურთის პროგრესისათვის დადებითი ძვრები დაიწყო, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ბევრი დაგროვილი პრობლემაა მოსაგვარებელი. ასე რომ, იმედიანად ვარ განწყობილი და მჯერა, საქართველო მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებს. შესაძლოა, ეს ჩემს კარიერაში არ მოხდეს, მაგრამ ეს ნამდვილად მოხდება.

დავით ცაბაძე

U 17

# ჟორჟიკაშვილის სელექცია


კობა ჟორჟიკაშვილი

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ზუგდიდური შეკრება დაასრულა და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდისთვის მზადებას თბილისში განაგრძობს. შეგახსენებთ, დასავლეთში **გიორგი დევდარიანის** გუნდმა ორი ამხანაგური მატჩი ჩაატარა – „ბაიას“ 2:0 მოუგო, ბოლნისის „სიონთან“ კი 2:5 დამარცხდა.

„ბაიას“ ბაზაზე კი ამჟამად 17-წლამდელთა ის ნაკრები ვარჯიშობს, რომელიც **კობა ჟორჟიკაშვილის** ხელმძღვანელობით შემოდგომაზე ევროპის შემდეგი ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე იასპარეზებს. ჟორჟიკაშვილის გუნდი ზუგდიდში ორ კვირას დაყოფს. ნაკრების ჩამოყალიბების პროცესი ახლა მიმდინარეობს, მწვრთნელები ახლაც და შემდგომშიც არაერთ კანდიდატს დააკვირდებიან. მომავალმა 17-წლამდელებმა ერთი საკონტროლო მატჩი უკვე ჩაატარეს, სადაც **თენგიზ სულაქველიძის** საფეხბურთო აკადემიის გუნდი 4:0 დაამარცხეს.

ლევან ჯანეზაშვილი

## ბიზნესის ჩემპიონთა ლიგა

### რეგულარული ჩემპიონატი. 2009/10. VI ტური

**ვისოლი–პეპსი 1:1**

გოლები: 1:0 ბობოხიძე (10), 1:1 შერმადინი (17)

მატჩის საუკეთესო მოთამაშეები: თემურ ჯაფარიძე; (ვისოლი), ზურაბ შერმადინი (პეპსი)

**PSP–საქ. უნივერსიტ. 2:7**

გოლები: 1:0 მაჭავარიანი (7), 1:1, 1:2 კობიძე (8, 10), 2:2 მაჭავარიანი (13), 2:3, 2:4 გოგიშვილი (14, 21), 2:5, 2:6 კობიძე (22, 25), 2:7 მახარაშვილი (27)

მატჩის საუკეთესო მოთამაშეები: ლევან მაჭავარიანი (PSP), კობიძე (საქ. უნივერსიტეტი)

**ავტობილდი–AMTS 4:2**

გოლები: 1:0, 2:0 ჩიქოვანი (13, 19), 3:0 ნიკლაური (21), 3:1 ადამაშვილი (22), 4:1 ჩიქოვანი (26), 4:2 ქელიძე (30)

მატჩის საუკეთესო მოთამაშეები: გიორგი ბიბილეიშვილი (ავტობილდი), ზურაბ ლეკიშვილი (AMTS)

**TBC ბანკი–გიგაბაიტი 2:4**

გოლები: 0:1 მაყიშვილი (9), 0:2, 0:3 ჯინიკაშვილი (10, 19), 1:3 კარბაია (24), 1:4 ფურცელაძე (29), 2:4 კარბაია (29)

მატჩის საუკეთესო მოთამაშეები: აკაკი კუხიანიძე (თიბისი ბანკი), გიორგი ჯინიკაშვილი (გიგაბაიტი)

**პატრული–სპორტმედია 6:2**

გოლები: 1:0, 2:0 ჭანტურია (3, 15), 2:1 ედიშერაშვილი (17), 2:2 მეკოკიშვილი (21), 3:2 ჭანტურია (21), 4:2 თავაძე (24), 5:2 მარლიშვილი (26), 6:2 თავაძე (29).

მატჩის საუკეთესო მოთამაშეები: დავით მარლიშვილი. (პატრული), ლაშა დვალიშვილი (სპორტმედია)

**ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშის გამოკითხვა**

| | |
|---|---|
| ლაშა დვალიშვილი (სპორტმედია) | 5 ხმა |
| ბორის გონჩაროვი (ალგორითმი) | 3 ხმა |
| გიორგი გოგშელიძე (ფალავანი) | 3 ხმა |
| ლევან მაჭავარიანი (PSP) | 3 ხმა |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ბაჩო კოგიძე (სუ) | 12 |
| გიორგი ჯინიკაშვილი (გიგაბ.) | 10 |
| ბონდო გოცირიძე (ფალავანი) | 10 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გიგაბაიტი | 6 | 4 | 2 | 0 | 23-12 | 14 |
| 2. თიბისი | 6 | 4 | 0 | 2 | 17-10 | 12 |
| 3. მითანა | 4 | 3 | 1 | 0 | 16-9 | 10 |
| 4. პეპსი | 5 | 3 | 1 | 1 | 13-11 | 10 |
| 5. საქ. უნივერს. | 4 | 3 | 0 | 1 | 24-6 | 9 |
| 6. ალგორითმი | 3 | 3 | 0 | 0 | 15-5 | 9 |
| 7. პატრული | 5 | 2 | 1 | 2 | 11-8 | 7 |
| 8. ავტობილდი | 6 | 2 | 1 | 3 | 13-20 | 7 |
| 9. ფალავანი | 4 | 2 | 0 | 2 | 12-14 | 6 |
| 10. ვისოლი | 4 | 1 | 2 | 1 | 8-4 | 5 |
| 11. სპორტმედია | 4 | 1 | 0 | 3 | 10-17 | 3 |
| 12. PSP | 6 | 1 | 0 | 5 | 14-24 | 3 |
| 13. დინამო | 3 | 0 | 0 | 3 | 4-14 | 0 |
| 14. AMTS | 6 | 0 | 0 | 6 | 6-32 | 0 |




ეროვნული ბიბლიოთეკა



ანგოლა 2010 — მეოთხედფინალები

# სპილოებო, შინ შინ გასწით!

## ის ურჩევნია განასა...

მასპინძელი ანგოლა ჩემპიონატს დაემშვიდობა, აფრიკის ერთა თასის ოთხგზის გამარჯვებულმა განამ მინიმალური ანგარიშით დაამარცხა მეტოქე (1:0) და ნახევარფინალში გავიდა. „შავი ვარსკვლავები" წარმატებას ორ კაცს უნდა უმადლოდნენ, პირველი 20 წლის **ანდრე „დედე" აიევია**, მეორე 24 წლის ფორვარდი **ასამოა გიანი**. მატჩის მე-16 წუთზე აიევის დიაგონალური პასით საჯარიმოში შეჭრილმა „რენის" ფორვარდმა გამარჯვების გოლი გაიტანა. სხვათა შორის, დედე აიევი, რომელიც „მარსელს" ეკუთვნის და იჯარით „არლ-ში" თამაშობს, ყველაზე ცნობილი განელი ფეხბურთელის, **აბედი პელეს** შვილია. თავიდან „პალანკას ნეგრასი" უკეთ თამაშობდა, ანგოლა ბევრს უტევდა განას კარს, მაგრამ „შავი ვარსკვლავების" ერთმა კონტრშეტევამ ანგოლა წელში გატეხა.

ამის შემდეგ **მანუელ ჟოზეს** გუნდი შორეული პასების წყალობით ცდილობდა ფონს გასვლას, მაგრამ განელთა მჭიდრო ნახევარდაცვის გადალახვა ძნელი საქმე იყო. 34-ე წუთზე მასპინძლებს კინალამ გოლკიპერი **კინგსონი** დაეხმარა, მან სულელურად ითამაშა ხელით საჯარიმოში, რის გამოც მეკარის ბაქნიდან თავისუფალი დარტყმა დაინიშნა. კინგსონის ბედად **ფლავიომ** ხარიხას გადააცილა ბურთი. მეორე ტაიმში სანახაობრივი ფეხბურთი ვერ ვიხილეთ, მასპინძლებს ნერვიულობა შეეტყოთ და მათმა შეტევებმა სიმწყობრე დაკარგა. განას კი გოლის ავტორი ასამოა გიანი დაემტვრა და ის შესაცვლელი გახდა. საბოლოოდ სერბი სპეციალისტის, **მილოვან რაჟევაცის** გუნდი ბრძოლას აგრძელებს.



ნამის წინ ბუაზას თავურმა სპილოები შინ გაუშვა

მეორე მეოთხედფინალურ წყვილში ნამდვილი ტრილერი და დიდი მოულოდნელობა ვიხილეთ - ალჟირის ნაკრებმა ჩემპიონატის ფავორიტი კოტ დ'ივუარი აფრიკის ერთა თასის მიღმა დატოვა. არადა, „სპილოებმა" პირველებმა გაიტანეს, მე-4 წუთზე მატჩის პირველივე ხეირიანი შეტევა გოლით დასრულდა - **იაია ტურეს** დარტყმულის შემდეგ ბურთი მცველ **ბუგერას** მოხვდა და **სალომონ კალუს** მიუვიდა, „ჩელსის" ფორვარდმა საჩუქარი შესანიშნავად შეიშნო. ალჟირმა შეუტია და **დიდიე დროგბასა** და კომპანიას კონტრშეტევებზე შესანიშნავი შესაძლებლობები მიეცა, ერთხელ დიდიე საჯარიმოში მოცელეს კიდეც, თუმცა სეიშელელმა მსაჯმა პენალტი არ დანიშნა. ალჟირმა მე-40 წუთზე გაათანაბრა, **ქარიმ მატმურმა** შორეული პასი საჯარიმოში მიიღო და აუღებელი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში - 1:1.

მეორე ტაიმში დაცვაში არც ერთ გუნდს არ დაუხევია, თამაში ორმხრივი, მწვავე შეტევებით წარიმართა. თამაშის მიწურულს **ჰალიჰოჯიჩმა** კალუს ნაცვლად **კადერ კეიტა** შეუშვა, ბოლოსწინა წუთზე კეიტამ 30 მეტრიდან ჩემპიონატის ერთ-ერთი ულამაზესი გოლი გაიტანა. თითქოს, კოტ დ'ივუარი ნახევარფინალის საგზურს შესწვდა, მაგრამ ალჟირელებმა უმალვე გაათანაბრეს, **ბელჰაჯის** პასით ბუგერამ გაიტანა - 2:2.

დამატებითი პირველი ტაიმი დაიწყო და... „სპილოები" დაცვაში შეცდნენ და შეცვლაზე შემოსულმა **ჰამერ ბუაზამ ზიანის** ჩაწოდებულს თავური შეახვედრა - 2:3. დრო კიდევ უხვად იყო, თუმცა დროგბას ერთი-ორი სახიფათო თავურის მეტი „კოტ დ'ივუარმა" ველარაფერი გაახერხა.

**ანგოლა-განა 0:1**

**ანგოლა (3-5-2):** კარლუში - მარკესი, კალი, ზუელა (77. გილერმე) - მაბინგა, ჯალმა, ქსარა, სტელვიო (57. რიკარდო), ჟილბერტო (74. ჟოზე) - ფლავიო, მანუჩო.

**განა (4-4-2):** კინგსონი - სარპეი, ადი, ვორსა, ინკოომი - დ. აიევი (90. ი. აიევი), ასამოა, აგიემანგ ბადუ, დრამანი (79. ადო) - ოპოკუ, ასამოა გიანი (62. ამოა).

**გოლი:** 0:1 ასამოა გიანი (16)

**კოტ დივუარი-ალჟირი 2:3, დ.დ**

**კოტ დივუარი (4-3-3):** კოპა - დემელი, კ. ტურე, ბამბა, ტიენე - ტიოტე (72. ფაე), ი. ტურე, ზოკორა (96. დინდანე) - კალუ (83. კ. კეიტა), დროგბა, ჟერვინიო.

**ალჟირი (4-2-3-1):** ჩაუჩი - ჰალიჩე, იაჰია (85. რაჰო), ბუგერა, ბელჰაჯი - იებდა, მანსური - ზიანი (106. აბდუნი), მეგნი (91. ბუაზა), მატმური - გეზალი.

**გოლები:** 1:0 კალუ (4), 1:1 მატმური (40), 2:1 ა. კეიტა (89), 2:2 ბუგერა (90), 2:3 ბუაზა (92 დამატებითი დრო)

ნიკოლოზ ნეფარიძე

# ფარაონებმა ლომები მოათვინიერეს

## ჰასან-შოუ ანგოლაში

**ეგვიპტე-კამერუნი 3:1, დ.დ**

**ეგვიპტე (4-4-2):** ელ ჰადარი - მოავადი, ფათალა, გომაა, ალ მუჰამადი - აბდ რაბუ (85. ლალი), საიდი, ფათჰი, ჰასანი (118. აბდელ შაფი) - მატეები, ზიდანი (67. ნაგი გედო).

**კამერუნი (4-3-3):** კამენი - ჯერემი (106. ბიკეი), ნკულუ, ჩედჯუ, ბედიმო - მანდჯეკი, ა. სონგი, ენო - ემანა (88. ვებო), ეტოო, იდრისუ.

**გოლები:** 0:1 ჰასანი (26-საკ. კარში), 1:1 ჰასანი (37), 2:1 ნაგი გედო (92), 3:1 ჰასანი (95)

**გაძევება:** ჩედჯუ (112)

**ზამბია-ნიგერია 0:0, პენ 4:5**

**ზამბია (4-1-3-2):** მვეენე - მბოლა, ჰიმონდე, სუნზუ, მუსონდა - ნირიენდა - ს. კატონგო, ნჯოვუ (114. მულენგა), ფ. კატონგუ (90. ჩივუტა) - მულენგა, ჩამანგა (68. მაიუკა).

**ნიგერია (4-2-3-1):** ენიეამა - იუსუფი, შიტუ, ონიეკაჩი, ეჩიეჯილე - კაიტა, ეტუჰუ (62. აილა) - ოდემვინგიე, მიკელი, ობასი (91. ნვანერი) - იაკუბუ (70. მარტინსი).

**გაძევება:** ონიეკაჩი (107)

„ლომებიც" „სპილოების" გზას გაუყენეს - გუშინ ეგვიპტის ნაკრებმა დამატებით დროში გატეხა კამერუნის ნაკრები და აფრიკის ერთა თასის ნახევარფინალის საგზური მოიპოვა. ბოლო დროს კამერუნის ნაკრებისთვის „ფარაონების" გუნდები უხერხულზე უხერხული მეტოქეა, აფრიკის ერთა თასზე ეს „ლომების" ზედიზედ მესამე მარცხი იყო არაბებთან. თითქმის მთელი თამაში კამერუნელთა კარნახით მიმდინარეობდა, მაგრამ ეგვიპტელთა კაპიტნის, **აჰმედ ჰასანის** დუბლმა ჩრდილოაფრიკულ გუნდს მოაგებინა, თუმცა ჰასანის გოლი პირველ დამატებულ ტაიმში მეტად საეჭვო ვითარებაში გავიდა... ჰასანმა საჯარიმო დაარტყა, მაგრამ ბურთს **კამენის** კარის ხაზი არ გადაუკვეთავს, თუმცა ეს კამერუნელებმა ვერაფრით დაუმტკიცეს მატჩის რეფერი **დეიმონ ჯერომს**...

არადა, თავიდან ისე დაიწყო, ეგვიპტის გამოცდილი კაპიტანი მატჩის ანტიგმირი უნდა გამხდარიყო - 26-ე წუთზე **ემანამ** კუთხური ჩააწოდა, ჰასანი შეეცადა ბურთის გამოტანას, მაგრამ საკუთარ კარში შეაგდო. 37-ე წუთზე „ფარაონებმა" გაათანაბრეს, ჰასანმა დანაშაული გამოისყიდა, მან დაახლოებით 35 მეტრიდან დაამწუხრა კარლოს კამენი. ბურთი კამენის წინ დაეცა მიწაზე, თუმცა „ესპანიოლის" გოლკიპერის შეცდომა აშკარაა - 1:1.

მეორე ტაიმში არაფერი მომხდარა საინტერესო, სამაგიეროდ, პირველ დამატებით ტაიმში ნახევარფინალისტის ვინაობა გაირკვა. უკვე მეორე წუთზე აფრიკის ექვსგზის (და ამჟამინდელი) ჩემპიონები **მოჰამედ გედომ** დააწინაურა, **ჯერომ ნჯიტაპმა** კამენის სუსტი პასი მიაწოდა და გედომ ამით ისარგებლა. შემდეგ კი ის ინციდენტი მოხდა, რომელიც ზემოთ ალვწერეთ - 3:1. კამერუნელებმა მატჩი 10 კაცით დაასრულეს - მსაჯმა ბოლო იმედის ჯარიმისთვის **ჩედჯუ** გააძევა. ნახევარფინალში „ფარაონები" ალჟირელებს შეხვდებიან და შეეცდებიან მსოფლიოს ჩემპიონატის პლეი-ოფში მარცხისთვის შურისძიებას. გუშინ აჰმედ ჰასანმა ეგვიპტის ნაკრების რიგებში 170-ე მატჩი ითამაშა, ის აფრიკის კონტინენტზე ყველაზე მეტი სანაკრებო „კეპის" მომპოვებელი ფეხბურთელი გახდა. „ალ აჰლის" 34 წლის ნახევარმცველმა ეს სამი გოლის გატანით აღნიშნა - 1 საკუთარ და 2 მეტოქის კარში.

ვერც ნიგერიის და ზამბიის ნაკრებთა მატჩში გამოვლინდა გამარჯვებული 90 წუთში - 0:0. არც დამატებით დროს მოუტანია გოლები. ასე რომ, ნახევარფინალისტის ვინაობა პენალტების სერიას უნდა გამოევლინა. ზამბიელთა მესამე პენალტამდე ყველაფერი ჩვეულად მიდიოდა, გოლკიპერები ვერ ახერხებდნენ 11-მეტრიანების მოგერიებას. ნიგერიელთა გოლკიპერმა **ენიეამამ** კი **ნირიენდას** აუღო. ბოლო პენალტები გუნდების მეკარეებმა შეასრულეს - ორივემ გაიტანა. საბოლოოდ კი 5:4 ნიგერიელთა სასარგებლოდ.

ნიკოლოზ ნეფარიძე

**ნახევარფინალები**

**28 იანვარი**

განა-ნიგერია

ალჟირი-ეგვიპტე



სამუელ ეტოოც სახლში მიდის

ვოლფსბურგი



არმინ ფეე გააგდეს

# წავიდა, ფეე...

## მივა შუსტერი მგლებში?

როგორც მოსალოდნელი იყო, გუშინ „ვოლფსბურგის" ხელმძღვანელებმა გუნდის მთავარი მწვრთნელი **არმინ ფეე** პოსტიდან გაათავისუფლეს. კვირას გერმანიის მოქმედი ჩემპიონი საკუთარ მოედანზე უსუსურ „კიოლნთანაც" დამარცხდა (2:3), რის შემდეგაც ეჭვი აღარავის ეპარებოდა იმაში, რომ ეს ფეეს უკანასკნელი მატჩი იქნებოდა „მგლების" დამრიგებლის რანგში. ჯერ კიდევ წინა კვირას დაიწყო საუბრები იმის შესახებ, რომ „კიოლნთან" თამაში არმინისთვის ბოლო შანსი იყო. ამრიგად, ეს გახლავთ ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონის რიგით მერვე შემთხვევა, როცა მწვრთნელს აგდებენ.

გუშინ „ვოლფსბურგის" ხელმძღვანელები მთელი დღის განმავლობაში ბჭობდნენ და საღამოთი გადაწყვიტეს, რომ გუნდს სასწრაფოდ ახალი დამრიგებელი სჭირდება. ასეთი რეაქცია ლოგიკური გახლდათ, რადგან „ვოლფსბურგს" 18 ოქტომბრის შემდეგ საშინაო თამაში აღარ მოუგია, გავარდა როგორც ჩემპიონთა ლიგიდან, ისე გერმანიის თასიდან და რაც მთავარია, გერმანიის ჩემპიონობის შენარჩუნებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

ამ დღეებში, ანუ დროებით, „ვოლფსბურგს" მოყვარულთა გუნდის მწვრთნელი **ლორენც-გიუნტერ კიოსტნერი** უთავკაცებს. გადაწყვეტილია, რომ ბუნდესლიგის მომდევნო ტურში, „ჰამბურგთან" მატჩში სათადარიგოთა სკამზე სწორედ მას ვიხილავთ. მერე კი, „ვოლფსბურგში" ახალ მწვრთნელს უნდა ველოდოთ.

*„არმინ ფეე ძალიან კარგად მუშაობდა და ფეხბურთელებთანაც ჩინებული ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ სამწუხაროდ, შედეგს ვერ მიაღწია. სწორედ ეს არის მისი გათავისუფლების მიზეზი. ცხრამატჩიანი მოუგებელი სერია და 38 გაშვებული გოლი – ფაქტია, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. აქამდე გვჯეროდა, რომ ფეე ვითარების შეცვლას მოახერხებდა, მაგრამ „კიოლნთან" მარცხის შემდეგ ამაშიც ეჭვი შეგვეპარა,"* - ეს სიტყვები გუნდის მენეჯერ **დიტერ ჰიონესს** ეკუთვნის. „ვოლფსბურგი" ახლა 24 ქულით მე-10 ადგილზეა, რაც, დაგვეთანხმებით, ჩემპიონი გუნდისთვის ძალიან ცუდი შედეგია.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ფეეს შემცვლელად პირველ რიგში **ბერნდ შუსტერი** მოიაზრება, რომელიც 2008 წლის დეკემბრამდე მადრიდის „რეალს" წვრთნიდა. „ბილდის" ცნობით, „ვოლფსბურგის" შეფებსა და შუსტერს შორის პირველი მოლაპარაკება უკვე შედგა. განიხილება **მათიას ზამერის**, **მარკო ვან ბასტენისა** და **მარკუს ბაბელის** კანდიდატურებიც.

გოტფრიდ ლენცი

მილანური დერბის გამოხმაურება

# მას ჯერ კიდევ ბევრი აქვს სასწავლი...

## გაკვეთილები ლეონარდოსთვის

მილანურ დერბიმდე არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ მატჩი ტაქტიკურ-სტრატეგიული თვალსაზრისითაც მეტად საინტერესო იქნებოდა. ნათელი გახლდათ, რომ მწვრთნელთა ტაქტიკურ ჭიდილს ვიხილავდით და ასეც მოხდა. ეს იმ კატეგორიის თამაში გახლდათ, რომელსაც მეტწილად მწვრთნელები იგებენ და არა ფეხბურთელები. საბოლოო ჯამში, გამარჯვებული **ჟოზე მოურინიო** და მისი „ინტერი" გამოვიდა. ეს არც არის გასაკვირი, პორტუგალიელი გაცილებით კვალიფიციური და გამოცდილი სპეციალისტია, მისი „მილანელი" კოლეგა კი სამწვრთნელო საქმიანობის მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამს. მაინც, რაში აჯობა ჟოზემ ლეოს? - უბრალოდ აჯობა, რადგან კონკრეტული თამაშისთვის კონკრეტული გეგმა მოიფიქრა.

რაც შეეხება **ლეონარდოს**, მას არაფერი შეუცვლია და ტრადიციული ტაქტიკა-სტრატეგია აირჩია: 4-3-2-1 და შეტევაზე ორიენტირებული ფეხბურთი. ლეოს მთავარი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ გუნდი ისევე ათამაშა „ინტერთან", როგორც „სიენასთან", „ლივორნოსთან" თუ „კიევოსთან". უკანმოუხედავად შეუტიო მეტოქეს, რომელსაც უმაღლესი კლასის შემსრულებლები ჰყავს, ფაქტობრივად, სიკვდილის ტოლფასია. მით უმეტეს მაშინ, როდესაც დაცვაში არაერთი წამყვანი ფეხბურთელი გაკლია. როგორც იცით, **ალესანდრო ნესტას**, **ჯანლუკა ძამბროტას** და **მასიმო ოდოს** ტრავმები აქვთ, ძირითად შემადგენლობაში კი ახალბედებს: **ლუკა ანტონინის** და **ინაციო აბატეს** უწევთ თამაში. ახალბედას გარდა ყველაფერია, მაგრამ ვერც **ჯუზეპე ფავალის** ვუწოდებთ საიმედო უკანახაზელს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ფავალი 38 წლის არის და წესით, აქტიურ სპორტს ჩამოშორებულიც უნდა იყოს. თუმცა, ჯუზეპეს ვერაფერს დავაბრალებთ, მიდიოდა კიდეც ფეხბურთიდან, რომ არა „მილანის" მესვეურთა დაჟინებული თხოვნა-მოთხოვნა, გვჭირდები და კიდევ ერთი სეზონით გაახანგრძლივე ხელშეკრულებაო.

>> მე-9 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასჯელი



ჟო უდისციპლინობის გამო დაისაჯა

# ჟო სტამბოლში გააგდეს

„ევერტონის" მწვრთნელ **დევიდ მოიესს** მოთმინების ფიალა აევსო და ბრაზილიელი ჟო გუნდიდან კინწისკვრით გააგდო. დღეს ჟო უკვე თურქული „გალათასარაის" ფეხბურთელია - გააქირავეს. მიზეზი: თავდამსხმელმა ვარჯიში გააცდინა. შეგახსენებთ, რომ ეს ფეხბურთელი „ევერტონის" ხელმძღვანელობას უკვე ჰყავდა მკაცრად გაფრთხილებული: მან საშობაოდ გუნდი თვითნებურად მიატოვა და ბრაზილიაში გაემგზავრა, რის გამოც მწვრთნელმა დააჯარიმა. ბრაზილიიდან ჟო ორი კვირის წინ დაბრუნდა, მაგრამ „ევერტონის" „ფინჩ ფარმ კომპლექსში" გასულ ორშაბათსაც არ მივიდა, რამაც მოიესს უკვე რადიკალური ზომებისკენ უბიძგა.

მწვრთნელმა განმარტა: *„ჟო შობას ბრაზილიაში გაიპარა, რისთვისაც ჩვენ ის დავაჯარიმეთ და შიდასაკლუბო დისკვალიფიკაცია მივუსაჯეთ. შემდეგ მე იგი დავიბარე და ველაპარაკე, ფეხბურთელებს კი ვუთხარი, რომ მისთვის კიდევ ერთი შანსის მიცემას ვაპირებდი და ვთხოვე, ამას გაგებით მოჰკიდებოდნენ, მაგრამ ორშაბათს ჟომ კვლავ გააცდინა ვარჯიში. ადამიანისთვის ამდენი შანსის მიცემა მე არ გამიგია. მეგონა, პირველი სანქციელის შემდეგ მისი გუნდში დაბრუნება პედაგოგიური ნაბიჯი იყო, მაგრამ როგორც ვხედავთ, უკუშედეგი მივიღეთ".*

ლიგის თასი

# პოლიცია საგანგებოდ ემზადება

ხვალ „ქარლინგის" იმავე ლიგის თასზე მანჩესტერული დერბია. მოგეხსენებათ, გასულ კვირაში, „მანჩესტერ სიტიმ" ისტლენდზე „მანჩესტერ იუნაიტედს" 2:1 მოუგო და ახლა ყველა საპასუხო შეხვედრის მოლოდინშია. ისიც გეხსომებათ, რომ პირველ მატჩში „იუნაიტედის" კარში ორივე გოლი არგენტინელმა **კარლოს ტევესმა** გაიტანა - ფეხბურთელმა, რომელიც ამ სეზონამდე სწორედ „მანჩესტერ იუნაიტედში" გამოდიოდა, მაგრამ ინგლისის ჩემპიონთა შეფმა, სერ **ალექს ფერგიუსონმა** მასთან თანამშრომლობის გაგრძელება აღარ ისურვა და ტევესიც „სიტიში" გადაბარგდა. გასულ სამშაბათს, პირველი გოლის შეგდების შემდეგ, როდესაც მოზეიმე ტევესმა „იუნაიტედის" სათადარიგოთა სკამს ჩაურბინა, იქ მდგომ ყოფილ თანაგუნდელს, ვეტერან **გარი ნევილს** ჟესტით აჩვენა - „ბევრი ლაპარაკი გჩვევიაო". პასუხად კი შუათითი მიიღო - „ლელოს" მკითხველისთვის ეს ისტორია ცნობილია. ისიც მოგეხსენებათ, რომ ნევილი, თურმე, ტევესის „მანჩესტერ იუნაიტედში" დატოვების წინააღმდეგი იყო და ფერგიუსონს უჩიჩინებდა, კონტრაქტი არ გაუფორმოო. ერთი სიტყვით, საპასუხო შეხვედრის წინ ინტრიგა დიდია და ცეცხლს ნავთი თავად ნევილმაც დაასხა:

*„პირველ შეხვედრაში ფრეს მაინც ვიმსახურებდით. თამაშის დაწყებიდან 40 წუთსა და ბოლო ნახევარ საათს უპირატესობა ჩვენი იყო. გარდა ამისა, ჩვენს კარში პენალტი არ უნდა დანიშნულიყო. გამეორებებზე ნათლად გამოჩნდა, რომ მსაჯი შეცდა. „მანჩესტერ სიტის" სწორედ ტყუილმა პენალტმა გამოუკეთა გუნება. რაც შეეხება ატმოსფეროს, ის გასულს სამშაბათსაც დიდებული იყო და „ოლდ ტრეფორდზეც" დიდებული იქნება. „იუნაიტედს" თავისი ფანები არასდროს ტოვებენ და ოთხშაბათსაც მხარში გვედგებიან. მანჩესტერული დერბი დიდი მოვლენაა, ხოლო მასში მონაწილეობა - საუცხოო შეგრძნება".*

ალბათ, მიაქციეთ ყურადღება, რომ როდესაც საქმე ატმოსფეროს აღწერაზე მიდგა, ნევილმა თითქოს ტონი შეცვალა - უარყოფითიდან დადებითზე გადავიდა. არ არის გამორიცხული, რომ ის, საამისოდ, გაფრთხილებულიც იყო. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ქალაქ მანჩესტერის პოლიცია ორივე კლუბის წარმომადგენლებს საგანგებოდ შეხვდა და „ვნებათა ღელვისგან" თავის შეკავება მოსთხოვა. ცნობილია, რომ პოლიციელები უსაფრთხოების უფრო მკაცრ ზომებს მიიღებენ, ვიდრე ეს ფეხბურთის ჩვეულებრივი მატჩების დროს ხდება. დაზუსტებით არის ცნობილი ისიც, რომ პოლიციის ვარაუდით, ნევილისა და ტევესის კამათი შეიძლება მასობრივ უწესრიგობებში გადაიზარდოს. გეგმის თანახმად, სამართალდამცავები საკუთრივ სტადიონზე დამატებით 75 პოლიციელს დააყენებენ, „ოლდ ტრეფორდის" გარშემო განლაგებულ პაბებთან კი საგანგებო პუნქტებს მოაწყობენ.

თუმცა, ასეთ დროს გამოჩნდა ადამიანი, რომელიც ამ დაძაბულობაში ცუდს ვერაფერს ხედავს. იგი გახლავთ კარლოს ტევესის ყოფილი მეპატრონე და მისი აგენტი **კია ჯურაბჩიანი**. ჯურაბჩიანმა თქვა: *„ცუდი არაფერი ხდება, უბრალოდ მანჩესტერული დერბი ნამდვილ დიდ დერბის ემსგავსება. ამიერიდან, მანჩესტერული გუნდების დაპირისპირება უფრო მეტად აგვაღელვებს, ვიდრე აქამდე გვაღელვებდა".*

სატრანსფერო ამბები

# რა ხდება რობინიოს თავს?

ეტყობა, ბრაზილიელი **რობინიოს** მანჩესტერული კარიერა მართლა დასასრულს მიუახლოვდა. როგორც ამბობენ, ისტლენდელთა ახალმა მწვრთნელმა, **რობერტო მანჩინიმ** მას პირდაპირ უთხრა, რომ ძირითადი შემადგენლობის მუდმივ წევრად არ განიხილავს და ისიც გალიზიანდა. გასულ უქმეებზე, ბრაზილიური რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში რობინიომ განაცხადა, რომ მას თავადაც აღარ სურს „სიტიში" დარჩენა და ყოფილ კლუბში, „სანტოსში" სწადია დაბრუნება, თუმცა ეს საქმე მარტო ფეხბურთელის ნება-სურვილზე რომ არ არის, თავისთავად ცხადია: იმავე მანჩინიმ და „სიტის" სხვა წარმომადგენლებმა დააზუსტეს, რომ ხელსაყრელ შემოთავაზებამდე თავდამსხმელი ფეხსაც ვერსად გადგამს. გამოდის, რომ ბრიტანეთის ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელი, სანამ ვინმე ისტლენდზე დიდძალ ფულს არ მიიტანს, ვერც სადმე წავა და არც მოედანზე გაიყვანენ ყოველდღე.

მანჩინი ზუსტად ისე მოიქცა, როგორც ამბობდა: რობინიო კვირას, ფეხბურთის ასოციაციის მეოთხე რაუნდის შეხვედრაში „სკანთორპის" წინააღმდეგ ათამაშა. „სიტიმ" 4:2 მოიგო, ბრაზილიელმა მეოთხე გოლი შეაგდო. ახლა ისტლენდელები მეხუთე ეტაპზე „სტოკ სიტის" უნდა შეხვდნენ. „სტოკმა", მოგეხსენებათ, შინ, „არსენალს" მოუგო 3:1. მაგრამ მანჩინი, სავარაუდოდ, დაპირების მეორე ნახევარსაც აასრულებს - რობინიო „სიტის" ძირითადი შემადგენლობის უცვლელი მოთამაშე არ იქნება.

*„კლუბის დირექტორატმა ერთხმად გადაწყვიტა, რომ საუკეთესო გამოსავალი ჩემი გაქირავებაა, - თქვა თავდამსხმელმა ზემოხსენებულ ინტერვიუში, - ჩემთვის „სანტოსში" დაბრუნება იქნება საუცხოო გამოსავალი. „სანტოსში" თავის გამოჩენას და მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრებას მოვახერხებ. „სანტოსი" ჩემი სახლია, იქ ყველას ვიცნობ".*

კიდევ, რობინიომ, რომელსაც, „სიტის" წარმომადგენლების თქმით, პორტუგალიური „ბენფიკაც" ეპატიჟება, განაცხადა, რომ ბრაზილიაში დაბრუნების ეშხით მზადაა ვეება ხელფასის, კვირაში 160 ათასი ფუნტის შემცირებასაც კი დაჰყაბულდეს.

*„ფინანსები, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია, მაგრამ შინაურ გარემოში დაბრუნება და მორალური კმაყოფილებაც ხომ ნიშნავს რაღაცას? „სიტიდან" წასვლა უპირველეს ყოვლისა იმიტომ მინდა, რომ დღეს აქ ყოფნა ძალიან მიჭირს. გუნდში ახალი მწვრთნელია, რომელმაც გარკვეული სისტემა მოიგონა და ყველას ამ სისტემასთან მორგებას სთხოვს. მეორე მხრივ, კაცმა რომ თქვას, ის პატიოსნად მომექცა. მითხრა, რომ ყოველ მეორე შეხვედრაში მათამაშებდა, რაზეც ვუპასუხე, რომ ასეთი რამ მე არ მაინტერესებს. ახლა ხომ მსოფლიოს ჩემპიონატის წელიწადია და ყველა ფეხბურთელს რეგულარულად სჭირდება თამაში".*



რობინიოს მანჩესტერ სიტიში აღარ დაედგომება

ერთი სიტყვით, რობინიოს შექმნილ მდგომარეობაზე გუშინ მამამისთან უნდა ელაპარაკა, შემდეგ კი მანჩინისთანაც აპირებს დაჯდომას და ყველაფრის განხილვას. როგორც ინგლისელმა ჟურნალისტებმა შეიტყვეს, მანჩინიმ რობინიოს რადიოინტერვიუს შესახებ არაფერი იცოდა და რომ გაიგო, დააკონკრეტა - სანამ სარფიან წინადადებას არ მივიღებთ, მანამდე თავდამსხმელი „სიტიში" დარჩებაო.

უფრო ზუსტად მანჩინიმ ასე თქვა: *„არ ვიცი ამწუთას რა ხდება. რობინიოს ჩემთან არ ულაპარაკია. ერთადერთი, რაც შემიძლია ვთქვა, ის გახლავთ, რომ „სკანთორპთან" მისი თამაშით კმაყოფილი დავრჩი. მე ამ თავდამსხმელის გუნდიდან გაშვება არ მინდა, მაგრამ დატოვებასაც აზრი მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ ის ჩვენთან თავს კარგად იგრძნობს. რობინიოს უნდა ყოველდღე ითამაშოს, მაგრამ მე ხუთი თავდამსხმელი მყავს და ვალდებული ვარ მათგან ავირჩიო".*

რობინიოს „მანჩესტერ სიტისთან" კონტრაქტი 2013 წლამდე აქვს გაფორმებული. რაც შეეხება „სანტოსს", მართალია ამ გუნდს სიტუაცია შესწავლილი აქვს და „სიტის" წარმომადგენლებთანაც ულაპარაკია, მაგრამ ისტლენდელთა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ფული ჯერ არ შეუგროვებია. კვირას, კლუბის პრეზიდენტმა **ლუის ალვარო ოლივიერა რიბერომ** განაცხადა, რომ რობინიოს საყიდელი ფულის შეგროვებას სპონსორებთან დალაპარაკება სჭირდება.

*„მე სერიოზული გეგმები მაქვს. რობინიოს დაბრუნება მხოლოდ ექვსი თვით კი არ მინდა, მსურს, ის საფუძვლიანად გადმოვიყვანო. და კიდევ ერთი, თუ რობინიო ბრაზილიაში დაბრუნდება, ის მხოლოდ „სანტოსში" ითამაშებს".*

რამდენადაც ცნობილია, „სიტის" წარმომადგენლები რობინიოსთან დაკავშირებით „ბარსელონასთან" აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს. ბოლო პერიოდში ბევრჯერ დაიწერა, ესპანეთის ჩემპიონს ბრაზილიელის შეძენა უნდაო, მაგრამ მართალია ეს თუ ტყუილი, გასარკვევია. ასე ვთქვათ, ბარსელონაცაა და ბარსელონაც - მწვრთნელი, **პეპ გვარდიოლა** რობინიოს შეძენის მსურველი ყოფილა, მაგრამ გავლენიან ფეხბურთელებს **კარლეს პუიოლსა** და **ჩავი ერნანდესს** მისთვის უთქვამთ, ეს ბიჭი გუნდურ სულს აგვირევს და გასახდელშიც ხალხს დააჯგუფებსო.

# მოსკოვს დოლარების სჯერა

„ლივერპულის" ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელის **იოსი ბენაიუნის** ყიდვა მოსკოვის „დინამოს" მოუნდა - რუსებმა ისრაელის ნაკრების ვარსკვლავის გადასაბირებლად ჯიბიდან 7 მილიონი ფუნტი ანუ 11,2 მილიონი დოლარი ამოიღეს. რასაკვირველია, ბენაიუნი რომ მერსისაიდელთა თავკაცისთვის, **რაფა ბენიტესისთვის** ძალიან ძვირფასი და საჭირო ფეხბურთელია, მთელმა მსოფლიომ იცის, მაგრამ არც ის არის დამალული, რომ „წითლებს" ფინანსურად არ ულხინთ. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, 11 მილიონი დოლარი „ლივერპულისთვის" შეიძლება მისწრება იყოს.

ბენაიუნმა „ლივერპულთან" ახალ კონტრაქტს ხელი გასულ ზაფხულს მოაწერა, მაგრამ ცუდ გასამრჯელოს არც მოსკოველები სთავაზობენ: ოთხი წლის განმავლობაში კვირაში 75 ათასი ფუნტი, თან რუსული ბეგარა, სავარაუდოდ, ბრიტანულზე ნაკლებია.

მერსისაიდელთა სატრანსფერო ამბებიდან კიდევ ესაა საინტერესო: ბენიტესი ლიეჟის „სტანდარდის" თავდამსხმელის, სერბი **მილან იოვანოვიჩის** შეძენას ცდილობს. მისი გეგმით, იოვანოვიჩმა „ლივერპულთან" სამწლიან კონტრაქტს უნდა მოაწეროს ხელი და კვირაში 50 ათასი ფუნტი მიიღოს. სერბი ფორვარდის შეძენით კიდევ „ბირმინგემია" დაინტერესებული და უნდა ითქვას, რომ არც ეს კლუბი სთავაზობს ცოტას: დაბეგვრამდე წელიწადში 3,5 მილიონ ფუნტს, თუმცა თავდამსხმელს უფრო სახელოვან კლუბში სურს თამაში.

საერთოდ, ბენიტესს თავდასხმის გაძლიერება სურს და სანდერლენდელ კოლეგას **სტივ ბრუსს** ფორვარდ **კინუაინ ჯონსზე** ევაჭრება. მოგეხსენებათ, ინგლისში სატრანსფერო ფანჯარა მომდევნო კვირაში იხურება, ასე რომ, არც ამ ამბის გარკვევამდე დარჩა დიდი დრო.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ „ლივერპულის" ერთ-ერთმა თანამფლობელმა ამერიკელმა ბიზნესმენმა **ტომ ჰიქსმა** ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა თავისი ბეისბოლის კლუბის, „ტექსას რეინჯერსის" გაყიდვა და აპრილისთვის 500 მილიონი დოლარის მიღებას ვარაუდობს.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ლივორნო



# კოზმის ზემანი ან პეტრესკუ შეცვლის

გუშინ გავრცელებული ინფორმაციით, **სერსე კოზმიმ** „ლივორნოს" მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა. ექსტრავაგანტურმა სპეციალისტმა სამიოდე თვის წინ ჩაიბარა ტოსკანური გუნდი და შესაბამისად, მისი ამგვარი გადაწყვეტილება, ერთი შეხედვით, მოულოდნელი იყო. თუმცა ამ ნაბიჯს ლოგიკური ახსნა აქვს - კოზმი აღიარებს, რომ კლუბის პრეზიდენტ **ალდო სპინელისთან** ურთიერთობა დაეძება...

სპინელი კი ამასობაში ალტერნატივას ეძებს. ის არ მალავს, რომ ძალიან მოსწონს ჩეხი სპეციალისტი, სკანდალურად ცნობილი **ზდენეკ ზემანი** და იქვე იხსენებს 90-ანი წლების „ფოჯას" (სადაც მაშინ ზემანი მუშაობდა), რომლის თამაში ყველას სიამოვნებას ანიჭებდა. თუმცა „ლივორნოს" ბოსი ეჭვობს, რომ კლუბის მოთხოვნები და სტრატეგია ზემანის გემოვნების ადეკვატური იყოს.

*„ჩვენ დავუკავშირდით რუმინელ დან პეტრესკუსაც, რომელიც ახლა რუსულ „ყუბანში" მუშაობს, თუმცა ვიცით, რომ იქ ბედნიერი არ არის"* - დასძენს სპინელი.

**ლაშა წიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ასოციაციის თასი

# ვენგერის ბრალი ყოფილა...



სოლ კემპბელი გამორჩეულ ყურადღებას იპყრობდა

გუშინაც გითხარით და დღესაც მოგახსენებთ, რომ ინგლისის ასოციაციის თასის მეოთხე ეტაპი ისეთი არაფერია, მასზე დეტალურად გაჩერება რომ ღირდეს, მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვით „არსენალსა" და **სოლ კემპბელზე** - ჩრდილოლონდონელებზე გაჩერება დიახაც ღირს, მით უფრო, თუ მათ ყურადღება მიიპყრეს. ყურადღება კი „მეთოფეებმა" სტოკში 3:1 წაგებით დაიმსახურეს. მათი წყალობით, ხსენებულ მეოთხე ეტაპზე შედარებით თუ აშკარად სუსტ მეტოქეთაგან გამწარებულ ძლიერთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა და ეს მოხდა იმ დღეს, როდესაც გუნდს მისი ოდინდელი ვარსკვლავი, ვეტერანი მცველი კემპბელი დაუბრუნდა.

სტუმართა მწვრთნელმა **არსენ ვენგერმა** „ბრიტანია სთედიუმის" მოედანზე ოდნავ სახეცვლილი შემადგენლობა გაიყვანა - რამდენიმე ყმაწვილკაცს მისცა თავის გამოჩენის საშუალება, თუმცა თვალს, ამ ყმაწვილებზე მეტად, 35 წლის სოლ კემპბელი იპყრობდა. ეს გახლდათ კემპბელის პირველი თამაში „არსენალის" შემადგენლობაში 2006 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ. იმ ფინალში ლონდონელებმა „ბარსელონასთან" წააგეს. მაგრამ, გაირკვა, რომ ინგლისის ნაკრების ძველი მოთამაშის მოედანზე ყოფნამ სტოკელები ვერ დააფრთხო. მათ ძალისმიერი ფეხბურთით გადაწყვიტეს ფონს გასვლა და მიაღწიეს კიდეც მიზანს. მასპინძელთაგან თითო ტაიმში თითო გოლი **რიკარდო ფულერმა** გაიტანა, ხოლო მესამე **დინ უაიტჰედმა** შეაგდო. ლონდონელთაგან **დენილსონმა** შეაგდო - პირველი ტაიმის მიწურულს ანგარიში 1:1 გახადა.

ზემოთ ნახსენები ყმაწვილები, რომლებიც ვენგერმა ამ დღეს ათამაშა, გახლდნენ: **ფრანსის კოკელინი, კრეიგ ისტმონდი** და **ჟეი ემანუელ-ტომასი**. იმ გუნდიდან, რომელმაც გასული კვირის შუაში პრემიერლიგის შეხვედრაში „ბოლტონს" აჯობა, ვენგერმა მხოლოდ **სესკ ფაბრეგასი** და დენილსონი ათამაშა.

მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ვენგერმა დამარცხებაში მხოლოდ საკუთარი თავი დაადანაშაულა:

*„ფიზიკურად „სტოკი" რასაკვირველია, ჩვენზე ძლიერი იყო. მოწინააღმდეგე ჩვენს ფეხბურთელებს შეხვედრის ყოველ მონაკვეთში ორთაბრძოლას სთავაზობდა, ჩვენს გუნდში კი რამდენიმე ახალგაზრდა და ასეთ საქმეებში გამოუცდელი ფეხბურთელი თამაშობდა. ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენ თასიდან გავარდნა გვინდოდა და თავი გავიგდეთ, უბრალოდ გადახედეთ კალენდარს და დაინახავთ, რომ ჩვენთვის ყოველ შეხვედრაში ერთი და იმავე ხალხით თამაში დიდი შეცდომა იქნება. მეორე მხრივ, თუ შემადგენლობას ცვლი და გუნდი ველარ იგებს, ეს შენი, მწვრთნელის ბრალია".*

**ილია ბაბუნაშვილი**

კრიმინალი



სალვადორ კაბანიასი მძიმე მდგომარეობაშია

# კაბანიასს ესროლეს

29 წლის პარაგვაელი ფორვარდი **სალვადორ კაბანიასი** სიკვდილს ებრძვის, წინა ღამით ის ბარში ჩხუბის დროს ცეცხლსასროლი იარაღით თავში დაჭრეს. ექიმები მის მდგომარეობას კრიტიკულს უწოდებენ. კაბანიასი მეგობრებთან და ნათესავებთან ერთად მივიდა მეხიკოს ერთ-ერთ ღამის ბარში. საღამოს ექვსის ნახევარზე მას ჩხუბი მოუვიდა უცნობებთან, რომელიც ბარის ტუალეტში გაგრძელდა, სწორედ იქ გაისმა სროლის ხმა. ფეხბურთელი სასწრაფოდ გადაიყვანეს „ლოს ანხელესის" ჰოსპიტალში, თვითმხილველთა თქმით, მაშინ სალვადორი გონზე იყო და შეკითხვებზეც პასუხობდა. მეხიკოს პროკურორის **მიგელ ანხელ მანსერას** მტკიცებით, პოლიციამ უკვე დააკავა ორი ეჭვმიტანილი. პარაგვაელი ფეხბურთელის მეუღლის მტკიცებით, თავდამსხმელებს მისი დაყაჩაღება უნდოდათ, მაგრამ სალვადორმა მათ წინააღმდეგობა გაუწია.

სალვადორ კაბანიასი პარაგვაის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერია, მას ეროვნულ გუნდში 44 მატჩი აქვს ჩატარებული და 10 გოლი გატანილი. ის გამოირჩევა გოლის გატანის ალღოთი, თავით და ორივე ფეხით კარგი თამაშით და პოზიციის ბრწყინვალე შერჩევით. სწორედ ამ თვისებების გამო მისით ახლახან „სანდერლენდის" ბოსი **სტივ ბრუსი** დაინტერესდა. 2006 წლიდან მოყოლებული კაბანიასი მექსიკურ „ამერიკაში" ასპარეზობს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

დოპინგი



აბა, რა ეგონა რეისს?!

# რეისი მოიცილეს

ეინდჰოვენის პსვ-მ გადაწყვიტა კლუბიდან გააძევოს 20 წლის ნიჭიერი ბრაზილიელი შემტევი **ჟონათან რეისი**. საქმე იმაშია, რომ რეისმა დოპინგტესტი ჩააფლავა, მის ორგანიზმში აკრძალული პრეპარატი აღმოაჩინეს. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ რეისმა ბრაზილიური არდადეგებიდან ხუთი დღით დააგვიანა, თან ჩამოვიდა ფორმიდან სრულად ამოვარდნილი, წონამომატებული. პსვ-ს ბოსებმა გადაწყვიტეს რეისი დოპინგტესტზე გაეტარებინათ, შედეგი კი დადებითი აღმოჩნდა.

*„ძალიან გვიმძიმს ამ გადაწყვეტილების მიღება, ჩვენ რამდენიმე საათი ვითათბირეთ, მაგრამ სხვა გზა არა გვაქვს - დღეიდან, რეისი ჩვენი ფეხბურთელი არაა"*, - განაცხადა პსვ-ს დირექტორმა **იან რეკერმა**. რეისი ჰოლანდიურმა კლუბმა 2007 წელს „ატლეტიკო მინეიროსგან" იყიდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

არსენალი

# ...და სად არიან ის დაუმარცხებლები?

მაშ ასე, „არსენალს" მისი უძლეველობის დროინდელი ფეხბურთელი, ვეტერანი მცველი **სოლ კემპბელი** დაუბრუნდა და კვირას ფეხბურთის ასოციაციის თასზე უკვე ითამაშა კიდეც ჩრდილოლონდონელთა შემადგენლობაში. იმ გუნდიდან, რომელმაც 2003-04 წლების სეზონში პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტული შეხვედრის წაუგებლად მოიპოვა, კარგად კიდევ **პატრიკ ვიერას** ასავალ-დასავალია ცნობილი - პატრიკი ახლახან დაუბრუნდა ინგლისის უმაღლეს დივიზიონს, ოღონდ კემპბელისგან განსხვავებით ძველ გუნდს „მანჩესტერ სიტი" ამჯობინა. საინტერესოა, სად არიან და რას საქმიანობენ დღეს, ტრიუმფიდან სულ რაღაც ექვსი წლის შემდეგ **არსენ ვენგერის** „უძლეველთა" წევრები? გაზეთმა „სანმა" ეს საკითხი შეისწავლა და აი, ასეთი სია ჩამოწერა:

**იენს ლემანი**, 40 წლის - არსად დაკარგულა, გერმანიაშია და „შტუტგარტში" თამაშობს. ითქვა, რომ ფეხბურთელობას ამ ზაფხულზე დაანებებს თავს.

**ჟილბერტო სილვა**, 33 - საბერძნეთში „პანათინაიკოსში" გამოდის. აქტიური მონაწილეობა მიიღო გუნდის ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გაყვანაში. ცდილობს ბრაზილიის ნაკრებში დაბრუნებას.

**ფრედი ლიუნგბერგი**, 32 - კვლავ ფეხბურთს თამაშობს. 2008 წელს 6 მილიონ ფუნტად ღირებული ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა ამერიკულ კლუბ „სიეტლ საუნდერსთან".

**რობერ პირესი**, 36 - ესპანურ „ვილიარეალში" თამაშობს. გასულ წელს „არსენალის" წინააღმდეგაც კი მოუხდა თამაში. ამბობენ, რომ შესაძლოა ინგლისში დაბრუნდეს.

**ტიერი ანრი**, 32 - ამ ვარსკვლავის ასავალ-დასავალს დიდი ძებნა არ სჭირდება, „ბარსელონაშია" და გასულ სეზონში ჩემპიონთა ლიგა და ესპანეთის ჩემპიონის ტიტულიც მოიგო.

**ედუ**, 31 - მას შემდეგ, რაც ესპანურმა „ვალენსიამ" გაუშვა სამშობლოში, ბრაზილიაში დაბრუნდა და „კორინთიანსში" გამოდის. „კორინთიანსთან" 2011 წლამდე აქვს კონტრაქტი.

**პასკალ სიგანი**, 35 - ესპანეთის სეგუნდა დივიზიონში, კლუბ „კარტახენაში" თამაშობს. ერთწლიანი კონტრაქტი აქვს. მანამდე „ვილიარეალში" გამოდიოდა.

**სილვენ ვილტორი**, 35 - მას მერე, რაც „მარსელმა" გაუშვა, კლუბის გარეშეა დარჩენილი. საფრანგეთის მესამე დივიზიონის კლუბ „კრეტელთან" ერთად ვარჯიშობს.

**ხოსე ანტონიო რეიესი**, 26 - დიდი ძებნა არ სჭირდება, მადრიდის „ატლეტიკოშია". ამბობენ, თითქოს, „ევერტონს" უნდა მისი ექვსი თვით ქირაობა.

**ჟერემი ალიადიერი**, 26 - „მიდლსბროშია", „ჩემპიონატში" გამოდის, თუმცა კონტრაქტის ვადა ამ ზაფხულს ეწურება და მომავალი გაურკვეველია.

**ფრენსის ჯეფერსი**, 28 - „შეფილდ უენსდისთან" ერთად „ჩემპიონშიპის" მე-20 ადგილზეა. „უენსდის" ახლა უკვე ყოფილ მწვრთნელს **ბრაიან ლოუს** თვალში არ მოსდიოდა და კლუბს გასაყიდთა სიაში ჩააწერინა.

**ლორენი**, 32 - თელ-ავივის „მაკაბიში" უნდოდა მოწყობა, მაგრამ არ გამოუვიდა. უგუნდოდ არის, ლონდონში, „არსენალის" საწვრთნელი ცენტრის მეზობლად ცხოვრობს.

**ილია ბაბუნაშვილი**



ექვსი წლის წინანდელი დიდი არსენალი

ამბები

## შევჩენკო ელჩად

„მილანისა" და „ჩელსის" ყოფილმა ფორვარდმა **ანდრეი შევჩენკომ** მიიღო წინადადება 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის ელჩი გახდეს. შეგახსენებთ, რომ ევროპის პირველობას პოლონეთი და უკრაინა ერთობლივად უმასპინძლებენ. ჯერჯერობით ოთხმა ადამიანმა განუცხადა საორგანიზაციო კომიტეტს თანხმობა კონტინენტის პირველობის დროს უკრაინის ელჩი იყოს, მათ შორის ერთი **ოლეგ ბლოხინია**. პოლონეთის ელჩობას **ანჯეი შარმახი** და **ზბიგნევ ბონეკი** დათანხმდნენ.

## სანიოლი სენტ ეტიენში

ერთი წლის წინათ ტრავმებით გატანჯულმა ფრანგმა მცველმა **ვილი სანიოლმა** კარიერა დაასრულა. დღეს მიუნხენის „ბაიერნის" და საფრანგეთის ნაკრების ყოფილი მცველი ოფიციალურად მოაწერს ხელს ხელშეკრულებას საფრანგეთის ერთ-ერთ ყველაზე ტიტულოვან კლუბ „სენტ ეტიენთან". ბუნებრივია, სანიოლი მოედანს არ უბრუნდება ის „ლოს ვერტსის" (მწვანეები) მრჩეველი ხდება (სხვა ქვეყნებში, სპორტული დირექტორი), დღეისათვის „სენტ ეტიენი" გავარდნის ზონის სიახლოვესაა.

ვილი სანიოლი „სენტ ეტიენის" სკოლის აღზრდილია, ის ამ ქალაქშია დაბადებული და გაზრდილი. პირველი პროფესიული კონტრაქტიც მცველმა „სენტ ეტიენთან" გააფორმა სადაც 1995-1997 წლებში ითამაშა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჰამბურგი

# რუუდ ვან ნისტელროი: ჰამბურგი ზუსტად ის არის, რაც მე მჭირდება!

## როგორც იქნა, ლაბადიამ თავდამსხმელი იპოვა: კონტრაქტი 2011 წლამდე, რეალმა რუუდი უფასოდ დათმო

შაბათს, დორტმუნდის „ბორუსიასთან" მატჩის წინ, რომელიც „შავ-ყვითლებმა" 1:0 მოიგეს, „ჰამბურგმა" დიდი ტრანსფერი გაჩარხა: ჩრდილოგერმანული კლუბის შეფებმა ოფიციალურად დაადასტურეს, **რუუდ ვან ნისტელროი** გადმოვიბირეთო. ამრიგად, მაღალი კლასის ცენტრფორვარდის ძებნა წარმატებით დასრულდა: ჰოლანდიელი გოლეადორი ბუნდესლიგაში ახლავე გადადის.

აღსანიშნავია, რომ „რეალმა" გერმანულ კლუბს ვან ნისტელროი უფასოდ დაუთმო. რუუდმა „ჰამბურგთან" კონტრაქტი 2011 წლის 30 ივნისამდე გააფორმა. შეგახსენებთ, რომ ჰოლანდიელმა ნოემბერში მუხლის ოპერაცია გაიკეთა და მას მერე „სამეფო გუნდში" აღარ უთამაშია. ვან ნისტელროი გამოჯანმრთელდა, მაგრამ წინა კვირას კუნთი დაეჭიმა და ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, მოახერხებს თუ არა ბუნდესლიგის მომდევნო ტურში „ჰამბურგის" ღირსების დაცვას.

„რეალმა" რუუდ ვან ნისტელროი 2006 წელს „მანჩესტერ იუნაიტედიდან" შეიძინა და მადრიდელებმა მასში 15 მილიონი ევრო გადაიხადეს. მას მერე რუუდმა „რეალის" მაისურით, პრიმერადივიზიონში 68 მატჩი ჩაატარა და 46 გოლი გაიტანა, რაც, დაგვეთანხმებით, ბრწყინვალე შედეგია. თუმცა მისგან გოლეადორობას ყველა შეჩვეულია. მაგალითად, ჩემპიონთა ლიგაში მას 49 გოლი აქვს (64 მატჩში) და სამჯერ (2002, 2003, 2006) იყო ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ბომბარდირი. ყველაფერთან ერთად, რუუდი ერთადერთი ფეხბურთელია, რომელიც ევროპის სამ წამყვან საფეხბურთო ქვეყანაში საუკეთესო ბომბარდირი იყო: ესპანეთში, ინგლისსა და ჰოლანდიაში.

*„ძალიან მიხარია, რომ ტრანსფერი შედგა. „ჰამბურგი" ძალიან კარგი გუნდია, უდიდესი ისტორიითა და ამბიციებით. ხომ იცით, მეც დიდი ამბიციები მაქვს,"* - განუცხადა 33 წლის ვან ნისტელროიმ ჩვენს გერმანელ კოლეგებს კვირას. რუუდი „ჰამბურგში" 22-ნომრიანი მაისურით ითამაშებს. ის გერმანიაში გუშინ ჩავიდა.

*„ვან ნისტელროი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია და ბედნიერი ვარ, რომ ის „ჰამბურგში" ითამაშებს. მას არაერთხელ დაუმტკიცებია, რომ გოლეადორისთვის საჭირო ყველა თვისება აქვს. დარწმუნებული ვარ, რომ „ჰამბურგის" მაისურითაც არაერთ მნიშვნელოვან გოლს გაიტანს. ვფიქრობ, ის ფაქტი, რომ ჩვენ ვან ნისტელროის გადმობირება შევძელით, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ „ჰამბურგს" ევროპაში უდიდეს პატივს სცემენ,"* - ეს სიტყვები კი „ჰამბურგის" თავკაც **ბრუნო ლაბადიას** ეკუთვნის. მოკლედ, როგორც იქნა, ლაბადიამ ახალი ლაბადია იპოვა და მერე რა, რომ ღირსეული თავდამსხმელის ძებნას ჩრდილოგერმანელებმა ძალიან დიდი ხანი მოანდომეს - როგორც იტყვიან, ლოდინი ნამდვილად ღირდა.

ერთი რამ ფაქტია: ვან ნისტელროი „რეალს" ფაქტობრივად აღარაფერში სჭირდებოდა (მხოლოდ 7 მატჩი ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში) და ასე რომ არ ყოფილიყო, „ჰამბურგი" რუუდს ნამდვილად ვერ გადაიბირებდა. ჰოლანდიელსა და „ჰამბურგის" შეფებს შორის პირველი კონტაქტი 14 დღის წინ დამყარდა. რუუდს ინგლისში დაბრუნება სურდა და მას „ტოტენჰემი", „ვესტ ჰემი" და „სტოკ სიტი" ეპატიჟებოდნენ, მაგრამ ყოფილმა ჰამბურგელმა, **რაფაელ ვან დერ ვაარტმა**, რომელიც ახლა „რეალშია", ვან ნისტელროი დაარწმუნა, რომ „ჰამბურგი" მისთვის ზედგამოჭრილი იყო. ვან დერ ვაარტთან ერთად, რუუდს „ჰამბურგისკენ" **იორის მატიისენისა** (ჰამბურგის მცველი და ვიცე-კაპიტანი) და **ელჯერო ელიას** ფაქტორებმაც უბიძგეს.

*გთავაზობთ პირველ ექსკლუზიურ ინტერვიუს ტრანსფერის გამოცხადებიდან, რომელიც „ბილდმა" ვან ნისტელროის მადრიდში, გერმანიაში გამგზავრებამდე ჩამოართვა:*

**- რუუდ ვან ნისტელროი, გერმანულად ძალიან კარგად საუბრობთ. ეს როგორ?**

- სკოლაში გერმანულ ენას შვიდი წლის განმავლობაში მასწავლიდნენ, ასე რომ, რაღაც დონეზე მართლა კარგად ვიცი. მირჩევნია, გერმანულად ვისაუბროთ, რადგან უკვე პრაქტიკა მჭირდება.

**- რატომ მიანიჭეთ უპირატესობა „ჰამბურგს"? რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თქვენ ინგლისში დაბრუნება გსურდათ და თანაც, თქვენით ნახევარი პრემიერლიგა იყო დაინტერესებული...**

- ინგლისში ხუთი შესანიშნავი წელი გავატარე. „მანჩესტერ იუნაიტედში" კარიერის საუკეთესო პერიოდი მქონდა და ამაზე ორი აზრი არ არსებობს. სწორედ ამიტომ, გარკვეულწილად მინდოდა პრემიერლიგაში დაბრუნება, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ინგლისი წარსულს უნდა ჩაჰბარდეს. მე ახალი მოტივაცია, ახალი გამოწვევა მჭირდება. ბუნდესლიგა კი ძალიან მიზიდავს. „ჰამბურგთან" მიმართებაში უბრალოდ ყველაფერი დაემთხვა. რაც მთავარია, „ჰამბურგი" ამბიციური გუნდია და დიდი მიზნებისთვის იბრძვის. პრეზიდენტმა ბერნდ ჰოფმანმა და მწვრთნელმა ბრუნო ლაბადიამ დამარწმუნეს, რომ „ჰამბურგი" ჩემთვის იდეალური მისამართია. ცხადია, აზრი ვკითხე რაფაელ ვან დერ ვაარტსაც, რომელმაც ქალაქი და კლუბი ისე აქო, რომ მასთან საუბრის შემდეგ უკვე ასი პროცენტით დარწმუნებული ვიყავი, რომ კარიერის გაგრძელება სწორედ „ჰამბურგში" მინდოდა. თანაც, „ჰამბურგშია" იორის მატიისენიც, რომელიც ჩემი უახლოესი მეგობარია.

**- როგორ ფიქრობთ, რამდენ გოლს გაიტანთ „ჰამბურგის" მაისურით?**

- წინასწარ არასდროს მითქვამს, ამდენი გოლი უნდა გავიტანო-მეთქი და ამას არც ახლა გავაკეთებ. დაგპირდებით მხოლოდ იმას, რომ თუ ჯანმრთელად ვიქნები, ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ რაც შეიძლება ბევრი გოლი გავიტანო. მართალია, ახალგაზრდა ფეხბურთელი აღარ ვარ, მაგრამ შრომა არ მეზარება. ბევრს ვიშრომებ, ძალიან მოტივირებული ვარ.




გუშინ ჰამბურგმა რუუდ ვან ნისტელროი წარადგინა

**- ტრავმირებული იყავით და ბოლო დროს სათამაშო პრაქტიკაც მოგაკლდათ. როგორ ფიქრობთ, როდის შედგება თქვენი დებიუტი „ჰამბურგში"?**

- რამდენიმე დღის წინ კუნთი დამეჭიმა, მაგრამ სერიოზული არაფერია. ექიმებმა მითხრეს, რომ ყველაფერი კარგადაა. იმედი მაქვს, რომ ამ კვირაში გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვარჯიშს დავიწყებ. მომდევნო ტურში ალბათ ვერ ვითამაშებ, მაგრამ იმედია, რომ 6 თებერვალს, „კიოლნთან" გასვლით შეხვედრაში დებიუტი შედგება.

**- „ჰამბურგის" ძირითადი შემადგენლობის ჩამოთვლა შეგიძლიათ? რომელ ფეხბურთელებს იცნობთ?**

- ყველა მოთამაშის გვარს ნამდვილად ვერ დავასახელებ. მოდით, უბრალოდ ვცდი და ვნახოთ, რამდენი გამოვა: მეკარე როსტი, მერე დემელი, როზენალი, ბოატენგი, მატიისენი, აოგო, იაროლიმი, ზე რობერტო, ელია, პეტრიჩი... მეტი არ მახსოვს.

**- საკმაოდ ბევრი გცოდნიათ...**

- „ჰამბურგი" ძალიან კარგი გუნდია, ზუსტად ის არის, რაც მე მჭირდება.

**- ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შემდეგ ჰოლანდიის ნაკრები დატოვეთ. ნუთუ არ გსურთ დაბრუნება, მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობა არ გინდათ?**

- რა თქმა უნდა, მსურს და თანაც ძალიან. თუ ფორმაში ვიქნები და „ჰამბურგში" კარგად ვითამაშებ, არ გამოვრიცხავ, რომ ნაკრებშიც დავბრუნდე. ჰოლანდიის ნაკრებში თამაში ყოველთვის მინდა, მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ საუკეთესო ფორმაში ვიყო.

**გოტფრიდ ლენცი**



ლეონარდო მოურინიომდე ჯერ არ ასულა

მილანური დერბის გამოხმაურება

# მას ჯერ კიდევ ბევრი აქვს სასწავლი...

## გაკვეთილები ლეონარდოსთვის

« მე-6 გვერდიდან

მოკლედ, იმას ვამბობდით, ასეთი უკანა ხაზი რომ გყავს, თავქუდმოგლეჯილმა არ უნდა შეუტიო, მით უმეტეს „ინტერის" კალიბრის გუნდს. ჟოზემ ეს კარგად წაიკითხა და გუნდი საკუთარ ნახევარზე დაწია, თანაც ისე, რომ მოედნის ცენტრში შიგადაშიგ პრესინგს სთავაზობდა მეტოქეს. ორ ეშელონად, საკუთარ ნახევარზე გამაგრებული დაცვის გარღვევა აუტსაიდერთანაც ურთულესი საქმეა, მით უმეტეს, „ინტერთან", გუნდთან, რომელსაც ყველა სიკეთესთან ერთად, სწრაფი შემტევები ჰყავს და კონტრიერიშებზე თამაში უმაღლეს დონეზე შეუძლია.

მოკლედ, „ინტერმა" „მილანი" შეიტყუა, მოგუდა და კონტრშეტევებით მოუგო. ლეონარდოს კი უბრალოდ, გამოცდილება არ ეყო, რომ ამის წინააღმდეგ რაიმე მოეფიქრებინა. და რა უნდა მოეფიქრებინა? - ამაზე „გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტი საუბრობს:

*„ლეოს დაბალანსებული ფეხბურთი უნდა აერჩია, მეტიც, საკუთარ ნახევარზე უნდა დაეწია გუნდი, რაც იძულებულს გახდიდა მეტოქეს, ოდნავ ამოსულიყო დაცვის ზონიდან. ამ შემთხვევაში, თამაში სანახაობრივ მხარეს დაკარგავდა, მაგრამ „მილანი" გარკვეულ უპირატესობას მოიპოვებდა. ბრძოლა მეტწილად ცენტრში გაჩაღდებოდა და დიდი იყო შანსი, სათამაშო უპირატესობა სწორედ ნომინალურ სტუმრებს მოეპოვებინათ. ლეონარდომ კი გუნდი შეტევაზე დაგეშა, ზონები მოატიტვლა და შედეგიც შესაბამისი მიიღო. ეს იყო ავანტიურა, მაგრამ ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ თავად ლეო სულაც ვერ მიხვდა, ავანტიურაზე რომ წავიდა - მას ასეთი ნიუანსები ჯერ კიდევ სასწავლი აქვს".*

ჟურნალისტთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ „მილანელებმა" ამ მარცხისგან ტრაგედია არ უნდა შექმნან - ლეონარდო ჭკვიანი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს და წესით, სწორი დასკვნები უნდა გამოიტანოს. მალე ჩემპიონთა ლიგაც განახლდება და „როსონერის" „მანჩესტერ იუნაიტედთან" მოუწევს შეტოქება. ლეომ უნდა აღმოფხვრას ხარვეზები, რომ იგივე შედეგი ინგლისელებთან პაექრობაში არ დადგეს. ძალიან ნიჭიერია ინაციო აბატე, მაგრამ ფაქტია, რომ დაცვაში თამაშისას პოზიციურ შეცდომებს უშვებს. ფიზიკურად, ძალიან ძლიერია **ტიაგო სილვა**, მაგრამ შეცდომები მასაც სჩვევია, ექსპერტთა ნაწილი ლეოს მის ნახევარდაცვაში გამოყენებისკენ მოუწოდებს. მოკლედ, ასეა იტალიაში, წააგებ ერთ თამაშს და უმალ ყველაფერი თავდაყირა დგება. აი, რა თქვა ნამატჩევს ბრაზილიელმა სპეციალისტმა:

*„უნდა ვაღიარო, რომ „ინტერმა" უკეთ ითამაშა და 3 ქულა ნამდვილად დაიმსახურა. მართალია, მეტოქე მისსავე ნახევარზე მივაჯაჭვეთ, მაგრამ ამან შედეგი არ მოგვცა. მეტოქემ ბრწყინვალედ ითამაშა კონტრშეტევებზე და ორი გოლი გაგვიტანა. ტრაგედია არ უნდა შევქმნათ, ბოლო პერიოდში უდიდესი პროგრესი განვიცადეთ და ერთი ხელის მოსმით, ყველაფრისთვის ხაზის გადასმა არ შეიძლება. ამ თამაშის ანალიზი უნდა გავაკეთოთ და არსებული ხარვეზები აღმოვფხვრათ. წინ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრები გველის, ასე რომ, ყურების ჩამოყრის დრო არ არის".*

რაც შეეხება „ინტერს", სათქმელი ბევრი არაფერი გვაქვს. მთავარი ის გახლავთ, რომ ამ გუნდს მართლაც გამარჯვებულის მენტალიტეტი აქვს. „ნერაძურიმ" არაერთი მძიმე თამაში შემოატრიალა და ამით, საჩემპიონო ხასიათი გამოავლინა. იგივე შეიძლება ითქვას მილანურ დერბიზეც, რომელიც „შავლურჯებმა" ფაქტობრივად ათი ფეხბურთელით მოიგეს. აი, რას ამბობს მოურინიო, რომელიც ყველაფერთან ერთად, მსაჯზეა გაბრაზებული:

*„მათ არ უნდათ რომ სკუდეტო ჩვენ მოვიგოთ და ამაში „ბარისთან" დაპირისპირების დროისაც დავრწმუნდი. ვის არ უნდა? - თქვენც კარგად ხვდებით და ნუ მათქმევინებთ. მატჩის არბიტრმა ყველა სადავო სიტუაციაში „მილანის" პოზიცია დაიჭირა, უესლი სნეიდერს კი წითელი ბარათი სრულიად უსაფუძვლოდ მისცა. ნებისმიერი, ვინც ფეხბურთში ერკვევა, დამეთანხმება, რომ ჰოლანდიელს მაქსიმუმ ყვითელი ეკუთვნოდა. საბედნიეროდ, მაინც გავიმარჯვეთ და თანაც, სრულიად დამსახურებულად. ამაში თავად ლეონარდოც დამეთანხმება, რომელმაც ყველა ღონე იხმარა თამაშის ბედის შემოსატრიალებლად. თუმცა, ერთი რამ არ გააკეთა, რისიც ძალიან მეშინოდა - ინძაგის მოედანზე შეყვანას ვგულისხმობ. ისე კი, მეტოქეს ყველა ასპექტში ვაჯობეთ, როგორც ტაქტიკური, ისე ტექნიკური და ფსიქოლოგიური კუთხით. ვამაყობ ჩემი შეგირდებით, რომლებმაც გამარჯვებისთვის ძალ-ღონე არ დაიშურეს. დარწმუნებული ვარ, სულ რომ შვიდი ფეხბურთელით გვეთამაშა, ამ შეხვედრას მაინც მოვიგებდით".*

აი, ასეთი კომენტარი გააკეთა მოურინიომ და ამით ალბათ „მილანელთა" თავმოყვარეობა შელახა. ჟურნალისტთა ყურადღება **მარკო მატერაცის** საქციელმაც მიიპყრო, რომელმაც მატჩის დასრულებისთანავე „ჯეზეპე მეაცას" მწვანე მინდორზე **სილვიო ბერლუსკონის** ნიღაბით შეირბინა. იტალიაში ამას პოლიტიკური ქვეტექსტებიც კი გამოუძებნეს, თავად მარკო კი ამტკიცებს, ეს უბრალოდ უწყინარი ხუმრობა იყოო:

*„ვერ ვხვდები, რატომ გამოიწვია ნიღაბმა ამხელა აჟიოტაჟი. ათასობით იყიდება ქუჩებში და მეც ხელს წამოვაყოლე. ბერლუსკონის კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ ჩემგან ასეთი რამ არ ეწყინება. დარწმუნებული ვარ, როდესაც დამინახა, გამხიარულდა და მარცხით გამოწვეული ტკივილი გაუნელდა. ასე რომ, მოვრჩეთ ამ თემაზე უსაფუძვლო სპეკულაციებს".*

ბოლოს, ერთ სამწუხარო ამბავზე უნდა ვთქვათ - მილანურ დერბის ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. სტადიონზე მყოფ **ჩეზანო მადერნოს** თამაშის მსვლელობისას გულმა უმტყუნა და საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. ის იმ ადგილას იჯდა, სადაც ორივე გუნდის ქომაგები სხედან, ამიტომ, ჯერჯერობით გაურკვეველია სიხარულს გადაყვა თუ მწუხარებას.

**ლაშა წიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოლანდია



აიაქსელი სუარესი ბომბარდირობას ინარჩუნებს

# ორხელისუფლებიანობა დასრულდა

საახალწლო არდადეგების შემდეგ განახლდა ჰოლანდიის ჩემპიონატი. აქამდე რამდენიმე გამოტოვებული მატჩი გაიმართა, ახალ წელს პირველი სრულფასოვანი ტური კი სწორედ გასულ უიქენდზე ჩატარდა და როგორც იქნა, ერედივიზიონს ერთპიროვნული ლიდერი ეღირსა.

მე-19 ტური „ეინდჰოვენისა" და „ნიიმეგენის" მატჩით გაიხსნა. სტუმრები ბევრს ეცადნენ სახელოვანი მეტოქისთვის წინააღმდეგობის გაწევას, მაგრამ მონდომება საკმარისი არ აღმოჩნდა ღირსეული თამაშისა და შედეგის საჩვენებლად - ეინდჰოვენელებმა მორიგი დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს.

**რუტენის** შეგირდებმა მხოლოდ მატჩის დებიუტში მისცეს მეტოქეს აქტიურობის საშუალება, შემდეგ კი მეთოდურად დაიწყეს **ბაბოშის** კარის დაბომბვა. „ნიიმეგენის" მეკარემ რამდენჯერმე გადაარჩინა თავისი გუნდი, მაგრამ ბოლოს ვერაფერი მოუხერხა **ტოივონენის** თავურ დარტყმას. შვედმა, შორი მანძილის მიუხედავად, ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი ზუსტად ჩასვა კუთხეში.

გატანილმა გოლმა კიდევ უფრო გამოაცოცხლა „ეინდჰოვენი". მასპინძლებმა ტემპს უმატეს და **კოვერმანსის** რამდენიმე უშედეგო ცდის შემდეგ, მეორე ტაიმში ანგარიში გაზარდეს. ამჯერად ტოივონენმა ეფექტურად ჩამოიცილა ორი მეურვე, მეკარეც უპრობლემოდ მოატყუა და მაღალი დარტყმით დუბლი შეასრულა. თუმცა მანამდე იყო „ნიიმეგენის" ორი სახიფათო კონტრშეტევა, მაგრამ **სიბუმმა** და **ფლემინქსმა** ვერ შეძლეს **ისაქსონის** მოტყუება.

სკანდინაველის გოლის შემდეგ საქმე გაკეთებული იყო. თუმცა მასპინძლებს საფინალო სასტვენის მოლოდინში გულზე ხელი არ დაუკრეფიათ და კიდევ ერთი საგოლე კომბინაციის ორგანიზება მოასწრეს. შეხვედრას წერტილი **ამრაბატმა** დაუსვა.

ეს იყო „ეინდჰოვენის" ზედიზედ მეათე მოგება და როგორც შემდეგ გაირკვა, მან ერთპიროვნული ლიდერობა მოუტანა რუტენის გუნდს.

ეინდჰოვენელთა გალიდერება მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც „ტვენტემ" უგოლო ფრე ითამაშა „გრონინგენთან". სხვათა შორის, **სტივ მაკლარენის** გუნდმა წელს უკვე მოასწრო ერთი გამოტოვებული მატჩის ჩატარება და იქაც უგოლოდ დატოვა მოედანი. ბევრს ეჭვი გაუჩნდა - კრიზისი ხომ არ წამოეპარა ერედივიზიონის მეორე ლიდერს? ამ კითხვაზე პასუხს უახლოესი ტურები გაგვცემენ. ასევე გაუგებარია ენსჰედელთა პასიურობა სატრანსფერო ბაზარზე. თუ გუნდი კვლავაც ფიქრობს ჩემპიონობაზე, რა რესურსით აპირებს მიზნის მიღწევას?

ასეთ სიტუაციაში „გრონინგენთან" მატჩის შემდეგ საუკეთესო კომენტარი გააკეთა „ტვენტეს" ინგლისელმა დამრიგებელმა: *„დრო გავილევიძოთ. დღეს „გრონინგენმა" სამი ქულა დაიმსახურა, ჩვენ არც ერთი".*

მართლაც, ისევე როგორც „უტრეხტთან" შეხვედრაში, „ტვენტემ" ამჯერადაც რამდენიმე უსიამოვნო მომენტი გადაიტანა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ აწ უკვე ყოფილი ლიდერი ამ სეზონში ყველაზე ახლოს იყო ერეში თავის პირველ დამარცხებასთან.

მაგრამ ძალების უდიდესი დაძაბვის ფასად „ტვენტემ" გაძლო და ქულა მოიპოვა. მაგრამ ეს ის გუნდი არ არის, რომელმაც პირველ წრეში კარგ თამაშს მიგვაჩვია - სადღაც გაქრა ბრძოლის ჟინი, დაცვა უამრავ შეცდომას უშვებს... და თუ ასე გაგრძელდა, „ტვენტეს" ჩემპიონობის საკითხი დღესვე შეიძლება მოიხსნას დღის წესრიგიდან.

და აი, მივადექით ტურის ცენტრალურ შეხვედრას: „ამსტერდამ-არენა", „აიაქსი"-„ალკმაარი".

ზამთრის სატრანსფერო ბაზარზე „ალკმაარმა" კარგი შევსება მიიღო ნიჭიერი **ორტისისა** და **ალვარადოს** სახით. უსაქმოდ არც „აიაქსის" ხელმძღვანელობა ყოფილა. მან ურუგვაელი ვარსკვლავი **ლუის სუარესი** 2013 წლამდე შეინარჩუნა და გარდა ამისა, ერედივიზიონის საუკეთესო ბომბარდირის თანამემამულე, 20 წლის **ნიკოლას ლოდეირო** შეიძინა, რომელიც მანამდე მონტევიდეოს „ნასიონალში" თამაშობდა. ეს ტრანსფერი ამსტერდამელებს 4 მილიონი ევრო დაუჯდათ.

რაც შეეხება აღნიშნულ შეხვედრას, „აიაქსმა" სეზონში მეორედ დაამარცხა მოქმედი ჩემპიონი. პირველ ტაიმში სტუმრები არაფერში ჩამორჩებოდნენ მეტოქეს და ყველაზე სახიფათო მომენტები სწორედ მათ შექმნეს. მაგალითად, უნდა აღინიშნოს **მენდესის** მიერ ძელს გარტყმული ბურთი და **არის** დამატება, რომელიც ბრწყინვალე ნახტომში **ვერმერმა** მოიგერია. „აიაქსის" მეკარეს კიდევ არაერთხელ მოუხდა თამაშში ჩართვა და ერთხელ ცხრიანიდან „გამოაძრო" **სხაარსის** დარტყმული ბურთი.

მაგრამ დაიწყო მეორე ტაიმი და „აიაქსმა" ნათლად მიანიშნა მეტოქეს, თუ ვინ იყო „ამსტერდამ-არენას" პატრონი. **დიკ იოლის** შეგირდები ცდილობდნენ ყოველი შეტევა დამაგვირგვინებელი დარტყმით დაესრულებინათ. იერიშები სულ უფრო და უფრო სახიფათო ხდებოდა და როგორც იტყვიან, **რომეროს** კარში გოლი მომწიფდა. თუმცა სანამ ანგარიში გაიხსნებოდა, სტუმრებმა კიდევ ერთხელ მოარტყეს ბურთი ძელს. „აიაქსის" საპასუხო შეტევა ერთდროულად უბრალო და დახვეწილი აღმოჩნდა. სუარესი კარგად გაერკვა სიტუაციაში, ერთი პასით სამი მცველი მოჭრა და **ვან დერ ვილმა** შორეული კუთხეში გაუშვა ბურთი.

მატჩის დასრულებამდე კიდევ დიდი დრო რჩებოდა, მაგრამ „ალკმაარმა" თავი მხოლოდ უხეშობით დაგვამახსოვრა - სტუმრებმა ჯამში სულ შვიდი გაფრთხილება დაიმსახურეს.

**XIX ტური**

| | |
|---|---|
| ეინდჰოვენი-ნიიმეგენი | 3:0 |
| ჰერაკლესი-ვიტესი | 1:2 |
| როდა-უტრეხტი | 2:0 |
| ჰერენვეენი-ვილემი | 4:2 |
| ვაალვიკი-ბრედა | 0:1 |
| აიაქსი-ალკმაარი | 1:0 |
| გრონინგენი-ტვენტე | 0:0 |
| სპარტა-დენ ჰააგი | 0:0 |
| ვენლო-ფეიენოორდი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ეინდჰოვენი | 19 | 16 | 3 | 0 | 47-13 | 51 |
| 2. ტვენტე | 19 | 15 | 4 | 0 | 38-15 | 49 |
| 3. აიაქსი | 19 | 13 | 3 | 3 | 55-16 | 42 |
| 4. ფეიენოორდი | 19 | 11 | 5 | 3 | 30-16 | 38 |
| 5. ჰერაკლესი | 19 | 10 | 2 | 7 | 27-26 | 32 |
| 6. უტრეხტი | 19 | 8 | 7 | 4 | 23-18 | 31 |
| 7. ალკმაარი | 19 | 9 | 1 | 9 | 32-22 | 28 |
| 8. ბრედა | 19 | 7 | 5 | 7 | 26-29 | 26 |
| 9. ვენლო | 19 | 4 | 9 | 6 | 26-27 | 21 |
| 10. გრონინგენი | 19 | 5 | 6 | 8 | 22-28 | 21 |
| 11. ვიტესი | 19 | 6 | 3 | 10 | 23-33 | 21 |
| 12. როდა | 19 | 5 | 5 | 9 | 25-34 | 20 |
| 13. ჰერენვეენი | 19 | 6 | 2 | 11 | 21-34 | 20 |
| 14. სპარტა | 19 | 5 | 4 | 10 | 19-35 | 19 |
| 15. ნიიმეგენი | 19 | 3 | 7 | 9 | 21-35 | 16 |
| 16. დენ ჰააგი | 19 | 3 | 6 | 10 | 18-35 | 15 |
| 17. ვილემი | 19 | 4 | 2 | 13 | 22-38 | 14 |
| 18. ვაალვიკი | 19 | 4 | 0 | 15 | 16-37 | 12 |

**ბომბარდირები:** 18 - სუარესი (აიაქსი); 13 - რუისი (ტვენტე); 10 - ტოივონენი (ეინდჰოვენი); 9 - იუნკერი (როდა); 8 - ჯუჯაკი (ეინდჰოვენი), ნკუფო (ტვენტე), დოსტი (ჰერაკლესი), შტოხი (ტვენტე).

შოტლანდია

# რეინჯერსის საჩუქარი

ბოლო ტურმა ინტრიგა აღუდგინა შოტლანდიის პრემიერლიგას. გვარიანად წინ გაჭრილმა „რეინჯერსმა" მოულოდნელად ორი ქულა დაკარგა შინ „ჰართსთან". არადა, მატჩის მსვლელობა გრანდისთვის ცუდს არაფერს მოასწავებდა. „რეინჯერსი" ბევრს უტევდა, მაგრამ იმ დღეს შეუდარებელი იყო სტუმართა მეკარე **მარიან კელო**, რომელმაც რამდენიმე ურთულესი ბურთი მოიგერია.

თითქოს მასპინძელთა სასარგებლოდ უნდა ემოქმედა 73-ე წუთზე „ჰართსის" ფორვარდის **კრისტიან ნეიდის** გაძევებას, მაგრამ გავიდა ორი წუთი და რიცხობრივ უმცირესობაში დარჩენილმა სტუმრებმა ანგარიში გახსნეს. **ლი უოლასის** აქტიურობის შემდეგ თავი **სკოტ რობინსონმა** გამოიჩინა.

დრო გადიოდა და „რეინჯერსი" ვერაფრით ახერხებდა საპასუხო გოლის გატანას. თითქოს უკვე გადაწყვეტილი იყო, რომ „ჰართსი" შეწყვეტდა „აიბროქსზე" 12-მატჩიან მოუგებელ სერიას, მაგრამ კელო ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტში შეცდა. მსაჯის მიერ დამატებულ დროში მან ცუდად მოიგერია **ლი მაკალოხის** დარტყმა და **ენდრიუ ნილმა** დამატებაზე ივარგა.

ასევე ათი კაცის წინააღმდეგ მოუწია თამაშმა „სელტიკს". „კელტებს" სტუმრად „სენტ ჯონსტონთან" პირველ ტაიმში გაუჭირდათ, როცა **ლაიამ კრეიგისგან** პენალტი მიიღეს საკუთარ კარში. სტუმრებს იქამდე არაფერი ეშველათ, სანამ **გრემ გარტლენდი** 46-ე წუთზე **მარკ-ანტუან ფორჩუნის** წინააღმდეგ უხეშობის გამო არ გააძევეს მოედნიდან.

ამის შემდეგ „სელტიკის" შეჩერება შეუძლებელი გახდა. 22 წუთის ინტერვალში სტუმრებმა ოთხი ბურთი გაიტანეს და „რეინჯერსთან" ჩამორჩენა 7 ქულამდე დაიყვანეს, თანაც „სელტიკს" ერთი მატჩი მარაგში აქვს. ასე რომ, ჩემპიონობისთვის ბრძოლა გრძელდება.

**XXI ტური**

| | |
|---|---|
| მოზერველი-სტ. მირენი | 2:0 |
| აბერდინი-კილმარნოკი | 1:0 |
| ჰიბერნიანი-ჰემილტონი | 5:1 |
| რეინჯერსი-ჰართსი | 1:1 |
| ფალკირკი-დანდი იუნ | 1:4 |
| სტ. ჯონსტონი-სელტიკი | 1:4 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეინჯერსი | 21 | 14 | 6 | 1 | 49-14 | 48 |
| 2. სელტიკი | 20 | 12 | 5 | 3 | 42-21 | 41 |
| 3. დანდი იუნ | 21 | 10 | 7 | 4 | 28-24 | 37 |
| 4. ჰიბერნიანი | 20 | 10 | 6 | 4 | 31-17 | 36 |
| 5. ჰართსი | 21 | 7 | 7 | 7 | 20-21 | 28 |
| 6. მოზერველი | 20 | 6 | 8 | 6 | 26-29 | 26 |
| 7. აბერდინი | 19 | 6 | 6 | 7 | 14-19 | 24 |
| 8. სტ. მირენი | 20 | 5 | 5 | 10 | 20-28 | 20 |
| 9. სტ. ჯონსტონი | 18 | 5 | 4 | 9 | 25-34 | 19 |
| 10. ჰემილტონი | 19 | 4 | 4 | 11 | 16-33 | 16 |
| 11. კილმარნოკი | 20 | 3 | 5 | 12 | 12-27 | 14 |
| 12. ფალკირკი | 19 | 2 | 7 | 10 | 16-32 | 13 |

**ბომბარდირები:** 19 - ბოიდი (რეინჯერსი); 12 - კ. მილერი (რეინჯერსი); 11 - სტოუკსი (ჰიბერნიანი); 8 - რაიორდანი (ჰიბერნიანი), სამარასი (სელტიკი), მაკდონალდი (სელტიკი); 8 - იუტკაევიჩი (მოზერველი).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



გენკი ბრიუგეს ძლევას ზეიმობს

ბელგია

# როცა ლიდერი ისვენებდა

ბელგიის ჩემპიონატში „მუსკრონის" გაკოტრების შემდეგ ყველაფერი აირია. პირველობას 15 გუნდი შემორჩა და ბოლო ტურში დასვენება ლიდერ „ანდერლეხტს" უწევდა. ამ სიტუაციაში „ბრიუგეს" მთავარ კონკურენტთან დაწევის კარგი შანსი მიეცა - მოგების შემთხვევაში სხვაობა სამ ქულამდე დავიდოდა, მაგრამ ბელგიური გრანდის ბოლოდროინდელი ფორმა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. გასული კვირის შუაში „ბრიუგემ" ქვეყნის თასზე „გენტთან" წააგო, ამჯერად კი ვერაფერი დაუპირისპირა **მიშელ პრიუდომის** „გენკს", რომელიც ბოლო დროს ფორმის პიკზე გავიდა და მისი კარგი თამაში არავის გაკვირვებია.

მასპინძლებმა მატჩის წინ შესანიშნავი ახალი ამბავი შეიტყვეს - კონტრაქტი გაგრძელდა მთავარ სპონსორთან. ამის გამო „გენკის" ფეხბურთელები მოედანზე ამაღლებული განწყობით გავიდნენ. მართალია, ეს სულაც არ იყო იმის გარანტია, რომ „გენკი" დადებით შედეგს მიაღწევდა, მაგრამ ასევე თვალში საცემი იყო „ბრიუგეს" უფერული თამაში.

„გენკი" საკმაოდ დიდხანს იყო დაკავებული ბურთის ბანალური კონტროლით და დიდად არ ამწვავებდა თამაშს **შტაინენის** კართან. სამაგიეროდ, მასპინძლებმა მეორე ტაიმში მოუმატეს ტემპს და „ბრიუგეს" დაცვამ მალე გამოაჩინა თავისი ხარვეზები. **ვან გეისეგემი** საკუთარ საჯარიმოში წესის დარღვევისთვის მოედნიდან გააძევეს და **ბუფელმა** პენალტი გამოიყენა.

რიცხობრივ უმცირესობაში „ბრიუგემ" საერთოდ დაკარგა თამაშის გადარჩენის შანსი. „გენკმა" კი ზედმეტი ფეხბურთელი იოლად გამოიყენა. ბოლო ათ წუთში **კამიუმ** კიდევ ერთხელ დაამწუხრა შტაინენი და თავისი გუნდის უპირატესობა კიდევ სოლიდური გახადა.

მოქმედი ჩემპიონი „სტანდარდი" თანდათან ეშვება ქვემოთ და უკვე ცხრილის ქვედა ნაწილში მოექცა. ლიეჟელთა მორიგი წარუმატებლობა გახდა ნულოვანი ფრე „მეხელენთან".

მოცემულ შემთხვევაში ჩემპიონს ვერც საუკეთესო ბომბარდირმა **მილან იოვანოვიჩმა** უშველა. იმის აღნიშვნაც შეიძლება, რომ „სტანდარდმა" პირველად დიდი ხნის განმავლობაში თითქმის ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშა. როგორც ჩანს, ლიეჟელთა წარუმატებლობის მიზეზი მარტო საკადრო პრობლემები არ არის და მინი-კრიზისის გადაწყვეტის გზები უფრო ღრმად არის მოსაძებნი.

**XXIII ტური**

| | |
|---|---|
| კორტრიიკი-ბეერსხოტი | 3:0 |
| ლოკერენი-რუზელარე | 1:4 |
| ვესტერლო-გენტი | 0:0 |
| ვარეგემი-სტ. ტრუიდენი | 2:0 |
| მეხელენი-სტანდარდი | 0:0 |
| გენკი-ბრიუგე | 2:0 |
| სერკლი-შარლერუა | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანდერლეხტი | 20 | 15 | 3 | 2 | 41-15 | 48 |
| 2. ბრიუგე | 20 | 13 | 3 | 4 | 38-24 | 42 |
| 3. გენტი | 22 | 12 | 5 | 5 | 43-24 | 41 |
| 4. ვარეგემი | 21 | 9 | 6 | 6 | 32-26 | 33 |
| 5. სტ. ტრუიდენი | 22 | 9 | 5 | 8 | 28-29 | 32 |
| 6. ბეერსხოტი | 21 | 9 | 5 | 7 | 26-28 | 32 |
| 7. კორტრიიკი | 21 | 8 | 7 | 6 | 26-22 | 31 |
| 8. მეხელენი | 21 | 9 | 2 | 10 | 28-37 | 29 |
| 9. სტანდარდი | 21 | 7 | 8 | 6 | 29-25 | 29 |
| 10. გენკი | 21 | 6 | 8 | 7 | 26-23 | 26 |
| 11. ვესტერლო | 20 | 5 | 6 | 9 | 19-28 | 21 |
| 12. სერკლი | 20 | 5 | 5 | 10 | 30-33 | 20 |
| 13. შარლერუა | 20 | 4 | 7 | 9 | 20-30 | 19 |
| 14. რუზელარე | 21 | 4 | 3 | 14 | 26-49 | 15 |
| 15. ლოკერენი | 21 | 3 | 3 | 15 | 16-35 | 12 |

**ბომბარდირები:** 11 - სიდიბე (სტ. ტრუიდენი); 10 - იოვანოვიჩი (სტანდარდი), შევალიე (ვარეგემი), ლუკაკუ (ანდერლეხტი); 9 - იანჩუკი (ლოკერენი); 8 - ტერეო (შარლერუა), ოკვუნვანე (მუსკრონი), ჰარუნი (ბეერსხოტი), ნონგი (მეხელენი).

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა | ინტერვიუ ბეგი დარჩიასთან

# ქუთაისიდან ბაქოში ერევნის გავლით

ამ შაბათ-კვირას ქუთაისის სპორტის სასახლემ კიდევ ერთხელ უმასპინძლა საქართველოს ჩემპიონატს. ამჯერად - ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში და ისეთივე წარმატებით, როგორითაც დეკემბრის დასაწყისში ძიუდოისტთა ანალოგიურ პირველობას.

ქვეყნის პირველობა ძლიერი და საინტერესო ტურნირი გამოდგა. სწორედ ისეთი, როგორიც საქართველოს საჭიდაო ტრადიციებს ეკადრება. ეს იმიტომ, რომ მასში მონაწილეობა ყველა ლიდერს მკაცრად დაევალა, თუმცა ობიექტურ მიზეზთა გამო, რამდენიმე წამყვანი ფალავანი მაინც ვერ ვიხილეთ ხალიჩაზე. ამ ტურნირს ევროპის ჩემპიონატზე წასაყვანი ნაკრების ბირთვი უნდა გამოევლინა და ეს დანიშნულება შეასრულა კიდეც. მისასალმებელია, რომ საკადრო თვალსაზრისითაც საინტერესო გამოდგა და რამდენიმე ახალგაზრდამ ფრიად დამაიმედებლად იჭიდავა. ევროპის პირველობაზე წამსვლელ ნაკრებში მოსახვედრად ვინ რა შანსებს ინარჩუნებს, სად გამოიცდებიან კანდიდატები და მიეცემათ თუ არა რეაბილიტაციის შანსი იმ ლიდერებს, რომლებმაც ქუთაისში არ იჭიდავეს, საერთოდ, ნაკრების სამომავლო გეგმებსა და აწ უკვე ჩავლილ პირველობაზე ნაკრების თავკაცი ბეგი დარჩია გვესაუბრება.

**- როგორ შეაფასებთ ჩემპიონატს, რა დაგანახვათ მან?**

- უპირველესად, ახალი სახეების გამოჩენას გამოვარჩევ. საქართველოს ჩემპიონები პირველად გახდნენ სოსო ჯაბიძე 96 კილოგრამ წონით კატეგორიაში და დიმიტრი ჯავახიშვილი მძიმე წონაში. მათ შარშანდელი სეზონიც საკმაოდ კარგად დაიწყეს, მაგრამ ტრავმებმა შეუშალა ხელი, ამჯერად კი ორივემ ძალიან დამაჯერებლად იჭიდავა. სხვებიც გამოჩნდნენ კარგი ახალგაზრდები - ჯონი ხვიჩია (55), გოგა გოგიბერაშვილი (60), არსენ კახაბრიშვილი (84), სერგო გოგისვანიძე მძიმე წონაში... მთლიანობაში რომ შევაფასოთ ჩემპიონატი, ერთ-ერთი საუკეთესო პირველობა გამოდგა. ბიჭებიც კარგად იყვნენ მომზადებულები, წინა წლებთან შედარებით აშკარად უკეთესად და ტურნირიც მაღალი დონისა გამოდგა.

**- თქვენი აზრით, რატომ მოხდა ასე - გამორჩეულად კარგი თაობა მოვიდა თუ ხელმძღვანელობის მკაცრი მოთხოვნების გამო, რომელიც ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობას ყველასთვის სავალდებულოდ მიიჩნევს?**

- ალბათ, ორივე ფაქტორის გამო. ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება მართლაც მისასალმებელია, თუმცა ნეკნის ტრავმის გამო ვერ იჭიდავა რამაზ ნოზაძემ (96), მანუჩარ კვირკველია (75) ფორმაში არ იყო და არ გამოსულა, დავით ბედინაძე (60) კი მამის ავადმყოფობის გამო გამოგვაკლდა.

აქვე დავამატებ, რომ ჩემპიონატი არა მარტო სპორტული კუთხით გამოდგა კარგი, არამედ ორგანიზაციულადაც. ქუთაისმა მშვენივრად უმასპინძლა ტურნირს. იქაურებმა ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ მოჭიდავეებს კომფორტულად ეგრძნოთ თავი და კარგ პირობებში ესასპარეზათ. ორგანიზატორებს მადლობა ეკუთვნით ასეთი გულისხმიერებისთვის.

**- ევროპის შარშანდელი ახალგაზრდული პირველობის მედალოსანთაგან მხოლოდ მაშინდელმა ჩემპიონმა ქარჩავამ იყოჩალა. სხვები როგორ გამოვიდნენ?**

- ამჯერად მართლაც მხოლოდ ქარჩავა ავიდა კვარცხლბეკზე, სხვებმა კი მედლები ვერ მოიპოვეს. თუმცა მათი მონაწილეობით ერთი ძალიან საინტერესო შეხვედრაც გაიმართა - ჩემპიონმა მინდია წულუკიძემ მესამეპრიზიორ ქემალ ხარაბაძეს მოუგო. ალბათ, გახსოვთ, წულუკიძე შარშან 50-ში გამოდიოდა, ახლა კი 55-ში გადმოინაცვლა. მერე წულუკიძემაც წააგო და ორივე უმედლოდ დარჩა.

**- 13-18 აპრილს ბაქოში გასამართ ევროპის პირველობაზე წამსვლელი ნაკრები საბოლოოდ რომელ ტურნირებზე ჩამოყალიბდება?**

- კვირის ბოლოს მეორე შემადგენლობას სტამბოლში გავგზავნით, სადაც 30-31 იანვარს ვები ემრეს ხსოვნის ტრადიციულად ძლიერი ტურნირი გაიმართება. ჩვენგან იქ ძირითადად ქვეყნის ვიცე-ჩემპიონები გამოვლენ, ჩემპიონთაგან კი მხოლოდ 66-ში გამარჯვებულ ანტონ მამაგეიშვილს დავამატებთ. მის გარდა, სტამბოლში ზურაბ კეკელიძე (55), გოგიტა გოგიბერაშვილი (60), აკაკი ჯოხაძე და ვლადიმერ გეგეშიძე (ორივე - 84), ვლადიმერ ქარჩავა (96) და მძიმეში გივი მორჩილაძე იჭიდავებენ.

როგორც ხედავთ, 74-ში მონაწილე არ გვეყოლება. საქმე ისაა, რომ აქ მეორეზე შარშანდელი სეზონის ტრიუმფატორი, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი და ევროპის პრიზიორი მანუჩარ ცხადაია გავიდა, მაგრამ ის კვლავ თავის ძველ წონას - 66-ს უბრუნდება. მასაც და 74-ში გამარჯვებულ გენადი გოგიშვილსაც 13-14 თებერვალს ერევანში გასამართი მსოფლიოს თასისთვის ვინახავთ. ერევანში უძლიერესი შემადგენლობით გამოვალთ: ლაშა გოგიტაძე (55), რევაზ ლაშხი (60), ანტონ მამაგეიშვილი და მანუჩარ ცხადაია (66), გენადი გოგიშვილი (74), ბადრი ხასაია (84), რამაზ ნოზაძე და სოსო ჯაბიძე (96), დიმიტრი ჯავახიშვილი (120). არაა გამორიცხული, რომელიმე წონაში კიდევ დავამატოთ სათადარიგო მონაწილე. ბოლომდე გარკვეული ჯერ არც ნოზაძის საკითხია - არ ვიცით, მოასწრებს თუ არა გამოჯანმრთელებას. ეს ორი ტურნირი გამოავლენს ევროპის პირველობაზე წამსვლელ ნაკრებს, რომლისთვისაც სასტარტო შეჯიბრება 6-7 მარტს უნგრულ სომბათჰეიში გასამართი „ოქროს დიდი პრიზის" პირველი ტურნირი იქნება. ვფიქრობთ, რომ იმ შეჯიბრებას არავითარი საკადრო დანიშნულება და არავითარი გამოსავლენი დატვირთვა უკვე აღარ ექნება. იქ წავლენ ისინი, ვისთვისაც სატურნირო პრაქტიკა გახდება საჭირო.

**- როგორ ფიქრობთ, თქვენ მიერ ჩამოთვლილი ახალგაზრდებიდან რომელიმე წლეულსვე მოახერხებს ნაკრებში დამკვიდრებას?**

- ალბათ, ყველაზე მეტი შანსი მაინც ჯავახიშვილს აქვს. ჯაბიძესაც შეუძლია იბრძოლოს.

**- იმ ლიდერების საქმე როგორ იქნება, რომლებმაც საქართველოს ჩემპიონატი გამოტოვეს? რჩებათ მათ ევროპის პირველობაზე წასვლის შანსი?**

- ვფიქრობ, კვირკველია და ნოზაძე უნგრეთში იჭიდავებენ. არ გამოვრიცხავ, ევროპის პირველობაზეც მოხვდნენ, თუმცა უნგრეთში მათ წაყვანას უფრო იმიტომ ვფიქრობ, მთელი სეზონი რომ არ გაუცდეთ. ეს ჩემპიონატი კი გამოტოვეს, მაგრამ მთელი წელიწადი ხომ არ უნდა გამოტოვონ?! ტურნირები მათაც სჭირდებათ და სადღაც უნდა იჭიდაონ.

**- მაგრამ, იქნებ ჯობდეს, ვინც ასე არათანაბრად ემზადება, არ წაიყვანოთ და ახალგაზრდები გამოსცადოთ, რომლებიც უწყვეტადაც მუშაობენ და შედეგიც აქვთ?**

- არც ეს ვარიანტია გამორიცხული. ჩვენ ამაზეც ვფიქრობთ და საბოლოო გადაწყვეტილებას ფედერაციასთან, მწვრთნელთა საბჭოსთან შეთანხმებით მივიღებთ.

**- მამაგეიშვილი ერევანში თასზე**



**მაინც თუ მიგყავთ, მაშინ იქნებ თურქეთისგან დაგესვენებინათ? ხომ არ გადაიღლება ამ ტურნირებით?**

- ვფიქრობთ, ერევანში ძირითადად ცხადაია იჭიდავებს, მამაგეიშვილი კი სათადარიგო იქნება და იმდენად არ დავტვირთავთ.

**- ცხადაიას ბევრი ჰქონდა დასაკლები, თავის წონაში რომ არ იჭიდავა?**

- 6-7 კილოგრამი ჰქონდა დასაკლები, მაგრამ მას ვუფრთხილდებით კიდეც. ამიტომ გადავწყვიტეთ მისი ზედა წონაში დაყენება. ცხადია, შანსი მამაგეიშვილსაც ექნება, მაგრამ ვფიქრობ, მას ჯერ კიდევ მეტი შეჯიბრება სჭირდება ფსიქოლოგიური ბარიერის გადასალახავად. ის ძალიან კარგი მოჭიდავეა, მაგრამ ვატყობ, ჯერ რწმენა აკლია. ალბათ, ამის ბრალია, უცხოეთში აქამდე შედეგი რომ ვერ გვაჩვენა. ასე ვიტყოდი: უცხოური ბარიერი პრობლემად ექცა.

**- ცხადაია ჯერ ფორმაში ვერ იქნებოდა, მაგრამ რამდენად კმაყოფილი დარჩით მისი მომზადებით, რაც სადღეისოდ მოეთხოვება?**

- მას ისევ აწუხებდა მუხლი. თან გოგიშვილიც კარგი მოჭიდავეა და აჯობა ფინალში. მთლიანობაში, ცხადაიამ კარგად იჭიდავა, მაგრამ არ იყო იმ კონდიციამდე, გოგიშვილისთვის მოეგო. ამასთან, ახალ წონაში ძალების მოსინჯვა თვითონაც აინტერესებდა.

**- ანუ, წონის შეცვლაზე ფიქრობს?**

- ვვარაუდობ, აქამდე მართლაც ფიქრობდა ამას.

**- გეგეშიძე და მორჩილაძე ახალგაზრდულ ნაკრებში ძალიან პერსპექტიულებად მიაჩნდათ სპეციალისტებს, მაგრამ ბოლო წლებში აღარ ჩანან. რატომ შეფერხდა მათი ზრდა?**

- ტრავმების გამო, რაც უფრო მეტად გეგეშიძეს აწუხებდა. მთავარი მიზეზი ესაა. მაგალითად, იმავე გეგეშიძემ შარშან ვერც საქართველოს ჩემპიონატზე იჭიდავა და ვერც - უნგრეთში.

**- ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ ციკლზე ნაწილობრივ კი ისაუბრეთ - ტურნირებზე, მაგრამ რამდენ შეკრებას გაივლით და სად?**

- პირველ შეკრებას ერევანში წასვლამდე გავივლით გლდანში, ოლიმპიური მზადების ცენტრში. ერევნის შემდეგ კიდევ სამ შეკრებას გავმართავთ - ბაკურიანში, მინსკში და ბორჯომში.

### კვარცხლბეკი

55 კგ: 1. **ლაშა გოგიტაძე** (ქუთაისი); 2. **ზურაბ კეკელიძე** (აჭარა); 3. **გიორგი გვენეტაძე** (აჭარა); 3. **ჯონი ხვიჩია** (აფხაზეთი).

60 კგ: 1. **რევაზ ლაშხი** (ბორჯომი); 2. **გოგიტა გოგიბერაშვილი** (სამტრედია); 3. **ზვიად ოქრაძე** (აჭარა); 3. **ირაკლი ჭოჭუა** (თბილისი).

66 კგ: 1. **ანტონ მამაგეიშვილი** (ქუთაისი); 2. **მარად სურმანიძე** (აჭარა); 3. **რამაზ ვაშაყმაძე** (აჭარა); 3. **გიორგი მესხი** (ქუთაისი).

74 კგ: 1. **გენადი გოგიშვილი** (თბილისი); 2. **მანუჩარ ცხადაია** (ხობი); 3. **შმაგი გულიაშვილი** (გარდაბანი); 3. **რამაზ უნგიაძე** (თბილისი).

84 კგ: 1. **ბადრი ხასაია** (თბილისი); 2. **აკაკი ჯოხაძე** (გარდაბანი); 3. **არსენ კახაბრიშვილი** (გარდაბანი); 3. **მათე სოფაძე** (ბაღდათი).

96 კგ: 1. **სოსო ჯაბიძე** (ბაღდათი); 2. **ვლადიმერ ქარჩავა** (ოზურგეთი); 3. **სერგო ნინუა** (ქუთაისი); 3. **გენადი ხელია** (რუსთავი).

120 კგ: 1. **დიმიტრი ჯავახიშვილი** (აჭარა); 2. **გივი მორჩილაძე** (თბილისი); 3. **სერგო გოგისვანიძე** (ქუთაისი); 3. **რევაზ ჭელიძე** (ოზურგეთი).

**ირაკლი თავაძე**

ძიუდო | თბილისის მსოფლიოს თასი

# შემადგენლობა გაირკვა

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების თავკაცმა **ამირან ტოტიკაშვილმა** დაასახელა შემადგენლობა, რომელიც 30-31 იანვარს თბილისში მსოფლიოს თასზე იჭიდავებს. დაპირებისამებრ, მწვრთნელი საქართველოს ჩემპიონატის მედალოსნებს დაეყრდნო, თუმცა რამდენიმე წონაში გამორჩეულად ნიჭიერთათვის გამონაკლისიც დაუშვა და შანსი უმედლოდ დარჩენილებსაც მისცა. მაგალითად, **ნოდარ მეტრეველს** (100), რომელმაც საქართველოს პირველობაზე ბრინჯაოსთვის არ იჭიდავა. მისასალმებელია **ლაშა გურულის** (90) დაყენებაც, რომელმაც საქართველოზე ბრინჯაოსთვის გამართული შეხვედრა **ვალერი ლიპარტელიანთან** წააგო და მეხუთეზე დარჩა, თუმცა არაა ურიგო მოჭიდავე და შანსს ნამდვილად იმსახურებდა. მწვრთნელმა **ზაზა კედელაშვილსაც** (73) უხმო, რომელსაც საქართველოს ჩემპიონატზე საერთოდ არ უჭიდავია, მაგრამ ამ წონაში შექმნილი საკადრო პრობლემების გამო ტოტიკაშვილი ასეთ ფალავანზე უარს ვერ იტყოდა. რაც შეეხება ქვეყნის პირველობის იმ მედალოსნებს, რომლებიც ამათ გამო ამჯერად გუნდიდან ამოვარდნენ, მათ სხვა ტურნირებში გამოსცდიან. მწვრთნელი შინაურ ტურნირზე დასვენებას თითქოს კორეულ სუვონში მასტერსზე ნაჭიდავებ სამეულსაც - **ამირან პაპინაშვილს** (60), ვალერი ლიპარტელიანს და **ლომერ ყორყოლიანს** (100) უპირებდა, მაგრამ გადაწყვეტილება შეცვალა და ახლა მათაც აჭიდავებს. ცხადია, ეს ჩვენს ნაკრებს კიდევ უფრო გააძლიერებს. თუმცა, არაა გამორიცხული, გუშინ ღია ვარჯიშზე გამოცხადებული შემადგენლობა ცოტა კიდევ შეიცვალოს, თუ ტურნირამდე დარჩენილ დღეებში ვინმე დაშავდება. სადღეისოდ ტრავმირებულთაგან ყველაზე რთული **ლაშა გუჯეჯიანის** (+100) მუხლის მდგომარეობაა, მაგრამ იმედოვნებენ, რომ მანამდე მოურჩება და იჭიდავებს.

სავარაუდოდ, წლევანდელი ტურნირი წინამორბედებივით ძლიერი ვერ იქნება. თბილისში 16 ნაკრებს კი ელოდებიან, რაც რიგიანი რაოდენობაა, მაგრამ, ალბათ, მათ რიგებში ძლიერი ფალავნები ადრინდელივით მრავლად არ იქნებიან. მაგალითად, აზერბაიჯანის ძიუდოს ფედერაციის ცნობით, ისინი თბილისში სარეზერვო ფალავნებს აგზავნიან, ძირითად შემადგენლობას კი პარიზსა და დიუსელდორფში აჭიდავებენ. სადღეისო მდგომარეობით, ტურნირზე სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის, ავსტრიის, ხორვატიის, საფრანგეთის, საბერძნეთის, უნგრეთის, ისრაელის, იაპონიის, ლატვიის, ჰოლანდიის, რუმინეთის, რუსეთის და თურქეთის გუნდები ჩამოვლენ.

### საქართველოს ნაკრები

60 კგ: ბეთქილ შუკვანი, ამირან პაპინაშვილი, დავით ასუმბანი, პაატა მერებაშვილი.

66 კგ: მიხეილ ხომიზური, უჩა ხუციშვილი, შალვა ქარდავა, ნესტორ ხერგიანი.

73 კგ: გიორგი დილებაშვილი, ანზორ ხმიადაშვილი, ნუგზარ ტატალაშვილი, ზაზა კედელაშვილი.

81 კგ: იოსებ წელაური, ლევან წიკლაური, ხვიჩა ხუციშვილი, დავით კარბელაშვილი.

90 კგ: საბა გავაშელიშვილი, ვალერი ლიპარტელიანი, მინდია ბოდაველი, ლაშა გურული.

100 კგ. დავით ლორიაშვილი, ლომერ ყორყოლიანი, რევაზ ჩიკოიძე, ნოდარ მეტრეველი.

+100 კგ. ზვიად ხანჯალიაშვილი, ადამ ოქრუაშვილი, ლაშა გუჯეჯიანი, ალექსი დავითაშვილი.

**ირაკლი თავაძე**

ფიგურული ციგურაობა

# გალა და ჰონორარი ელენეს

ტალინში დასრულებული ევროპის ჩემპიონატი ყველაზე წარმატებული გამოდგა **ელენე გედევანიშვილის** კარიერაში. კვირას 20 წლის ქართველ მოციგურავეს პატივი ხვდა, გალა-საღამოზე ეცეკვა და ჩვენებურმაც თეთრ კაბაში გამოწყობილმა გაალამაზა „სუპერპოლის" შოუ.

სხვათა შორის, ელენეს პოდიუმზე მოხვედრით, ისტორიული მედლის და საყოველთაო აღიარების გარდა, საკმაოდ მაღალი ჰონორარიც ერგო: ევროპის ჩემპიონმა **კაროლინა კოსტნერმა** (იტალია) 20 ათასი, **ლაურა ლეპისტომ** (ფინეთი) - 13 ათასი, ელენემ კი 8 ათასი ამერიკული დოლარი მიიღო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ელენე გალა-საღამოზე სრიალისას

ტყვიის სროლა | მიუნხენის ტურნირი

# ახალგაზრდებიც გაუშვეს

ამ დილით ქართველი ტყვიის მსროლელები მიუნხენში გაფრინდნენ, სადაც ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში გამოვლენ. ამჯერად აქცენტი ძირითადად ახალგაზრდებზე გადაიტანეს. იმ მოზარდებზე, რომლებიც აგვისტოში მსოფლიოს პირველ ახალგაზრულ თამაშებში იასპარეზებენ. ფედერაციამ სამიუნხენოდ ორი გოგო და ორი ვაჟი შეარჩია - **ანა გაგილაძე, ნია ხაჩიძე, გიორგი წაწალაშვილი** და **ომარ სანოძე**. ამასთან, მონაწილე უფროსთა ტურნირშიც გვეყოლება - ოლიმპიური ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე** და **ლევან ქადაგიძე**.

მიუნხენის ტურნირი სროლის სამყაროში ერთ-ერთი აღიარებული და სიძლიერით გამორჩეულია. მის ავტორიტეტს ხელსაყრელი კალენდარი და ჩინებული სპორტული ბაზა განაპირობებს - სეზონის დასაწყისია და ახალი სტარტებისთვის ძალების შემოწმება ყველას სურს. ამიტომ წამყვანი მსროლელები ლამის უკლებლივ სტუმრობენ იქაურ სასროლეთს. ამ ყველაფერს ისიც ემატება, რომ ტურნირი მხოლოდ პნევმატური პისტოლეტით სროლაში ტარდება და ყველასთვის ხელმისაწვდომია, რადგან სპორტული პისტოლეტით სროლა ბევრს უჭირს და იქ გამოსვლას ბევრი ცნობილი ჩუბინიც კი თავს არიდებს. ჩვენთანაც, სალუქვაძის გარდა, ნაკრების სხვა წევრები სპორტულს არც ისვრიან.

ვინაიდან მიუნხენის ტურნირი მხოლოდ ერთ დისციპლინაში ტარდება, ამიტომ პნევმატურში ორი სტარტი იმართება, მონაწილეებმა მეტი პრაქტიკა რომ მიიღონ. შეჯიბრება ხვალ დაიწყება და 30-ში დამთავრდება.

**ირაკლი თავაძე**

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# სანიკიძე: 5 დაფარება NBA-ის სკაუტის თვალწინ

## მარკოიშვილი: 13 ქულა და მოგება 91-იანი სხვაობით

იტალიის ჩემპიონატის მე-15 ტურში **მანუჩარ მარკოიშვილისა და ვიქტორ სანიკიძის** კლუბები განსხვავებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ: მანუს „კანტუ" აუტსაიდერ „ნაპოლის" ეწვია და 91-ქულიანი სხვაობით გაიმარჯვა - 128:37. სანიკიძის „ვირტუსი" წაუგებელ „მონტეპასკის" ესტუმრა და 70:100 დამარცხდა.



■ ■ ■

ჯერ სიენურ მატჩზე ვთქვათ, რომელსაც NBA-ის სკაუტი ფელტონი ესწრებოდა. როგორც გამოცემა „ბასკეტნეტი" იუწყება, იგი ვიქტორ სანიკიძეს აკვირდებოდა: *„ბატონი ფელტონი „სან ანტონიოს" დამკვირვებელია. იგი ევროპაში მოთამაშე კალათბურთელებზე აგროვებს ინფორმაციებს. იტალიაში უკვე იციან, რომ სანიკიძე დრაფტზე „სან ანტონიომ" აიყვანა და მას ვირტუსელ ჯინობილად მოიხსენიებენ. ვიქტორს აქვს მებრძოლი სული და მონდომება. ქართველი ფორვარდი სიენურ პუბლიკასა და ამერიკელ სკაუტს ხუთი დაფარებით დაამახსოვრდა."*

ვიქტორმა ორჯერ დაუფარა „მონტეპასკის" ლიდერ **შაუნ სტონრუკს**, რომელმაც სანიკიძეს ბურთი მესამე ცდაზე გადააცილა და ტაბლოზე დიდი სხვაობა დააფიქსირა - 44:26. სტუმრებმა ძალიანაც მოინდომეს, მაგრამ მეორე ტაიმში სიენელებს ვერაფერი დააკლეს. „მონტეპასკიმ" კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იტალიაში ისევე მაღლა დგას, როგორც ჯომოლუნგმა სხვა მწვერვალებს შორის.

ჰოდა, გასაკვირი არ არის, რომ პირველ ცდაზე ვერც სანიკიძემ დალაშქრა ევერესტი. მან მატჩის 39-ე წუთზე მეხუთე ჯარიმა მიიღო, მანამდე კი 29 წუთი ითამაშა, 2 ქულა, 6 მოხსნა, 5 დაფარება, 1 პასი გაიფორმა. ქართველმა ფორვარდმა 4-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, ხოლო თამაშიდან ერთი ტყორცნაც ვერ გამოიყენა (2 ორქულიანი და 1 სამიანი ისროლა).

სხვათა შორის, 5 დაფარება სანიკიძის იტალიური რეკორდია. 7 ბლოკ-შოტი მას გასულ სეზონში „ტარტუ როკის" მაისურით ჰქონდა.

ნამატჩევს „ვირტუსის" მწვრთნელმა **ლარდო ლინომ** სანიკიძეს დაცვაში თამაში მოუწონა, თუმცა იქვე დასძინა, „მონტეპასკი" ლიგის საუკეთესო გუნდია და თუ ათამაშდა, მისი შეჩერება ნებისმიერი მეტოქისთვის ძნელიაო. ვიქტორი მეურვეობდა სტონრუკს, რომელმაც 6 ქულა ჩააგდო.

ინტერნეტ-საიტ „ბასკეტნეტზე" შეხვედრის მონაწილე კალათბურთელები სათითაოდ არიან დახასიათებულნი. მიმოხილვას ასეთი სათაური აქვს: „უშიშარი კოპონენი და სანიკიძე".

ვიქტორის თამაში ათბალიანი სისტემით 6.5 ქულითაა შეფასებული: *„სანიკიძე კიდევ ერთი კალათბურთელია, რომელსაც არაფრის ეშინია. იგი ერთი შეხედვით, ფიზიკურად სუსტია, მაგრამ რეალურად საკმაოდ ღონიერი, მოქნილი და ათლეტურია. ამ კომპონენტების მოედანზე გადატანის საქმეში სანიკიძეს შეუძლია, ბევრ კოლეგას გაკვეთილები ჩაუტაროს, მათ შორის სტონრუკსაც."*

■ ■ ■

„მონტეპასკის" „ვირტუსთან" გამარჯვებას იტალიურმა გაზეთებმა დაგეგმილი ამბავი უწოდეს. ასევე დაგეგმილი იყო მარკოიშვილის „კანტუს" ნეაპოლში მოგება. მასპინძელთა გუნდი შუა სეზონში საგრძნობლად დასუსტდა და ჩემპიონატს ახალგაზრდებით ასრულებს. ამიტომ, „ნაპოლის" 91-ქულიანი სხვაობით წაგება გასაკვირი არ ყოფილა.

მანუჩარ მარკოიშვილმა მეხუთე წუთზე ორი სამქულიანი ჩააგდო, ორქულიანიც მიაყოლა და „კანტუ" მეშვიდე წუთისთვის 28:4 დააწინაურა. მწვრთნელმა მეორე პერიოდიდან გუნდის ლიდერებს დასვენების საშუალება მისცა. შესაბამისად, მანუმ 17 წუთში 13 ქულა (6-დან 3 სამქულიანი, 3-დან 2 ორიანი), 3 მოხსნა და 4 პასი მიითვალა.

მატჩის სნაიპერი სათადარიგო კანტუელი **ჯაკომო ბლოისე** გახდა.

■ ■ ■

ვიდრე სატურნირო ვითარებას გაგაცნობდეთ, გაუწყებთ, რომ 15 ტურის შედეგებით საუკეთესო 8 კლუბი იტალიის თასზე ითამაშებს. შეჯიბრება 18-21 თებერვალს გაიმართება. ამ რვაში მოხვდა როგორც „ვირტუსი", ასევე „კანტუ". მათ 9-9 მოგება აქვთ და მეოთხე-მეხუთე ადგილებს ინაწილებენ.

**სერია A-ს მომდევნო ტურს 30 იანვარს „ბენეტონი"-„კანტუს" მატჩი გახსნის, ხოლო მომდევნო დღეს, 31 იანვარს „ვირტუსი" მონტეგრანაროს" ესტუმრება.**

ვაჟა სიმონიშვილი



# 7 ქულა, მე-7 ადგილი

ადრიატიკის თასის მორიგი ტური წარუმატებელი გამოდგა ხორვატიული „ზადარისთვის. **ვლადიმერ ბოისა** და მისი თანაგუნდელები სერბეთში „პარტიზანთან" მატჩის შემდეგ შინ დამარცხებულები გაბრუნდნენ - 74:86. ხორვატები მოედანზე ახალმა მწვრთნელმა გაიყვანა: **ზმაგო საგადინის** შემცვლელი კლუბის უფროსობამ მალევე იპოვა - **დანიელ იუსუპი**.

ბოისა ამჯერადაც სასტარტო იყო. 26 წუთში 7 ქულა, 3 მოხსნა და 1 პასი მიითვალა. ვოვას შეეძლო 10 ქულასაც იოლად ასცდენოდა, მაგრამ 9-დან მხოლოდ 2 ორქულიანი და 4-დან 1 სამიანი გამოიყენა.

„ზადარი" 17 ტურის შემდეგ მე-7 პოზიციაზეა (10 მოგება). მომდევნო მატჩში ზადარელები თანამემამულე „ციბონას" დაუხვდებიან. მატჩი 31 იანვარს გაიმართება.

ვაჟა სიმონიშვილი

სუმო

# წააგო, მაგრამ მოიპოვა

წლის პირველი სუპერტურნირი - ჰაცუ ბაშო დასრულებულია. სამიდან ორი ქართველისთვის ეს შეჯიბრება სუმოს მექად წოდებულ „კოკუგიკანში" წარუმატებელი გამოდგა, ერთისთვის კი ტრიუმფული. დასავლეთის პირველმა მაეგაშირა **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)** და აღმოსავლეთის მეცხრე მაეგაშირა კოკაიმ **(ლევან ცაგურია)** ერთნაირი ბალანსით დაასრულეს ბაშო - 5-10. ორივე მათგანს დაქვეითება ელის, სამაგიეროდ, ელიტის მეორე დივიზიონი ისტორიაში მესამედ მოიგო ქართველმა, ამჯერად ეს ძურიოს მე-13 ნომერმა **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელმა)** შეძლო. ახლა სუმოს სამყაროში, საჩვენებელ გამოსვლებს თუ არ ჩავთვლით, 1 მარტამდე შესვენებაა. გაზაფხულის პირველ დღეს კი ახალი ბანძუკე (რეიტინგი) გამოქვეყნდება, რომლის მიხედვითაც მსოფლიოს უძლიერესი რიკიშები ქალაქ ოსაკას ბაშოზე იჭიდავებენ 14-დან 28 მარტის ჩათვლით. გაზაფხულის ბაშომდე ჯერ კიდევ შორია, თუმცა ჩვენს სამეულს უკვე განსაზღვრული აქვთ პრიორიტეტები: ტოჩინოშინს - მოწინავეთა რიგებში დაბრუნება, კოკაის - უმაღლეს დივიზიონში **დარჩენა, ხოლო გაგამარუს - უმაღლესი დივიზიონის საგზურის მოპოვება.**

ტრადიციულად, ბაშოს დასრულებისთანავე „ჯაპან სუმომ". რიკიშების გამოსვლა შეაფასა. აი, რას წერს საიტი ტოჩინოშინის შესახებ: *„ქართველმა ტოშინოშინმა ბაშოზე ხუთზე მეტი შეხვედრის მოგება ვერ შეძლო, მაგრამ გულშემატკივართა და მეტოქეთა უდიდესი სიმპათია დაიმსახურა. მეორე დღეს ჰაკუჰოსთან შეხვედრისას ყველაზე ახალგაზრდა სეკიტორიმ მხრის სერიოზული ტრავმა მიიღო. 22 წლის ქართველის აღმზრდელმა, მკაცრმა ოიაკატა კასუგანომ ტოჩინოშინს მისცა უფლება, მოხსნილიყო ბაშოდან, მაგრამ შეგირდმა გაუძლო ტკივილს და კვლავ გავიდა დოჰიოზე საბრძოლველად".*

„ჯაპან სუმო" გაგამარუს ტრიუმფის შესახებაც წერს: *„22 წლის გაგამარუ სულ ახლახან, ნოემბერში გახდა სეკიტორი და უკვე ძურიოს დივიზიონი მოიგო. 169-კილოგრამიანმა ქართველმა გამოავლინა მიწოლის ტექნიკის მაღალი დონე და კარგი კოორდინაცია ორთაბრძოლისას, მან 15-დან 12 ორთაბრძოლა მოიგო. რომ არა დაბალი რანგი, გაგამარუს ეგრევე უმაღლეს დივიზიონში გადაიყვანდნენ".*

ბაშოს დასრულების შემდეგ შეიცვალა ქართველთა სტატისტიკაც. ტოჩინოშინს ახლა 154 გამარჯვება და 110 წაგება აქვს, მან პროფესიონალებში 24 ტურნირი ჩაატარა. კოკაიმ კარიერაში 53 ბაშო მოილია, მან 363 ორთაბრძოლა მოიგო და 329 წააგო. გაგამარუსთვის ახალი წლის ბაშო რიგით 26-ე იყო, ქართველ მთა-კაცს 120 მოგება და 71 წაგება აქვს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჭადრაკი

# შარშანდელი ვერცხლი ოქროზე გადაცვალა

## მერაბ გაგუნაშვილი საქართველოს ჩემპიონია

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა 69-ე ეროვნული ჩემპიონატი, ფაქტობრივად, ორი დღის წინ დამთავრდა, მაგრამ ოქროს მედლის მოსაპოვებლად 13 ტური საკმარისი არ აღმოჩნდა: მერაბ გაგუნაშვილმა და თამაზ გელაშვილმა 9-9 ქულა მოაგროვეს. დებულების თანახმად, გამარჯვებულის გამოსავლენად ტაიბრეიქები დაინიშნა. ორი 25-წუთიანი პარტია ყაიმით დამთავრდა, ხუთწუთიან ბლიცებში კი გაგუნაშვილმა აჯობა მეტოქეს და პირველად გახდა საქართველოს ჩემპიონი. იგი 25 წლისაა. ბრძენთა თამაშის საიდუმლოებას 6 წლისა ეზიარა. სხვადასხვა დროს შოთა ინწკირველი, ქეთი აბაშიძე, მიხეილ ჭიპაშვილი, ირაკლი ცქიტიშვილი, გივი გოგიჩაიშვილი, ალეკო ბოკუჩავა და ლაშა ჯანჯღავა ავარჯიშებდნენ. თანატოლთა შორის საქართველოს ორგზის ჩემპიონმა და მრავალგზის პრიზიორმა საერთაშორისო დიდოსტატის წოდება 17 წლისამ მოიპოვა, რითაც ქვეყნის რეკორდი დაამყარა, რადგან ასეთ ახალგაზრდულ ასაკში ამ წოდების მქონე ვაჟი დღემდე არ გვყოლია.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ მერაბ გაგუნაშვილს ვესაუბრე.



— წარმატებამ ძალიან გამახარა, რადგან ტურნირზე ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. **ბაადურ ჯობავას და მიხეილ მჭედლიშვილის** გარდა, ყველა მაღალრეიტინგიანმა ქართველმა მოჭადრაკემ იასპარეზა. ვცდილობდი, ენერგია თანაბრად გამენაწილებინა, ამიტომ მოგებას ყაიმებს ვუნაცვლებდი, რომ ძალთა აღდგენა მომესწრო. ამგვარმა ტაქტიკამ, ვფიქრობ, გაამართლა. თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს თამაზ გელაშვილის კარგი თამაში. ბოლოსწინა ტურში მან გამასწრო, რითაც ბოლო ტურში საკმაოდ რთულ სიტუაციაში ჩამაყენა — ჩემპიონობის შანსის შესანარჩუნებლად აუცილებლად უნდა დამემარცხებინა მალხაზ სულაშვილი, რაც მოვახერხე კიდეც. ცხრა ტურის განმავლობაში ჩინებულად იასპარეზა ლუკა პაიჭაძემ. ეტყობა, მარათონს ბოლომდე ვერ გაუძლო, გადაიღალა.

**— ტაიბრეიქებში, თითქოს, უფრო თავისუფლად თამაშობდი...**

— ალბათ ეს „გარედან" ჩანდა ასე, თორემ მეტად დაძაბული და საინტერესო მატჩი გამოდგა. ორი ოცდახუთწუთიანი პარტიის თამაშს დიდი ენერგია შევალიეთ. მხოლოდ ხუთწუთიანებში მივაღწიე გადამწყვეტ უპირატესობას. ბედნიერი ვარ, რომ შარშანდელი „ვერცხლი" „ოქროზე" გადავცვალე.

**— იმედია, პრიზითაც კმაყოფილი იქნები.**

— საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ, წინა წლებისგან განსხვავებით, წლევანდელი ჩემპიონატი ბევრად უკეთ ჩაატარა. ამის დაუნახაობა უმადურობა იქნებოდა. თუმცა სასურველია, ფედერაციის მესვეურებმა სამომავლოდ საპრიზო ფონდის გაზრდაზე იზრუნონ. ამ მხრივ კარგი მაგალითი გვიჩვენა თბილისის მერიამ, რომელმაც შარშან 64-ათასიანი ტურნირი გამართა. ასეთ შეჯიბრებაში მართლაც ღირს ასპარეზობა. ვინც ითამაშა, ყველა კმაყოფილი დარჩა. ბაადურ ჯობავას შემდეგ მეორე ადგილი დავიკავე. მსგავს პაექრობაში წლეულსაც აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას.

**— სპორტულ კარიერაში ყველაზე მეტად რომელ პერიოდს იხსენებ?**

— ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისს. 2001 წელს 16 წლისამ ოცწლიანთა მსოფლიოს პირველობაზე მეორე ადგილი დავიკავე და დიდოსტატის პირველი ბალიც ავიღე. მომდევნო წელს კი ბათუმში ევროპის ჩემპიონატზე მეოთხე ვიყავი და დიდოსტატობაც შევასრულე. იმავე წელს ბლედში მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე საქართველოს ნაკრები, რომლის შემადგენლობაში მეც გამოვდიოდი, მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდა, არადა, ბოლო ტურში სომხებისთვის რომ მოგვეგო, ბრინჯაოს მედალი ჩვენი იქნებოდა. იმ ოლიმპიადაზე 8-დან 5 მეტოქეს ვძლიე, 3 პარტია ყაიმით დავამთავრე და მეოთხე დაფაზე მცირე ოქროს მედალი დავიმსახურე. 17 წლის ბიჭს ბედნიერებისთვის მეტი რაღა მინდოდა.

**— მახსოვს, 2003 წლის დასაწყისში აეროფლოტის ტურნირზე ალექსანდრ გრიშჩუკსა და ალექსანდრ მოროზევიჩს აჯობე. დღეს ისინი 2700-იანთა კლუბის წევრები და ტოპათეულის მოთამაშეები არიან, შენ კი 2600-იანთა ზღვარსაც ვერ უახლოვდები.**

— მესმის თქვენი... დიდ ჭადრაკს დაძაბული შრომა და კარგი ხელშეწყობა სჭირდება. მე კი ერთიც მაკლია და მეორეც. მარტო სიზარმაცის ბრალი არ არის, განწყობა ბევრ რამეს განსაზღვრავს. ჩემი თაობის ვაჟებში იყვნენ ძალიან ნიჭიერები, დიდი ჭადრაკიც უნდა ეთამაშათ, მაგრამ თანადგომა აკლდათ და მათი შესაძლებლობები წვრილ-წვრილ ტურნირებში მიმოიფანტა.

**— ყველაზე მეტად რომელმა ასპარეზობამ დაგწყვიტა გული?**

— 2002 წელს ბათუმში გამართულმა ევროპის ჩემპიონატმა. ნახევარფინალში მიხეილ გურევიჩთან წავაგე 0,5:1,5, კარგ ფორმაში ვიყავი, ალმაფრენაც არ მაკლდა და მედლის მოპოვებაც არ იყო აუხდენელი ოცნება.

**— სამაგიეროდ, ორიოდ თვეში ხორვატეთში შეგიძლია, დანაკლისი აინაზღაურო.**

— ევროპის ჩემპიონატამდე არც ერთ ტურნირში არ ვაპირებ მონაწილეობას — დავისვენებ და კონტინენტის პირველობისთვის მოვემზადები. პროგრამა მინიმუმი 22 საუკეთესოში მოხვედრა იქნება, რაც მსოფლიოს თასზე გამოსვლის უფლებას მომცემს. დანარჩენს კი ტურნირის მსვლელობა გვიჩვენებს.

**— თქვი, უნდა დავისვენოო. თავისუფალ დროს რით ერთობი?**

— მიყვარს მეგობრების წრეში ყოფნა, ვუსმენ მუსიკას, ვთამაშობ ფეხბურთს და ვქომაგობ ფეხბურთელებს. იტალიის ნაკრებისა და „მილანის" გულშემატკივარი ვარ. თუმცა ყველაზე მეტად მაინც ჭადრაკი მიყვარს და ზოგჯერ დასვენების დროსაც 64-უჯრიან დაფას ვუბრუნდები...

აქვე შეგახსენებთ, რომ ეროვნული ჩემპიონატის ძირითადი ტურნირის დამთავრების შემდეგ 8-8 ქულით მეოთხე-მეხუთე ადგილები **კონსტანტინე შანავამ** და **გაიოზ ნიგალიძემ** გაინაწილეს. რადგანაც, დებულების თანახმად, ფულადი ჯილდოების გაყოფა არ შეიძლებოდა, გუშინ მათ შორისაც დამატებითი მატჩი გაიმართა. პირველი ოცდახუთწუთიანი პარტია ნიგალიძემ მოიგო, მეორეში შანავამ გაიმარჯვა. ხუთწუთიან ორთაბრძოლებშიც მან მიაღწია წარმატებას და მეოთხე ადგილი დაიკავა, მეხუთე ადგილი და 1000 ლარი ნიგალიძეს ხვდა.

ვაჟა დანელია

# სევილიურ-ვალენსიური ტრიუმფი, მადრიდელთა ფიასკო

ესპანეთის ჩემპიონატში ხმაურიანი გამარჯვებები მოიპოვეს „კახასოლმა" და „ვალენსიამ". პირველმა „ხუვენტუდი" დაამარცხა (72:59), მეორემ - „ბარსელონა" (60:59). ვალენსიელთა გამარჯვება ჩვენთვის ერთი-ორად გასახარი იქნებოდა, მასპინძელთა რიგებში **თორნიკე შენგელიას** ან **გიორგი შარაბიძეს** რომ ეთამაშათ, თუმცა მწვრთნელმა ახალგაზრდა ქართველები განაცხადში არ შეიყვანა. **ნიკა ცქიტიშვილის** „ფუენლაბრადა" კი სტუმრად „მურსიასთან" დამარცხდა - 71:98. მადრიდელები მასპინძლებს პირველივე პერიოდში სოლიდური სხვაობით ჩამორჩნენ (14:29), ხოლო დიდი შესვენების წინ 27:57-ს აგებდნენ...

ცქიტიშვილმა 19 წუთში 7 ქულა და 2 მოხსნა მოაგროვა.

ბოლოს **ტაირონ ელისის** გუნდზე ვთქვათ. ტაირონის თანაკლუბელებმა „ხუვენტუდი" ბოლო პერიოდში გატეხეს - მეოთხე რაუნდში 21:5 აჯობეს. მატჩის წინ ელისმა ყოფილ თანაგუნდელ **თაკერზე** („ხუვენტუდშია") თქვა: ისეთი კალათბურთელია, ბურთი თუ მიიღო, ვერავინ შეაჩერებს. ამიტომ, თუ მოგება გვინდა, ბურთი არ უნდა მივალებინოთო.

საბოლოოდ, თაკერმაც და ელისმაც 12-12 ქულა ჩააგდეს. ამასთან, რეალიზების უკეთესი მაჩვენებელი ჩვენს ელისს ჰქონდა. მან 33 წუთში 6-დან 3 სამქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო. ტაირონმა 12 ქულას 1 პასი მიამატა.

ამ მოგებით „კახასოლი" (11 მოგება, 8 წაგება) ცხრილში მეექვსედან მეხუთე ადგილზე ავიდა. მან სწორედ „ხუვენტუდს" გაუცვალა ადგილი. მეოთხეა „ვალენსია" - 13 მოგება, 6 მარცხი. ცქიტიშვილის „ფუენლაბრადა" კი აუტსაიდერებშია: მეთორმეტე-მეთექვსმეტე ადგილებს ხუთი გუნდი ინაწილებს (7 გამარჯვება, 12 წაგება). მათ შორისაა „ფუენლაბრადა".

ვაჟა სიმონიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# ქართველების ორი ლელო და შანსი თერთმეტისთვის

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში პირველი ჯგუფური ეტაპის ბოლოსწინა ტურის შეხვედრები გაიმართა. მომდევნო ეტაპზე ასპარეზობის შანსი ქართველ მორაგბეთა ერთბაშად 11 გუნდს აქვს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ერთი, მე-11 ტური დიდთოვლობის გამო გადაიდო და ოდნავ მოგვიანებით გაიმართება.

A ჯგუფში მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი ორივე „ქართულ გუნდს“ აქვს. **ავთანდილ კოპალიანის** „ორლეანმა“ შინ დაამარცხა აუტსაიდერი „პუატიე“ - 26:3 და სატურნირო ცხრილში მე-4 ადგილზე დამკვიდრდა. კოპალიანი ძირითად შემადგენლობაში იყო და 63-ე წუთზე შეცვალეს.

საკუთარ მოედანზე ბოლოსწინა ადგილზე მყოფ „სენ მედართან“ მოულოდნელად დამარცხდა **თენგიზ გელანტიას** მეორეადგილოსანი „სენ ნაზერი“ - 17:20. ჩვენებურის გუნდს ახლა 34 ქულა აქვს და ლიდერ „ლიმოჟს“ ათი ქულით ჩამორჩება. გელანტიას არ უთამაშია.

**A ჯგუფი: ბობინი - ლიმოჟი 6:19, ორლეანი - პუატიე 26:3, სენ ნაზერი - სენ მედარი 17:20, ნუარი - ვანი 20:18.**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. ლიმოჟი - 44 ქულა, 2. სენ ნაზერი - 34, 3. ვანი - 31, 4. ორლეანი - 29, 5. ბობინი - 29, 6. ნუარი - 24, 7. სენ მედარი - 18, 8. პუატიე - 9.**

B ჯგუფში შემდეგ ეტაპზე გასვლის რეალური შანსი ქართველ მორაგბეთა სამი გუნდიდან ორს აქვს. **დავით აშვეთიას, სანდრო ესაკიას, გიორგი ნემსაძის, შალვა სუთიაშვილისა და არჩილ კობაურის** „მასიმ“ შინ გაანადგურა აუტსაიდერი „ეპერნაი“ - 51:3 და 36 ქულით მესამე ადგილზეა.

ნემსაძემ და სუთიაშვილმა, შესაბამისად, 58-ე და 78-ე წუთებზე თითო ლელო მიითვალეს. ნემსაძე 70-ე წუთზე შეცვალეს, სუთიაშვილმა სრულად ითამაშა, აშვეთია შეხვედრაში 54-ე წუთიდან ჩაერთო. ესაკია და კობაური განაცხადში არ იყვნენ.

პარიზელებს ხუთი ქულით ჩამორჩება და მე-4 ადგილზეა **ელიზბარ ყუფარაძის** „მონლუსონი“. ჩვენებურის გუნდმა მე-13 ტურში შინ წააგო გათამაშების ლიდერ „ბურგ ან ბრესთან“ - 3:15. ყუფარაძე თამაშში 53-ე წუთიდან ჩაერთო.

მომდევნო ჯგუფურ ეტაპზე გასვლის თეორიულ შანსს ინარჩუნებს **დავით ბოლქვაშვილისა და სოსო ნიკოლაენკოს** „ლილი“, რომელიც „მონლუსონს“ რვა ქულით ჩამორჩება და მე-5 ადგილზეა. „ლილმა“ სტუმრად წააგო „შალონთან“ - 13:33. ბოლქვაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 71-ე წუთზე შეცვალეს. ნიკოლაენკოს არ უთამაშია.

**B ჯგუფი: შალონი - ლილი 33:13, ტური - დიჟონი 20:9, მასი - ეპერნაი 51:13, მონლუსონი - ბურგ ან ბრესი 3:15.**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. ბურგ ან ბრესი - 44 ქულა, 2. შალონი - 43, 3. მასი - 36, 4. მონლუსონი - 31, 5. ლილი - 23, 6. დიჟონი - 22, 7. ტური - 21, 8. ეპერნაი - 2.**

C ჯგუფში ოთხივე გამსვლელ ადგილზე ქართველ მორაგბეთა გუნდები არიან. ლიდერმა, **ლაშა მალაღურაძის** „ბეზიემ“ შინ დაამარცხა **ირაკლი მაჩხანელის, ბესო უდესიანისა და შოთა საყვარელიძის** „სენტ ეტიენი“ - 11:6. მალაღურაძე შუამარბის პოზიციაზე ძირითად შემადგენლობაში იყო და 72-ე წუთზე შეცვალეს. მაჩხანელმა სრულად ითამაშა. უდესიანი თამაშში 74-ე წუთიდან ჩაერთო. საყვარელიძე განაცხადში არ იყო.

მეორეადგილოსანმა, **დავით კაჭარავას** „ნიცამ“ სტუმრად დაამარცხა ერთ-ერთი აუტსაიდერი „მონტო“ - 15:10 და „ბეზიეს“, რომელსაც 48 ქულა აქვს, ოთხი ქულით ჩამორჩება.

**გიორგი კუთარაშვილის** „შატორენარმა“, რომელიც 33 ქულით მესამე ადგილზეა, შინ მოუგო **ირაკლი გუნდიშვილის** „ბედარიდეს“ - 18:9. კუთარაშვილი თამაშში 47-ე წუთიდან ჩაერთო. გუნდიშვილი განაცხადში არ იყო. „ბედარიდე“ ერთი მოგებითა და ხუთი ქულით აუტსაიდერია.

C ჯგუფი: ბეზიე- სენტ ეტიენი 11:6, შატორენარი - ბედარიდე 18:9, მონტო - ნიცა 10:15, რომანი - ტურნეფონი 22:6.

**სატურნირო მდგომარეობა: 1. ბეზიე- 48 ქულა, 2. ნიცა - 44. 3. შატორენარი - 33, 4. სენტ ეტიენი - 31, 5. რომანი - 24, 6. ტურნეფონი - 21, 7. მონტო - 14, 8. ბედარიდე - 5.**

D ჯგუფში ქართველ მორაგბეთა ორი გუნდიდან ბევრად უკეთესი მდგომარეობა **გია ლაბაძის** „მარსელს“ აქვს. ჩვენებურის გუნდმა შინ გაანადგურა უშუალო კონკურენტი „ლე სეინი“ - 55:9. მარსელელებმა 32 ქულა დააგროვეს და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე არიან.

20 ქულა აქვს და მე-6 ადგილზეა **ირაკლი გიორგაძისა და ვახტანგ მაისურაძის** „შამბერი“, რომელმაც შინ დაამარცხა „ობენა“ - 20:15.

**D ჯგუფი: მარსელი - ლა სეინი 55:9, კასტანე - მაზამე 58:12, კარკასონი - მონმელიანი 56:10, შამბერი - ობენა 20:15.**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. კარკასონი - 49 ქულა, 2. მარსელი - 32, 3. ობენა - 31, 4. ლა სეინი - 28, 5. კასტანე - 27, 6. შამბერი - 20, 7. მაზამე - 16, 8. მონმელიანი - 10.**

E ჯგუფში **გიორგი მჭედლიშვილის** „ვალანსმა“ სტუმრად წააგო მეორეადგილოსან „მარმანდთან“ - 13:19. მჭედლიშვილი თამაშში 57-ე წუთიდან ჩაერთო. მარცხის მიუხედავად, ვალანსელები ლიდერები არიან და „მარმანდს“ შვიდი ქულით უსწრებენ.

**E ჯგუფი: მარმანდი - ვალანსი 19:13, ორტეზი - ლავორი 12:10, მოლეონი - მორლაა 11:18, კაორი - სენ ჟან და ლუზი 18:12.**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. ვალანსი - 43 ქულა, 2. მარმანდი - 36, 3. კაორი - 29, 4. ლავორი - 27, 5. სენ ჟან და ლუზი - 26, 6. ორტეზი - 25, 7. მოლეონი - 22, 8. მორლაა - 20.**

F ჯგუფში ფაქტობრივად გაინაღდა შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლება **თედო ზიბზიბაძის, ალექსანდრე მარგველაშვილის, დავით დადუნაშვილისა და ირაკლი ნინიძის** „პერიგომ“. ჩვენებურთა გუნდმა მე-13 ტურში შინ დაამარცხეს „ლურდი“ - 28:3. დადუნაშვილი მე-60 წუთზე შეცვალეს, ოთხი წუთის შემდეგ მოედანი მარგველაშვილმა დატოვა, კიდევ სამ წუთში კი სათადარიგოთა სკამზე ზიბზიბაძემაც გადაინაცვლა. ნინიძე განაცხადში არ იყო.

საგრძნობლად გამოასწორა სატურნირო მდგომარეობა **დავით გასვიანის, დიმიტრი ბასილაიასა და ნიკოლოზ მალალდაძის** „ლე ბუგემ“, რომელმაც მე-13 ტურში შინ მოუგო „ოლორონს“ და 22 ქულით მე-6 ადგილზეა.

**F ჯგუფი: პერიგო - ლურდი 28:3, ლე ბუგე - ოლორონი 17:12, ტიროსი - ლანჟონი 21:0, გროლე - ჟირუ 40:8.**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. ტიროსი - 51 ქულა, 2. პერიგო - 36, 3. გროლე - 30, 4. ოლორონი - 28, 5. ლანჟონი - 26, 6. ლე ბუგე - 22, 7. ლურდი - 22, 8. ჟირუ - 12.**

მე-13 ტურის შეხვედრები გაიმართა ფედერალ 2-ის გათამაშებაშიც. B ჯგუფში **ირაკლი აბუსერიძისა და სანდრო ჭელიძის** „ოსერმა“ შინ დაამარცხა „ლე კრეზო“ - 13:10 და ახლა 18 ქულით მე-9 ადგილზეა. **ზურაბ მჭედლიშვილის** „დომონის“ გასვლითი შეხვედრა „პონტარლიესთან“ გადაიდო.

D ჯგუფში სტუმრად დაამარცხა „ვაე დუ გაპო“ **ილია ზედგინიძისა და რეზო ბელქანიას** „კარკერენმა“ - 23:6. ჩვენებურთა გუნდმა 40 ქულა დააგროვა და სატურნირო ცხრილში მე-3 ადგილზეა.

E ჯგუფში შინ დამარცხდა გათამაშების ლიდერ „რიბერაკთან“ **რეზო გიგაურის** „სენაკი“ - 15:18. სენაკელებს 32 ქულა აქვთ და მე-6 ადგილზე არიან.

F ჯგუფში 44 ქულით დამაჯერებლად ლიდერობს **მალხაზ ურჯუკაშვილის, მერაბ კვირიკაშვილისა და დიმა პავლოვის** „ფიჟაკი“. ფიჟაკელებმა შინ დაამარცხეს მესამეადგილოსანი „კერე“ - 23:6. მეორეადგილოსან „როდეზს“ 38 ქულა აქვს.




გია ლაბაძის თანაგუნდელი ჯონა ლომუ

ეროვნული ნაკრები



# საქართველოს ნაკრებში ცვლილებებია

6 თებერვალს საქართველოს ნაკრები 2011 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირის მეორე წრის პირველ შეხვედრას თბილისში გერმანიის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ გამართავს. ამ მატჩისთვის მზადებას ბორჯღალოსნები 1-ელ თებერვლიდან შეუდგებიან. ნაკრების მწვრთნელი, ავსტრალიელი **ტიმ ლეინი** თბილისში დღეს უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ მამა გარდაეცვალა და ოდნავ მოგვიანებით ჩამოვა.

მანამდე კი ლეინმა საგერმანიოდ გამოძახებულ მორაგბეთა 28-კაციანი სია ორით შეამცირა. შემადგენლობას, რომელიც ამას წინათ გამცნეთ, მესამეხაზელი **რატი ურუშაძე** (ენისეი) და მგეზავი **ლაშა ხმალაძე** (ლელო) დააკლდებიან. დისკვალიფიცირებული **მამუკა** გორგოძის (მონპელიე) ნაცვლად კი **ბესო უდესიანს** (სენტ ეტიენი) უხმეს.

საქართველოს ნაკრები: შერკინება: **დავით ზირაქაშვილი** (კლერმონი), **დავით ხინჩაგიშვილი** (ბრივი), **გოდერძი შველიძე** (მონტობანი), **აქვსენტი გიორგაძე** (კასტრი), **ირაკლი ნატრიაშვილი** (ფარული), **ილია ზედგინიძე** (კარკერენი), **ლევან დათუნაშვილი** (ორიაკი), **გიორგი ნემსაძე** (მასი), **გია ლაბაძე** (მარსელი), **გიორგი ჩხაიძე** (მონპელიე), **ბესო უდესიანი** (სენტ ეტიენი), **ლაშა თავართქილაძე** (ფარული), **ვიქტორ კოლელიშვილი** (ლელო), **დიმიტრი ბასილაია** (ლე ბუგე).

უკანა ხაზი: **ბიძინა სამხარაძე** (ფარული), **ირაკლი აბუსერიძე** (ოსერი), **ლაშა მალაღურაძე** (ბეზიე), **ირაკლი მაჩხანელი** (სენტ ეტიენი), **ირაკლი გიორგაძე** (შამბერი), **დავით კაჭარავა** (ნიცა), **ალექსანდრე თოდუა** (ლელო), **მალხაზ ურჯუკაშვილი** (ფიჟაკი), **თედო ზიბზიბაძე** (პერიგო), **მერაბ კვირიკაშვილი** (ფიჟაკი), **ირაკლი ჩხიკვაძე** (აია), **ირაკლი ყიასაშვილი** (ლელო).

ამბები

## ლობუშებთან და სტეყარისთან ბრიტანელები განსჯიან

საქართველოს ნაკრებს 2011 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირის ხუთი უმნიშვნელოვანესი მატჩი ელის. უკვე ვწერდით, რომ გერმანიის, ესპანეთისა და რუსეთის ნაკრებებთან დაპირისპირებას ფრანგი არბიტრები განსჯიან.

დასადგენი მხოლოდ პორტუგალიისა და რუმინეთის ნაკრებებთან მატჩების მსაჯთა ვინაობა იყო. გადაწყდა, რომ 13 თებერვალს პორტუგალიაში ინგლისური ბრიგადა იმსაჯებს. მთავარი მსაჯი **ედრიან სმოლი** იქნება. ერთი თვის თავზე, 13 მარტს ბუქარესტში თამაშს ირლანდიელი არბიტრი **საიმონ მაკდაუელი** წარუძღვება.

## რეიტინგში დავქვეითდით

საქართველოს ნაკრები მსოფლიო კლასიფიკაციაში ერთი საფეხურით დაქვეითდა. ბორჯღალოსნებს გაუსწრეს რუსებმა, რომლებმაც ახლახან ნამიბიის ნაკრებს სძლიეს - 30:15. ორივეს, ჩვენც და რუსებსაც, ქულათა თანაბარი რაოდენობა - 66,85 გვაქვს, თუმცა რეიტინგში მე-17 საფეხურზე მაინც რუსები არიან. საქართველოს ნაკრებმა კი მე-18 ადგილზე გადაინაცვლა.

მსოფლიო რეიტინგი: **1. ახალი ზელანდია - 91,68 ქულა, 2. სამხრეთი აფრიკა - 88,60, 3. ავსტრალია - 85,56, 4. ირლანდია - 84,60, 5. საფრანგეთი - 82,41, 6. ინგლისი - 80,72, 7. არგენტინა - 80,56, 8. უელსი - 79,89, 9. შოტლანდია - 76,59, 10. ფიჯი - 75,90, 11. იტალია - 72,59, 12. სამოა - 72,08, 13. იაპონია - 70,59, 14. კანადა - 68,80, 15. ტონგა - 68,11, 16. აშშ - 67,05, 17. რუსეთი - 66,85, 18. საქართველო - 66,85, 19. რუმინეთი - 64,62, 20. ურუგვაი - 60,89, 21.პორტუგალია - 59,72, 22. ესპანეთი - 50,01, 26.გერმანია - 55,72.**

## ევროთასებზე მეტოქეები ცნობილია

ევროთასებზე მოასპარეზე ქართველ მორაგბეთა ექვსი ფრანგული გუნდიდან პლეი ოფში თამაშის უფლება მხოლოდ ორმა, **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონმა“ და **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონმა“ მოიპოვა.

ყველაზე პრესტიჟული, „ჰეინეკენის“ თასის მეოთხედფინალში დავით ზირაქაშვილის „კლერმონის“ მეტოქე ირლანდიური „ლენსტერი“ იქნება. შეხვედრა 10 აპრილს დუბლინში გაიმართება.

„ვულკანებისგან“ განსხვავებით, საკუთარ მოედანზე მოუწევს თამაში დავით ქუბრიაშვილის „ტულონს“, რომლის მეტოქეც „ემლინ ჩელენჯ კაპის“ მეოთხედფინალში უელსური „ჰლანეპლი“იქნება.

თასის გათამაშების ორივე ნახევარფინალური მატჩი 2 მაისს გაიმართება. „ჰეინეკენის თასის“ ფინალი 22 მაისს პარიზში, „სტად დე ფრანსზე“ ჩატარდება. ამავე დღეს გაიმართება „ემლინ ჩელენჯ კაპის“ ფინალიც. მატჩის გამართვის ადგილს მოგვიანებით დაადგენენ.

ჰეინეკენის თასი, მეოთხედფინალი.

**მანსტერი (ირ) - ნორსჰემპტონი (ინგ), ბიარიცი (საფ) - ოსფრიზი (უელ), ტულუზი (საფ) - სტად ფარნსე (საფ), ლენსტერი (ირ) - კლერმონი (საფ)**

ემლინ ჩელენჯ კაპი, მეოთხედფინალი

**ქონოთი (ირ) - ბურგუენი (საფ), ტულონი - ჰლანეჰლი (საფ), ვოსფსი (ინგ) - გლოსტერი (ინგ), ნიუკასლი (ინგ) - კარდიფი (უელ).**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

**საქართველოს რაგბის კავშირი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი მორაგბე**

**მიხეილ ჯვარიძე**

**და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვანკუვერი 2010. დარჩა 18 დღე

# სამთო თხილამურები

**მონაწილე:** 2 386 (1 537 კაცი, 849 ქალი) 87 ქვეყნიდან
**ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე:** აუგუსტ ვოლფინგერი (ლიხტენშტაინი) - 14 წლის, 86 დღის (1964)
**ყველაზე ხანდაზმული მონაწილე:** ედვინა შამიე (კანადა) - 45 წლის, 316 დღის (1936)
**ყველაზე მეტი მედალი:** ჩეტილ ანდრე აამოდტი (ნორვეგია) - 8 მედალი: 4-2-2
**ყველაზე მეტი მედალი (ქვეყანა):** ავსტრია (101 მედალი)


იანიცა კოსტელიჩი - ერთადერთი ოთხგზის ჩემპიონი ქალი

1936 წელს სამთო-სათხილამურო სპორტი პირველად შეიტანეს ოლიმპიური თამაშების პროგრამაში. ეს გერმანიის კურორტ გარმიშ-პარტენკირხენში მოხდა. პირველობა მხოლოდ სლალომსა და სწრაფდაშვებაში გათამაშდა. 1952 წელს, ოსლოში უკვე სამ დისციპლინაში გაირკვა გამარჯვებული - სლალომსა და სწრაფდაშვებას გიგანტური სლალომიც დაემატა. 1988 წელს, კალგარიში XV ოლიმპიურ თამაშებზე პროგრამას სუპერგიგანტი დაემატა.

დღეისთვის ოლიმპიურ თამაშებზე ქალებსა და კაცებს შორის მედლების 5-5 კომპლექტი თამაშდება: სწრაფდაშვება, სლალომი, გიგანტური სლალომი, სუპერგიგანტი და სუპერკომბინაცია. ყველა სახეობისთვის წესები ერთი და იგივეა, მაგრამ ტრასებია განსხვავებული.

სწრაფდაშვებაში ყველაზე გრძელი დისტანციაა და სპორტსმენები ყველაზე მაღალ სიჩქარეს ავითარებენ - საათში 120 კილომეტრი. მოთხილამურეებს თითო ცდის უფლება აქვთ. ყველაზე სწრაფი გამარჯვებულად ცხადდება.

სლალომი ყველაზე ნელი დისციპლინაა. აქ ტრასაზე ჯოხები ერთმანეთთან უფრო ახლოს არის ჩარჭობილი, ვიდრე გიგანტურ სლალომში, ამიტომაც სპორტსმენებისთვის ტრასის გავლა დიდ ტექნიკას მოთხოვს. მოთხილამურე ორ ცდას ასრულებს, შედეგები იკრიბება და ამგვარად ვლინდება პირველი ადგილის მფლობელი.

გიგანტურ სლალომში ტრასაზე კარებები უფრო შორს არის ერთმანეთისგან, ვიდრე სლალომში, მაგრამ არც ისე შორს, როგორც სუპერგიგანტში. მამაკაცებისთვის კარების რაოდენობაა - 56-70, ქალებისთვის - 46-58. ამ შემთხვევაშიც გამარჯვებული ორი ცდის ჯამში ვლინდება.

სუპერგიგანტი - არის დისციპლინა, რომელიც ერთმანეთში აერთიანებს სწრაფდაშვებასა და გიგანტურ სლალომს. სუპერგიგანტს სწრაფდაშვებასთან სიჩქარე აქვს საერთო, სლალომთან - ტრასის ტრაექტორია. სპორტსმენები გადიან დისტანციას, სადაც კარები ერთმანეთისგან დაახლოებით იმავე მანძილზეა დაშორებული, როგორც გიგანტურ სლალომში. ტრასის გასავლელად სპორტსმენებს ერთი ცდა აქვთ.

რაც შეეხება მეხუთე დისციპლინას - სუპერკომბინაციას, აქ ორ ცდით ვლ ინდება ჩემპიონი. ჯერ სპორტსმენები სწრაფდაშვებაში ეჯიბრებიან ერთმანეთს, შემდეგ გიგანტურ სლალომში, რომელსაც ხანდახან სლალომი ცვლის.

## კალენდარი

| | |
|---|---|
| **13 თებერვალი** | |
| 23:45 | სწრაფდაშვება (კაცები) |
| **14 თებერვალი** | |
| 22:00 | კომბინაცია - სწრაფდაშვება (ქალები) |
| 01:00 | კომბინაცია - სლალომი (ქალები) |
| **16 თებერვალი** | |
| 22:00 | კომბინაცია - სწრაფდაშვება (კაცები) |
| 01:30 | კომბინაცია - სლალომი (კაცები) |
| **17 თებერვალი** | |
| 23:00 | სწრაფდაშვება (ქალები) |
| **19 თებერვალი** | |
| 23:30 | სუპერგიგანტი (კაცები) |
| **20 თებერვალი** | |
| 22:00 | სუპერგიგანტი (ქალები) |
| **21 თებერვალი** | |
| 22:00 | გიგანტური სლალომი. I ცდა (კაცები) |
| 01:45 | გიგანტური სლალომი. II ცდა (კაცები) |
| **24 თებერვალი** | |
| 22:00 | გიგანტური სლალომი. I ცდა (ქალები) |
| 01:15 | გიგანტური სლალომი. II ცდა (ქალები) |
| **26 თებერვალი** | |
| 22:00 | სლალომი. I ცდა (ქალები) |
| 01:30 | სლალომი. II ცდა (ქალები) |
| **27 თებერვალი** | |
| 22:00 | სლალომი. I ცდა (კაცები) |
| 01:45 | სლალომი. II ცდა (კაცები) |

*შენიშვნა: დრო თბილისისაა*

### მედლების ცხრილი

| - | ო | ვ | ბ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. ავსტრია | 30 | 34 | 37 | 101 |
| 2. შვეიცარია | 16 | 19 | 18 | 53 |
| 3. საფრანგეთი | 15 | 14 | 14 | 43 |
| 4. აშშ | 12 | 15 | 4 | 31 |
| 5. იტალია | 12 | 8 | 7 | 27 |
| 6. გერმანია | 10 | 7 | 8 | 25 |
| 7. ნორვეგია | 8 | 7 | 7 | 22 |
| 8. შვედეთი | 5 | 2 | 7 | 14 |
| 9. ხორვატია | 4 | 3 | 0 | 7 |
| 10. კანადა | 4 | 1 | 5 | 10 |
| 11. გფრ | 3 | 5 | 1 | 9 |
| 12. ლიხტენშტაინი | 2 | 2 | 5 | 9 |
| 13. ესპანეთი | 1 | 0 | 1 | 2 |
| 14. ლუქსემბურგი | 0 | 2 | 0 | 2 |
| 14. იუგოსლავია | 0 | 2 | 0 | 2 |
| 16. ფინეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 16. იაპონია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 16. ახ. ზელანდია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 16. რუსეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 20. სლოვენია | 0 | 0 | 3 | 3 |
| 21. ავსტრალია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 21. ჩეხოსლოვაკია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 21. სსრკ | 0 | 0 | 1 | 1 |

### ლიდერები

| | ო | ვ | ბ | ს |
|---|---|---|---|---|
| ჩეტილ-ანდრე აამოდტი (ნორ) | 4 | 2 | 2 | 8 |
| იანიცა კოსტელიჩი (ხორ) | 4 | 2 | 0 | 6 |
| ალბერტო ტომბა (იტა) | 3 | 2 | 0 | 5 |
| ფრენი შნაიდერი (შვეიც) | 3 | 1 | 1 | 5 |
| დებორა კომპანიონი (იტა) | 3 | 1 | 0 | 4 |
| კატია ზაიცინგერი (გერ) | 3 | 0 | 2 | 5 |
| ჟან-კლოდ კილი (საფ) | 3 | 0 | 0 | 3 |
| ტონი ზაილერი (ავსტრია) | 3 | 0 | 0 | 3 |

სამთო თხილამურები



# ტრიუმფი ხუთი წლის შემდეგ

სენსაციურად დასრულდა მსოფლიოს თასის ეტაპი ავსტრიის ქალაქ კიტცბუელში. პირველად ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მსოფლიოს თასის სტარტი მოიგო გერმანელმა მამაკაცმა მოთხილამურემ. სლალომში ორი ცდის ჯამში საუკეთესო იყო **ფელიქს ნოიროიტერი**.

*"თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რამდენად ბედნიერი ვარ ამ გამარჯვებით,* - განაცხადა ფინიშის შემდეგ 25 წლის მოთხილამურემ. - *ეს დიდი ოცნების ასრულებაა, რომელიც ბავშვობიდან მომყვება. ჯერ კიდევ სამი კვირის წინ ოლიმპიური კვალიფიკაციისთვის ვიბრძოდი, ახლა კი აქ გამარჯვება მოვიპოვე. ეს ფანტასტიკურია!"*

მთელი ხუთი წლის განმავლობაში ელოდა გერმანული სამთო-სათხილამურო სპორტი მამაკაცთა ნაკრების ტრიუმფს. თავად ფელიქს ნოიროიტერისთვის ეს პირველი გამარჯვება იყო კარიერაში, თუმცა გერმანელის აქტივშია მსოფლიოს თასის ეტაპებზე მოპოვებული ექვსი პოდიუმი.

ავსტრიის კიტცბუელი სამთო-სათხილამურო სპორტის მექად ითვლება. **არმინ ბიტნერი** იყო ბოლო გერმანელი, ვინც აქ გამარჯვებას მიაღწია. ეს 21 წლის წინ მოხდა და ახლა ნოიროიტერმა ჩაწერა თავისი სახელი ამ კლასიკური ეტაპის ისტორიაში.

**კიტცბუელი (ავსტრია). კაცები**

**სუპერგიგანტი**

1. დიდიე კუში (შვეიც) - 1:17.94; 2. მიხაელ ვალხოფერი (ავსტრია) - 1:18.22; 3. გეორგ შტრაიშბერგერი (ავსტრია) - 1:18.23; 4. ანდრეი იერმანი (სლოვენ) - 1:18.30; 5. ერიკ გეი (კან) - 1:18.33; 6. ტობიას გრიუნენფელდერი (შვეიც) - 1:18.46; 6. აქსელ-ლუნდ სვინდალი (ნორ) - 1:18.46.

**სწრაფდაშვება**

1. დიდიე კუში (შვეიც) - 1:53.74; 2. ანდრეი სპორნი (სლოვენ) - 1:54.02; 3. ვერნერ ჰეელი (იტა) - 1:54.13; 4. მარიო შაიბერი (ავსტრია) - 1:54.25; 5. აქსელ-ლუნდ სვინდალი (ნორ) - 1:54.42; 6. ჰანს გრუგერი (ავსტრია) - 1:54.49.

**სლალომი**

1. ფელიქს ნოიროიტერი (გერ) - 1:37.35 (49.14+48.21); 2. ჟულიან ლიზერუ (საფ) - 1:37.74 (49.55+48.19); 3. ჯულიანო რაცოლი (იტა) - 1:38.34 (49.76+48.58); 4. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) - 1:38.45 (49.54+48.91); 5. მაიკლ იანიკი (კან) - 1:38.60 (50.02+48.58); 6. მარსელ ჰირშერი (ავსტრია) - 1:38.66 (49.97+48.69).

**სუპერკომბინაცია**

1. ივიცა კოსტელიჩი (ხორ) - 3:33.64 (1:54.71+1:38.93); 2. სილვან ცურბრიგენი (შვეიც) - 3:35.86 (1:55.46+1:40.49); 3. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) - 3:36.05 (1:57.60+1:38.45); 4. ჟულიან ლიზერუ (საფ) - 3:36.07 (1:58.33+1:37.74); 5. ნატკო ჟრნჩიჩდიმი (ხორ) - 3:37.93 (1:54.97+1:42.96); 6. ჩეტილ იანსრუდი (ნორ) - 3:38.66 (1:56.26+1:42.40).

**საერთო ჩათვლა**

1. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) - 853; 2. კარლო იანკა (შვეიც) - 829; 3. დიდიე კუში (შვეიც) - 746; 4. აქსელ-ლუნდ სვინდალი (ნორ) - 587; 5. ივიცა კოსტელიჩი (ხორ) - 565; 6. მიხაელ ვალხოფერი (ავსტრია) - 493

**კორტინა დ'ამპეცო (იტა). ქალები**

**სუპერგიგანტი**

1. ლინდსი ვონი (აშშ) - 1:21.74; 2. ფაბიან სუტერი (შვეიც) - 1:22.41; 3. ანია პერსონი (შვედ) - 1:22.48; 4. ტინა მაზე (სლოვენ) - 1:22.79; 5. ანდრეა ფიშბახერი (ავსტრია) - 1:22.84; 6. ანდრეა დეტლინგი (შვეიც) - 1:22.99.

**სწრაფდაშვება**

1. ლინდსი ვონი (აშშ) - 1:37.70; 2. მარია რიში (გერ) - 1:38.12; 3. ანია პერსონი (შვედ) - 1:38.56; 3. ნადია კამერი (შვეიც) - 1:38.56; 5. ფაბიან სუტერი (შვეიც) - 1:38.58; 5. ინგრიდ ჟაკემო (საფ) - 1:38.58.

**გიგანტური სლალომი**

1. ტანია პოუტიაინენი (ფინ) - 2:26.51 (1:12.15+1:14.36); 2. ვიქტორია რებენსბურგი (გერ) - 2:27.56 (1:12.19+1:15.37); 3. კატრინ ჰიოლცლი (გერ) - 2:27.96 (1:12.78+1:15.18); 4. ტინა მაზე (სლოვენ) - 2:28.27 (1:13.35+1:14.92); 5. მანუელა მოელგი (იტა) - 2:28.36 (1:13.32+1:15.04); 6. დენიზ კარბონი (იტა) - 2:28.41 (1:13.03+1:15.38).

**საერთო ჩათვლა**

1. ლინდსი ვონი (აშშ) - 1106; 2. მარია რიში (გერ) - 1050; 3. კატრინ ცეტელი (ავსტრია) - 829; 4. ანია პერსონი (შვედ) - 736; 5. ტინა მაზე (სლოვენ) - 624; 6. კატრინ ჰიოლცლი (გერ) - 445.

კრივი



# პაკმენმა მზადება დაიწყო

მიუხედავად იმისა, რომ ჩაიშალა **მენი პაკიაოსა** და **ფლოიდ მეივეზერის** ბრძოლა, ფილიპინელი მოკრივე 13 მარტს მაინც გავა რინგზე. პაკმენი ლას ვეგასში განელ **ჯოშუა კლოტის** შეხვდება.

პაკიაომ უკვე დაიწყო ამ შეხვედრისთვის მზადება და როგორც მისი მწვრთნელი **ფრედი როუჩი** ამბობს, შესანიშნავ სპორტულ ფორმაშიც იმყოფება.

*"მენიმ პირველივე დღეს უპრობლემოდ ივარჯიშა. ის შესანიშნავად სპარინგობდა ახლა პაკიაო 67 კილოგრამს იწონის, რაც ამ კატეგორიაში საკმარისია"*, - ამბოწ!ა როუჩი.

რაც შეეხება ფილიპინელის მომავალ მეტოქეს, როუჩმა კარგად დაახასიათა აფრიკელი მოკრივე: *"ის აგრესიული იქნება და შეეცდება ჩემი შეგირდის მოკვლას. ის ძლიერია და ჩხუბი კარგად შეუძლია. კარგია თუ ნოკაუტით მოვიგებთ, მაგრამ ჩვენ 12-რაუნდიანი ბრძოლისთვის ვემზადებით"*.

ბრძოლაზე დასაწრები 40 ათასი ბილეთიდან 20 ათასი უკვე გაყიდულია. მათი ფასი 50-დან 700 დოლარამდე მერყეობს. ეს ინფორმაცია ფილიპინელი მოკრივის პრომოუტერმა **ბობ არუმმა** გაავრცელა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ციგურებით სირბილი

# ტიმერი ვანკუვერში არ მიდის

ცნობილმა ჰოლანდიელმა მოციგურავე **მარიან ტიმერმა** ვერ გაიარა ოლიმპიური კვალიფიკაცია და ვანკუვერში არ გაემგზავრება.

თავდაპირველად, სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჩააგდო გარბენი 500 მეტრ დისტანციაზე. მას **ტისიე ოენემემ** აჯობა.

ტიმერის თქმით, წარუმატებლობის მიზეზი ცუდი ფიზიკური ფორმა გახდა: *"ასე ადრე ყინულზე არ უნდა გავსულიყავი მარცხენა ფეხის ტრავმა ჯერ კიდევ მახსენებს თავს. კარგი იქნებოდა, გარბენი რამდენიმე დღით გადაედოთ, მაგრამ ფედერაციაში დათმობაზე არ წავიდნენ. დღეისთვის ვაღიარებ, რომ მზად არ ვარ ოლიმპიური თამაშებისთვის"*.

ტიმერისთვის ყველაფერი დაკარგული არ იყო. მან კილომეტრიან სპრინტშიც მოსინჯა ძალა, თუმცა იქაც ხელი მოეცარა. ამ დისტანციაზე მან მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავა.



შეგახსენებთ, რომ მარიანმა ორი თვის წინ მსოფლიოს თასის ერთ-ერთ ეტაპზე მიიღო ტრავმა და ამის გამო ვერ მოასწრო ფორმის აღდგენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# კობი გმირიცაა და ანტიგმირიც



ალბათ, ვერავინ მოუძებნის ლოგიკურ ახსნას იმას, რაც გასულ ღამით ნიუ იორკში მოხდა. რა თქმა უნდა, დღეისთვის „დალას მავერიქსი" „ნიქსზე" უკეთესი ვუნდია, მაგრამ 50-ქულიანი სხვაობა ძალიან ბევრი იყო.

არადა, შეხვედრის დებიუტის მიხედვით ასეთი გამანადგურებელი და სამარცხვინო სხვაობა მოსალოდნელი არ იყო. გუნდები შედეგიანად უტევდნენ და ერთიმეორის მიყოლებით აგდებდნენ ბურთს კალათში. მაგრამ პირველი მეოთხედის შემდეგ მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი დარჩა. ამ ყველაფრის მიზეზი გახდა მასპინძელთა მხრიდან თამაშიდან ტყორცნების საშინელი პროცენტული მაჩვენებელი და დაცვაში თამაშისას სრული უუნარობა.

ამ ნაგებით „ნიუ იორკმა" საკლუბო ანტირეკორდი დაამყარა - ასეთი დიდი სხვაობით მას საკუთარ მოედანზე არასოდეს წაუგია. სტუმრად ყველაზე დიდი ანგარიშით დამარცხება კი 1960 წლის 25 დეკემბრით თარილდება, როცა „სირაკუზთან" 62 ქულა დათმო.

სამაგიეროდ, 50-ქულიანი სხვაობა „დალასისთვის" რეკორდი აღმოჩნდა. გუნდს არც შინ და არც სტუმრად ასეთი დიდი ანგარიშით არასოდეს მოუგია. კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: „მავერიქსს" „ნიქსისთვის" უკანასკნელად 2006 წლის 11 იანვარს ჰქონდა მოგებული, რის შემდეგაც „კოვბოებმა" ზედიზედ რვა (!) მატჩი დათმეს. გარდა ამისა, ამ მოგებით სტუმრებმა კიდევ ერთი საინტერესო სერია გააგრძელეს. მათ რვიდან რვა მატჩი აქვთ მოგებული მაშინ, როცა თამაშში ასი ან მეტი ქულა დააგროვეს.

*„მათ უბრალოდ გული ამოგვაგლიჯეს"*, - აღიარა მატჩის შემდეგ „ნიუ იორკის" დამრიგებელმა **მაიკ დ'ენტონიმ**.

ნაკლებად საინტერესო მატჩი გაიმართა ვაშინგტონში, სადაც ნახევრად-ცარიელ „ვერაიზონ ცენტრში" „უიზარდსი" „კლიპერსს" მასპინძლობდა. პირველმა სამმა მეოთხედმა თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა, ბოლო 12-წუთეულში კი სტუმრებმა გადაურბინეს „ჯადოქრებს". კალიფორნიელები ორივე ფარზე დომინირებდნენ და მთლიანად აკონტროლებდნენ თამაშს. მთავარი მოქმედი პირები **ბაირონ დევისი** და **მარკუს კემბი** გახდნენ. დევისმა 11 შედეგიანი პასი გააკეთა და ამ მაჩვენებლით ორივე გუნდში საუკეთესო იყო, კემბიმ კი 19 მოხსნა და 5 დაფარება მიითვალა.

კალათბურთის მოყვარულებმა ყველაზე დიდი სიამოვნება „ტორონტოსა" და „ლეიკერსის" მატჩის ხილვით მიიღეს. კალიფორნიელებმა მორიგი მარცხი განიცადეს. აღმოსავლეთში ტურნეზე მყოფი „ლეიკერსი" კანადელებისგან დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. მასპინძლები პირველივე წუთებიდან შეეცადნენ, შორს არ გაეშვათ დაწინაურებული მეტოქე და „რეპტორზმა" ეს ამოცანა კარგად შეასრულა. ხოლო, როცა კვანძის გახსნის მომენტი დადგა, ტორონტოელებმა სრულად წარმოაჩინეს თავიანთი შესაძლებლობები. ბოლო წამებზე, როცა ანგარიშში 104:105 იყო, **ჰედო თურქოგლუმ** გარღვევა წამოიწყო, რომელიც კალიფორნიელებმა მხოლოდ წესების დარღვევით შეაჩერეს. ეს საფინალო სირენამდე 1.2 წამით ადრე მოხდა. თურქმა ორი ზუსტი საჯარიმოთი სისრულეში მოიყვანა განაჩენი.

გუშინდელი ტურის გმირად და ანტიგმირად **კობი ბრაიანტი** შეიძლება ჩაითვალოს. მან 27 ქულა, 16 მოხსნა, 9 პასი და თითო-თითო ჩაჭრა და დაფარება მიითვალა. დიდოსტატური მაჩვენებელია, მაგრამ ამასთან ერთად, „ლეიკერსის" ლიდერმა მატჩის ბოლო 100 წამის განმავლობაში სამი სროლა ააცილა, მათ შორის ბოლო სამქულიანი სირენასთან ერთად.

**ნიუ იორკი–დალასი 78:128**

25:27, 18:32, 13:38, 22:31

ნ-ი: ჯეფრიზი (14), ლი (11+14 მოხსნა).

დ: ნოვიცკი (20+5 მოხსნა), ტერი (20), გუდენი (15+18 მოხსნა), მერიონი (15+5 მოხსნა), ბობუა (13+6 მოხსნა+5 პასი), ბარეა (11), სინგლტონი (10+6 მოხსნა).

**ვაშინგტონი–კლიპერსი 78:92**

26:30, 20:18, 22:23, 10:21

ვ: ჯეიმისონი (20+10 მოხსნა), ჰეივუდი (18+12 მოხსნა), ჯეიმსი (11), ბატლერი (10+8 მოხსნა).

კ: კამანი (20), ბატლერი (14+5 მოხსნა), რ. დევისი (13), კემბი (12+19 მოხსნა+5 დაფარება), ბ. დევისი (11+11 პასი+5 ჩაჭრა).

**ტორონტო–ლეიკერსი 106:105**

21:24, 33:32, 28:28, 24:21

ტ: ბარნიანი (22+8 მოხსნა), ბოში (18+13 მოხსნა), ჯეკი (18), ბელინელი (15), დეროზანი (10+6 მოხსნა)

ლ: ბრაიანტი (27+16 მოხსნა+9 პასი), პ. გასოლი (22+9 მოხსნა), ბინუმი (21+9 მოხსნა), ფარმარი (17).



# კამანი გასოლის წინააღმდეგ

„ლოს ანჯელეს კლიპერსის" ცენტრმა **კრის კამანმა** „ყველა ვარსკვლავის მატჩისთვის" დასავლეთის ნაკრებში გამოძახებული **პაუ გასოლის** კანდიდატურა დაიწუნა.

*„არ მგონია, რომ „ოლ სტარის" მატჩზე პაუს ადგილი იყოს. მან სეზონში მხოლოდ 25 მატჩი გამართა. ჩემი აზრით, ლიგამ მოთამაშეების შერჩევისას ჩატარებულ მატჩებზე გარკვეული პროცენტი უნდა დააწესოს"*, - ამბობს გერმანიის ნაკრების კალათბურთელი.

*„რატომ ირჩევენ ისეთ მოთამაშეს, რომელმაც მატჩების თითქმის ნახევარი გააცდინა და თან სხვებზე ცუდი სტატისტიკა აქვს. მე საკუთარ თავზე არ ვამბობ, ავილოთ, მაგალითად, ზაკ რენდოლფი. მან თამაშების 90 პროცენტი ჩაატარა და გაცილებით უკეთესი ციფრები აქვს. მაგრამ ის „ლეიკერსის" მოთამაშე არ არის. ამით ყველაფერია ნათქვამი"*, - აღშფოთებას ვერ მალავს კამანი.

შეგახსენებთ, რომ პაუ გასოლი დასავლეთი კონფერენციის ნაკრების სათადარიგო ცენტრად აირჩიეს. გასოლი ქულათა საშუალო რაოდენობით ჩამორჩება კამანს - 16.4 27.2-ის წინააღმდეგ, ესპანელს მეტი მოხსნა აქვს მოპოვებული, თუმცა მატჩების რაოდენობით ჩამორჩება გერმანელს.

*„საერთოდაც, გასოლი ცენტრი არ არის"*, - განაწყენებული ამბობს კამანი, რომელსაც დასავლეთის გუნდში მოხვედრის იმედი ჰქონდა, მაგრამ მას „ლეიკერსის" კიდევ ერთი მაღალი კალათბურთელი **ენდრიუ ბინუმი** აჯობინეს.

ფორმულა 1

# კიმი დაბრუნებაზე დაფიქრდა

ბოლო დროს ავტოსპორტის სამყაროში გავრცელდა ხმები ფორმულა 1-ში **კიმი რაიკონენის** დაბრუნების შესახებ. ლაპარაკია 2011 წლის სეზონზე. ეს ინფორმაცია უკვე დაადასტურა ფინელი პილოტის მენეჯერმა **სტივ რობერტსონმა**. მისი განცხადებით, კიმი საბოლოო გადაწყვეტილებას ზაფხულის შემდეგ მიიღებს და ყველაფერი პილოტთა ბაზარზე არსებულ სიტუაციაზე იქნება დამოკიდებული.

*„კიმიმ ცალსახად განაცხადა, რომ ფორმულა 1-ში დაბრუნება სურს, ოღონდ იმ პირობით, თუ ისეთ მანქანას მიიღებს, რომელიც ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლის საშუალებას მისცემს,* - ამბობს რობერტსონი. - *ამიტომაც გადაწყვეტილებას ზაფხულამდე ვერ მივიღებთ. სწორედ იმ პერიოდში გაირკვევა სიტუაცია პილოტთა ბაზარზე და დაიწყება საუკეთესო გუნდებში ადგილების განაწილება".*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **აფრიკის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| ეგვიპტე-კამერუნი | 1:1 დ.დ. 3:1 |
| ზამბია-ნიგერია | 0:0 პენ. 4:5 |
| **ინგლისი** | |
| **I ლიგა** | |
| ჩარლტონი-ლეიტონი | 0:1 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ლეჩე-პიაჩენცა | 1:0 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| კოტბუსი-დუისბურგი | 0:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| მეცი-კაენი | 1:3 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ემენი-მაასტრიხტი | გადაიდო |
| **შოტლანდიის თასი** | |
| რეითი-ეირდრი | 1:1 |
| **საბერძნეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ანაგენისი-პანსერაიკოსი | 0:1 |
| კერკირა-ოლიმპიაკოსი (ვ) | 0:0 |
| **თურქეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| სამსუნი-ქარსიაქა | 0:1 |
| **ისრაელი** | |
| მაკაბი (ჰ)-ჰაპოელი (თ-ა) | 0:0 |

| ხელბურთი | |
|---|---|
| **ევროპის ჩემპიონატი** | |
| **კაცები** | |
| ხორვატია-ისლანდია | 26:26 |
| ავსტრია-ნორვეგია | 27:30 |
| რუსეთი-დანია | 27:34 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ვიტიაზი-აკ ბარსი | 2:2 |
| ტორპედო-ლადა | 1:2 |
| ცსკა-ნეფტიხიმიკი | 4:5 |
| **ჩეხეთი** | |
| სლავია-ბუდეიოვიცე | 6:1 |
| **შვედეთი** | |
| ლინჩოპინგი-მოდო | 1:4 |
| როგლე-სიოდერტალე | 1:2 |
| იურგორდენი-ჰვ71 | 3:3 |

TV პროგრამა

**26 იანვარი. სამშაბათი**

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
10:00 Libero.
11:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-პიტსბურგი.
12:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ტოტენჰემი.
14:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-მილანი.
16:15 სავიზიტო ბარათი.
16:30 სინქრონული ცურვა. კანადა.
18:30 ჩოგბურთი. ATP-ის წლის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ბრიტანეთი.
19:25 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
19:35 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ბაიერნი.
21:20 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
21:25 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:30 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
23:40 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვულვზი-ლივერპული (LIVE).
01:50 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ფულჰემი.
03:35 პრემიერლიგის სამყარო.
04:05 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტორონტო-ლოს ანჯელესი (LIVE).
06:40 ჩოგბურთი. ATP-ის წლის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ბრიტანეთი.
07:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ბაიერნი.

**SPORT 2 (უკრაინა)**

08:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ჰამბურგი.
09:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-ჯენოა.
11:25 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:25 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
12:50 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-პიტსბურგი.
14:35 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ბაიერნი.
16:15 ჩოგბურთი. ATP-ის წლის შემაჯამებელი ტურნირი. მასტერსი. ლონდონი. ბრიტანეთი.
18:15 პოკერი.
19:05 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ტოტენჰემი.
20:50 სპორტული ტანვარჯიში. ბელგია.
22:10 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-რომა.
23:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ფულჰემი (LIVE).
02:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვულვზი-ლივერპული.
03:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბოლტონი-ბარნლი.
05:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
06:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
07:30 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.

**EUROSPORT**

11:15 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. IX დღე. მელბურნი.
13:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. IX დღე. მელბურნი (LIVE).
17:00 სნუკერი. უელსის ღია პირველობა. II დღე. ნიუპორტი (LIVE).
20:45 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სლალომი. I ცდა. შლადმინგი. ავსტრია (LIVE).
21:50 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:00 ჩოგბურთი. გეიმი, სეტი, მატჩი. ტელეჟურნალი.
22:25 ჩოგბურთი. ჟუსტინ ანენი. ტელეჟურნალი.
22:30 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. ახალი ამბები.
22:45 სნუკერი. უელსის ღია პირველობა. II დღე. ნიუპორტი.
23:45 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სლალომი. II ცდა. შლადმინგი. ავსტრია (LIVE).
00:30 სნუკერი. უელსის ღია პირველობა. II დღე. ნიუპორტი (LIVE).
02:00 რალი. IRC-ის სერია. მონტე კარლო.
02:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. IX დღე. მელბურნი.
03:30 ჩოგბურთი. გეიმი, სეტი, მატჩი. ტელეჟურნალი.
03:55 ჩოგბურთი. ჟუსტინ ანენი. ტელეჟურნალი.
04:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. X დღე. მელბურნი (LIVE).
06:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. X დღე. მელბურნი (LIVE).

ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ფილადელფია–პიტსბურგი 1:2**

1:1, 0:0, 0:1

გოლები: 1:0 ჯ. კარტერი-22 (ტიმონენი-24, ჰარტნელი-17), 1:1 გონჩარი-8 (ფედოტენკო-13, კროსბი-32), 1:2 კუკი-11 (გონჩარი-23, მალკინი-34).

**კაროლინა–ბოსტონი 5:1**

1:0, 3:0, 1:1

გოლები: 1:0 რეი უიტნი-16 (ი. იოკინენი-21), 2:0 ე. სტაალი-15 (ი. იოკინენი-22, პიტკანენი-25), 3:0 ი. იოკინენი-15 (პიტკანენი-26, კულენი-22), 4:0 ბ. სუტერი-12 (რეი უიტნი-23, ვალინი-5), 5:0 ლაროუზი-3 (ბ. სუტერი-9), 5:1 კრეისი-9 (ველერი-17, მორისი-18).

**კოლორადო–დალასი 4:0**

2:0, 1:0, 1:0

გოლები: 1:0 კლარკი-2 (ტაკერი-10, იიპი-5), 2:0 გალიარდი-7, 3:0 კ. სტიუარტი-17 (შჩასტნი-37, ვოლსკი-29), 4:0 შჩასტნი-11 (ლაილსი-19, კ. სტიუარტი-18).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# მერსედესის ფერები



ფორმულა 1-ში 2010 წლის სეზონი „მერსედეს გრან-პრის“ პრეზენტაციით დაიწყო. ცერემონია შტუტგარტში, „მერსედესის“ მუზეუმის ერთ-ერთ დარბაზში შედგა. თუმცა ეს არ ყოფილა ახალი მანქანის ტრადიციული წარდგენა - გერმანული საჯინიბოს ხელმძღვანელობამ პილოტის შემადგენლობისა და ბოლიდის ახალი ფერების პრეზენტაცია მოაწყო. გუშინ წარმოდგენილი მანქანა - შარშანდელი „ბრაუნ გრან-პრი“ გახლდათ, ოღონდ ის ახალი ფერებით იყო გაფორმებული.

2010 წლის სეზონისთვის განკუთვნილ ბოლიდზე - MGP W01-ზე მუშაობა ჯერ კიდევ გრძელდება. ახალი შასის დებიუტი 1 თებერვალს, ვალენსიაში ტესტებისას შედგება, თანაც გუნდი ყველაზე საინტერესო ტექნიკურ სიახლეებს ტესტების საფინალო სერიისთვის შემოინახავს. შტუტგარტში კი ჟურნალისტები უბრალოდ „მერსედესის“ შეფერილობას გაეცნენ.

„მერსედესის“ დიზაინერული ცენტრის მხატვრებმა შეფერილობაში ისტორიისა და თანამედროვეობის შერწყმა გადაწყვიტეს. მათ გაიხსენეს 1934 წლის ლეგენდარული ისტორია, როცა „მერსედესის“ მანქანას - W25-ის საღებავი მოაშორეს წონის შესამცირებლად. იმ რბოლისადმი საპატივცემულოდ, MGP W01-ის კორპუსზე შეუღებავი ადგილებია დატოვებული. მანქანას ამშვენებს სატიტულო სპონსორის - მალაიზიური სანავთობო კონცერნის, „პეტრონასის“ ლოგო.

ღონისძიება მასშტაბური გამოვიდა. „მერსედესის“ მუზეუმში მიწვეული იყო ექვსასამდე სტუმარი - ჟურნალისტები, ფოტოგრაფები, „მერსედეს-ბენცის“ თანამშრომლები... მათ წინაშე წარსდგნენ გუნდის ძირითადი პილოტები - **მიხაელ შუმახერი** და **ნიკო როსბერგი**.

*„აქ უნიკალური თანავარსკვლავედია შეკრებილი: როს ბრაუნი, მისი საჩემპიონო გუნდი, „მერსედესის“ გამოცდილება და ცოდნა და თანამედროვე ფორმულა 1-ში საუკეთესო ძრავა. ამიტომაც ჩვენი ამოცანა ცხადია: ჩემპიონის ტიტულის მოპოვება“*, - განაცხადა მიხაელ შუმახერმა.

■ ■ ■

ამასობაში, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ კიდევ ერთხელ შეცვალა მომავალი სეზონისთვის ეტაპებზე ქულათა დარიცხვის სისტემა.

მთავარი ცვლილება შემდეგში მდგომარეობს: ეტაპზე მეორე ადგილზე გასული პილოტი მიიღებს არა 20, არამედ 18 ქულას. ამით გრან-პრიზე გამარჯვების ფასი მოიმატებს, რადგან პირველ და მეორე ადგილებს შორის სხვაობა არა ხუთი, არამედ შვიდი ქულა იქნება.

ახალი სისტემის მიხედვით, ჩასათვლელ ზონაში ათი პილოტი შევა და მათ შორის ქულები ასე განაწილდება: 25-18-15-12-10-8-6-4-2-1.



ჩოგბურთი.

ავსტრალიის ღია პირველობა

# ჩინელები მოდიან

ავსტრალიის ღია პირველობაზე მერვედფინალური ეტაპის დარჩენილი მატჩები გაიმართა. მიმოხილვას მსოფლიოს პირველი ჩოგნის **როჯერ ფედერერისა** და **ლეიტონ ჰიუიტის** მატჩით დავიწყებთ, სადაც კანონზომიერი შედეგი დაფიქსირდა. რა ფორმაშიც არ უნდა იყოს ავსტრალიელი ჩოგბურთელი, ის როჯერთან შეხვედრაში წასაგებად არის განწირული. ამის თქმის საფუძველი ის გვაძლევს, რომ გუშინ შვეიცარიელმა ავსტრალიური პუბლიკის კერპი ზედიზედ მეთხუთმეტედ (!) დაამარცხა. მატჩის წინ ლეიტონი ამბობდა, რომ ჯერ კიდევ ახსოვს ის დრო, როცა შვეიცარიელს უგებდა. თუმცა თამაშმა ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა და ჰიუიტს კარგმა მეხსიერებამ ვერ უშველა. ამ შეხვედრაში ფედერერის უპირატესობაზე ერთი სტატისტიკური მაჩვენებელიც მეტყველებს - პირველმა ჩოგანმა აქტიური მოქმედებით 49 ქულა აილო, ჰიუიტმა მხოლოდ 18.

კიდევ უფრო იოლი გამარჯვება მოიპოვა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა**, თუმცა მეტოქეც ყველაზე სუსტი ჰყავდა. პოლონელი **ლუკაშ კუბოტი** არ არის ის ჩოგბურთელი, რომელიც ტოპათეულის წევრებს გაუკლავდება. სერბმა ეს მოსაზრება ერთ საათში დაამტკიცა.

კაცებს შორის დანარჩენმა ორმა მერვედფინალმა კი ხუთსეტიან ბრძოლაში ჩაიარა და ასეთი მარათონული შეხვედრები აშკარად დაატყობენ კვალს მომდევნო წრეში გასული ჩოგბურთელების ფიზიკურ ფორმას. **ნიკოლაი დავიდენკომ** ტურნირზე პირველი სერიოზული გამოცდა გაიარა და შეიძლება დამარცხებულსაც დაეტოვებინა კორტი, მისი მეტოქე - **ფერნანდო ვერდასკო** უფრო სტაბილური რომ ყოფილიყო. პირველი ორი სეტის მოგების შემდეგ ყველას ეგონა, რომ რუსი ესპანელსაც გაანადგურებდა, მაგრამ დავიდენკომ მკვეთრად უკლო თამაშს და მატჩის ბედი მეხუთე სეტში გაირკვა. იქ კი რუსმა მეექვსე გეიმში პირველივე ბრეიკ-პოინტი გამოიყენა და ამის წყალობით გავიდა მეოთხედფინალში, სადაც მას როჯერ ფედერერი ელის.

ფრანგმა **ჟო-ვილფრიდ ცონგამ** კარიერაში პირველად ითამაშა ხუთსეტიანი მატჩი და დიდი გაჭირვებით შეძლო მისი მოგება. ესპანელი **ნიკოლას ალმაგრო** ბოლომდე ებრძოდა ავსტრალიის ღიას ყოფილ ფინალისტს, მან ორსეტიანი ჩამორჩენა გააბათილა და მარათონული მეხუთე სეტიც ჩაატარა, სადაც ცონგამ 7:7-ზე იძალა და ზედიზედ ორი გეიმის მოგებით პარტია თავის სასარგებლოდ დაასრულა - 9:7. ნახევარფინალში გასასვლელად ცონგა ჯოკოვიჩს შეხვდება.

ქალთა ბადეში გაცილებით მეტი მოულოდნელობა ხდება. რად ღირს თუნდაც უნიკალური შემთხვევა, რასაც პირველად აქვს ადგილი ჩოგბურთის ისტორიაში: „დიდი სლემის“ ტურნირის მეოთხედფინალში ორი ჩინელი (!) ჩოგბურთელია გასული. **ჟიე ჟენგს** გუშინ **ნა ლი** შეუერთდა, რომელმაც ყველა კომპონენტში დაჯაბნა მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი, ამერიკის ღია ფინალისტი **კაროლინ ვოზნიაცკი**. დანიელმა ჩოგბურთელმა მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ სამი ქულა მოიგო აქტიური თამაშით! ასეთი სტატისტიკით ვოზნიაკცის მეოთხედფინალში არაფერი ესაქმებოდა.

წინსვლას აგრძელებენ დები **უილიამსები**, რომლებიც მეოთხედფინალში წარმატების შემთხვევაში ნახევარფინალურ ეტაპზე ერთმანეთში გაარკვევენ ურთიერთობას. სერენამ მორიგი იოლი მატჩი მოიგო და ტურნირს ბოლო ავსტრალიელი **სამანტა სტოსური** ჩამოაშორა.

დღის ბოლო მატჩში ბელარუსი **ვიქტორია აზარენკა** რუს **ვერა ზვონარევას** ხვდებოდა. პირველი სეტი ზვონარევამ მოიგო და მეორეში 4:2 დაწინაურდა. აქედან მოყოლებული, აზარენკამ პატარა სასწაული მოახდინა. ბელარუსმა ჩოგბურთელმა ზედიზედ 10 (!) გეიმი მოიგო. ამ ბრწყინვალე სერიამ ვიკა მეოთხედფინალში გაიყვანა, სადაც მას ურთულესი მატჩი ელის სერენა უილიამსთან.

## 1/8 ფინალი

### კაცები

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)**-ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა, 22) 6:2, 6:3, 6:4; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3)**-ლუკაშ კუბოტი (პოლ) 6:1, 6:2, 7:5; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 6)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 9) 6:2, 7:5, 4:6, 6:7(5), 6:3; **ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 10)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 26) 6:3, 6:4, 4:6, 6:7(6), 9:7.

### 1/4 ფინალში ხვდებიან

ფედერერი (1)-დავიდენკო (6); ჯოკოვიჩი (3)-ცონგა (10); როდიკი (7)-ჩილიჩი (14); მიურეი (5)-ნადალი (2).

### ქალები

**სერენა უილიამსი (აშშ, 1)**-სამანტა სტოსური (ავსტრა, 13) 6:4, 6:2; **ნა ლი (ჩინ, 16)**-კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 4) 6:4, 6:3; **ვენუს უილიამსი (აშშ, 6)**-ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 17) 3:6, 6:2, 6:1; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 7)**-ვერა ზვონარევა (რუს, 9) 4:6, 6:4, 6:0.

### 1/4 ფინალში ხვდებიან

ს. უილიამსი (1)-აზარენკა (7); ნა ლი (16)-ვ. უილიამსი (6); ანენი-პეტროვა (19); ჟენგი-კირილენკო.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

